

საქართველოს  
დემოკრატიული რესპუბლიკა  
ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

1918-1921



ანდრო კაჭარავა  
ალექსანდრე დაუშვილი

საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკა –  
პრეზიდენტი დამოუკიდებლობისთვის.

(ადვილად საკითხავი წიგნი)

თბილისი-ატლანტა  
2012

UDC (უაკ) 94(479.22) “1921“ + 325.8(479.22)

კ-367

ნაშრომში მდიდარი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის გააზრების საფუძველზე და უახლესი საარქივო მასალების გათვალისწინებით პოპულარული ფორმით გადმოცემულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის, მისი პოლიტიკური განვითარების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის საინტერესო და დრამატული ისტორია.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

ISBN 978-9941-0-4689-6

დიზიანი და ბეჭდვა

შპს “სი-ჯი-ეს”

წიგნი ეძღვნება უფელა იმ მამულიშვილის  
სსოფნას, რომელიც საქართველოს  
დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა



## ცინათქმა

ამ წიგნის დაწერის იდეა ამერიკაში მოღვაწე ექიმს, ანდრო კაჭარავას ეკუთვნის. ნაშრომი დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს ისტორიას ეძღვნება. რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ გაჩნდა იმედი საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაკარგული სახელმწიფოს აღდგენის. სამწუხაროდ, ეს პერიოდი ჩვენი წარსულისა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და საქართველო კვლავ, ახლა უკვე ბოლშევიკური, რუსეთის შემადგენლობაში მოექცა...

ნაშრომში, ცნობილი ისტორიკოსის ალექსანდრე დაუშვილის თანაავტორობით, კარგადაა ასახული ეს მეტად რთული პერიოდი საქართველოს ისტორიისა. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ქვეყნის სათავეში მოექცნენ, ვერ შეძლეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რაშიც არც თუ მცირე დამსახურება ქართველ ბოლშევიკებს ეკუთვნით. ვერც გამარჯვებულებმა, „ანტანტის“ ქვეყნებმა, გამოიჩინეს სათანადო სიფიზლე და კავკასია კვლავ რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ნაშრომში კარგადაა გადმოცემული ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თავისუფალი საქართველოს საგარეო პოლიტიკას — დამოკიდებულებას თურქეთთან, გერმანიასთან, რუსეთთან და „ანტანტის“ ქვეყნებთან. კარაგადაა ნაჩვენები, თუ რა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა სამხრეთ კავკასია, კერძოდ კი საქართველო რუსეთის რევოლუციის შემდეგ პერიოდში. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა გერმანიის პირველი მსოფლიო ომში დამარცხების გამო.

ჩრდილოეთიდან მომდგარ რუსეთს თავისი ამბიციები გააჩნდა და ყოველნაირად ცდილობდა შენარჩუნებინა გავლენა სამხრეთ კავკასიაზე. სამხრეთიდან აქტიურობს თურქეთი, რომელიც არ კმაყოფილდება ადრე მიტაცებული ქართული მინებით და გარკვეულ პრეტენზიებს აცხადებს აჭარაზე და მესხეთზე. სადაც საკითხები წამოიჭრა საზღვრებთან დაკავშირებით აგრეთვე უშუალო მეზობლებთან: აზერბაიჯანთან და სომხეთთან, რამაც ზოგჯერ საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო...

წინამდებარე წიგნი ადვილად იკითხება, კარგი ქართული-თა ნაწერი და მკითხველს სრულ წარმოდგენს უქმნის ჩვენი ისტორიის ამ მეტად რთული და მძიმე, მაგრამ უაღრესად საინტერესო პერიოდზე.

**აკად. ოთარ ჯაფარიძე**

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღ-  
დგენის შემდეგ საქართველოს რესპუბლი-  
კის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავისი  
ქვეყნის ნარსული იცოდეს... ანინდელმა ქა-  
რთველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს ნარსულ-  
შიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეო-  
ბისათვისაც ბევრი რამე საგულისხმო და  
დამაფიქრებელი ამოიკითხოს“.

ივანე ჯავახიშვილი, 1919

## ნანამძღვრები

### ქართველების ლტოლვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის XIX-XX სს.

1801 წელს რუსეთის იმპერატორებმა, ჯერ პავლე I-მა, მო-  
ტყუებით, ხოლო შემდეგ მისმა ვაჟმა, ალექსანდრე I-მა უკვე  
ძალის გამოყენებით, გააუქმეს ქართლ-კახეთის სამეფო და ის  
რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადააქციეს. ქართველი ხალხი  
თავიდანვე აღდგა საკუთარი თავისუფლების დასაცავად. ან-  
ტიორუსულ განწყობილებას აძლიერებდა ქვეყანაში რუსი მოხ-  
ელებისა და სამხედრო მოსამსახურეების ქმედება, რომლებიც  
საქართველოს მოსახლეობის მიმართ ძალმომრეობის საშინელ  
ფორმებსა და მეთოდებს იყენებდნენ. რუსების აღვირახსნილ-  
მა საქციელმა 1804 წელს მთიულეთში აჯანყება გამოიწვია.  
ნიშანდობლივია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს სამხედრო  
გზის მონაკვეთზე მცხოვრები ოსები აქტიურად ეხმარებოდნენ  
ქართველ ბატონიშვილებს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში და  
ქართველების მიმართ დიდ ერთგულებასაც ავლენდნენ.

ასევე ნიშანდობლივია, რომ უკვე ამ პერიოდიდან საქართ-  
ველოში გაჩნდა თავადაზნაურობის ერთი ჯგუფი, რომლებიც  
მიზნად ისახავდნენ რუსეთის ბატონობის განმტკიცებას კავკა-  
სიაში, ისინი ერთგულად მონანილეობდნენ არა მარტო რუსე-  
თის სამხედრო ოპერაციებში ირანისა და თურქეთის წინააღმ-  
დეგ, არამედ წვავდნენ და ანადგურებდნენ ქართულ სოფლებს,

თუკი ამას რუსეთის იმპერატორის ინტერესები მოითხოვდა. ისტორიას შემორჩია ერთ-ერთი ასეთი „ქართველის“ პატაკი: „იმის გამო, რომ შილდამ ორჯერ მიიღო ბატონიშვილი და ორჯერვე მოსახლეობა ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, მე სოფლის საფუძვლიანად ამოგდება გადავწყვიტე. გავანადგურებ არა მარტო სახლებს, არამედ ბალ-ვენახებს. მეორე დღეა სოფელს ცეცხლი უკიდია და თანდათანობით ნაცარ-ტუტად იქცევა...“ ეს საქართველოს ტრაგედია იყო...

მაგრამ ბრძოლა რუსეთის სახელმწიფო მანქანასთან მაინც გრძელდებოდა, რაც, გარკვეულწილად, არყევდა რუსეთის ბატონობას კავკასიაში.

ასეთ ვითარებაში რუსეთის იმპერატორმა, ნიკოლოზ I-მა შეცვალა ტაქტიკა, მან საქართველოში გამოგზავნა ჭკვიანი და მოქნილი პოლიტიკისი - გრაფი მიხეილ ვორონცოვი, რომელმაც მოახერხა რუსეთის მმართველობის სისტემის მოდერნიზება, ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილის გულის მოგება და რუსეთის სამსახურში მათი გადაბირება: ქართველი თავადაზნაურები ინიშნებოდნენ მაზრების უფროსებად, გუბერნიის ხელმძღვანელების მოადგილებად. ქართველი გენერლები, და საერთოდ სამხედრო მოსამსახურეები, იღებდნენ მაღალ ხელფასებს, პრივილეგიებს. ამ ცდუნებას ვერ გაუძლო თვით დიდმა პოეტმა, თავადმა გრიგოლ ორბელიანმა, რომელიც ერთხანს კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილეც კი იყო.

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთმა, თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად, თანდათან შემოიერთა მესხეთ-ჯავახეთი, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი აჭარა, კოლა-არტანი. რუსეთის იმპერატორმა მიიტაცა „საქართველოს მეფის“ ტიტულიც და მას ამაყად ატარებდა. ახლადშემოერთებულ ქართულ მიწებზე რუსეთის ხელისუფლება სერიოზულად აფერხებდა ქართველი მამულიშვილების მოღვაწეობას ერის კონსოლიდაციისა და ისტორიული მესსიერების აღსადგენად. რუსეთის სინოდის ერთი მაღალჩინოსნის საიდუმლო წერილში ხაზგასმით არის მითითებული: „რაც შეეხება ქართველთა მონდომებას, რომ ამ მხარეში ქართული მართლმადიდებლობა გაბატონდეს, ეს ჩვენთვის არ არის მისაღები და მათ ამაში ხელი უნდა შევუშალოთ, რადგან ქართველები ნაციონალისტები არიან და ისინი დაიწყებენ ამ ახლადშემოერთებულ მხარეში ნაციონალისტური იდეების ქადაგებას და ეს კი ჩვენთვის სახიფათოა.“

ასე და ამგვარად, საქართველოში თანდათან მტკიცდებოდა რუსეთის ხელისუფლება, რასაც მოჰყვა ძალმომრეო-

ბის გაძლიერებაც: ჯერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს, შემდეგ ქართული ენის სწავლება აკრძალეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობამ მიიღო კანონი ქართული ენის გამოყენების აკრძალვის შესახებ. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აუკრძალეს ქართულ ენაზე მეტყველება. ქართველ თავადაზნაურთა გარკვეული ნაწილი ოჯახიც კი ერიდებოდა ქართულად საუბარს.

რუსული მართლმადიდებელური ეკლესია ჩინებულად ახორციელებდა რუსეთის იმპერიის გეგმებს: ცდილობდა საქართველოს ეკლესიის მრევლის გარუსებას, კრძალავდა ეკლესიამონასტრებში ქართულად ნირვა-ლოცვას, შეცვალეს ქართული ეკლესიის წეს-განგება. ძალმომრეობა სასულიერო სასწავლებლებში იმდენად დამრთვუნავი იყო, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის მსმენელმა, იოსებ ლალიაშვილმა, მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ამ ფაქტმა რუსეთის სინოდისა და ეგზარქოსის რისხვა გამოიწვია. საქართველოს ეგზარქოსმა, სემინარიის რექტორის დასაფლავებაზე, შეაჩვენა ქართველი ერი, რომელმაც „ნარმოშვა ისეთი ავაზაკი, როგორიც იყო იოსებ ლალიაშვილი“.

ამან ქართველი საზოგადოება უკიდურესად ააღელვა. იმერეთის თავადაზნაურობის ნინამძღოლმა და დიდმა პატრიოტმა, თავადმა დიმიტრი ყიფიანმა, ასეთი წერილი გაუგზავნა ეგზარქოსს: „თქვენო აღმატებულებავ, მიიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება, თუ მე, გატაცებული დაუჯერებელი ხმებით, ვცოდავ თქვენს ნინაშე. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ქვეყანა, რომელშიც თქვენ მოწოდებული ხართ სამწყმსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას. თუ ყოველივე ეს მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შემჩვენებელი განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“.

და ამ წერილის გამო დიმიტრი ყიფიანი საქართველოდან გაასახლეს სტავროპოლში, სადაც მიჩნილმა აგენტმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ასეთ დრამატულ ვითარებაში განგებამ საქართველოს გამოუგზავნა დიდი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის ღვანლი საქართველოს ისტორიაში სრულიად გამორჩეულია. როცა 1861 წელს, რუსეთში სწავლა-განათლების მიღების შემდეგ, ის საქართველოში დაბრუნდა, მისი მთავარი ამოცანა პოლიტიკური ინერტულობიდან საქართველოს მოსახლეობის გამოფხიზლება, ეროვნული თავისუ-

ფლების იდეის აღორძინება და იმ ღრმა შეგნების დანერგვა იყო, რომ ვერ იქნება ერი ბედნიერი, თუ სამშობლოს და-მოუკიდებლობისათვის, მისი აღორძინებისათვის არ იბრძო-ლება. ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებას ბრძოლის გზაც უჩვენა - ერთიანობა, სულიერების აღორძინება, სოციალურ ჯგუფებ-სა და კლასებს შორის არსებული „ჩატეხილი ხიდის“ ამოვსება, ეროვნული თავისუფლების იდეისადმი ერთგულება.

ამ გზის გასავლელად მან და მისმა მეგობრებმა შე-ქმნეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (1879), უშუალოდ ილია ჭავჭავაძის ინიციატი-ვით შეიქმნა საადგილმამულო ბანკი, რომელიც ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად აწესრიგებდა ქართულ საქმეს, ხელს უწყობდა ერის სულიერ აღორძინებას: აფინანსებდა ქართულ თეატრს, ქართულ სკოლებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ილიას მიერ დაარსებული უურნალ-გაზეთები „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“ ქართველი ერის ინტერესებს ემსახ-ურებოდა. ილიამ თავის გარშემო შემოიკრიბა პატრიოტების ძლიერი ჯგუფი, რუსეთსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სას-წავლებლებში განათლებამიღებული ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი ცოდნა ქართველი ერის აღორძინების საშვილიშვილო საქმეში ჩაეყენებინათ.

### სოციალ-დემოკრატია და საქართველო

XIX საუკუნის დასასრულს ევროპიდან საქართველოში გავრ-ცელდა მოძღვრება, რომელმაც წამოსწინა არა ეროვნული, არამედ სოციალური პრობლემატიკა — არა ერის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, არამედ პროლეტარიატის ინტერნაციონალური შეკავშირება, კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და თავადაზნ-აურობასთან, საზოგადოების რევოლუციური განვითარება. ეს იყო მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება. მისი მიმდევრები: ფილიპე მახარაძე, ნოე უორდანია, იოსებ ჯუგაშვილი, მიშა დავითაშვილი, ალექსანდრე წულუკიძე, ირაკლი წერეთელი, მიხა ცხაკაია და სხვები. რუსეთის სოციალ-დემოკრა-ტიულ მუშათა პარტიის აქტიური წევრები გახდნენ და ენინაალ-მდეგებოდნენ რუსეთის იმპერიის დაშლას. ისინი პროლეტარი-ატს მოუწოდებდნენ (წაციონალური კუთვნილების მიუხედავად), ერთობლივი ძალისხმევით ებრძოლათ საერთაშორისო პრო-ლეტარული ინტერესებისათვის. მათვის ეროვნული საიკითხი დაქვემდებარებული პრობლემა იყო. მათ დაიწყეს მარქსისტული შინაარსით გაუღენთილი წერილების წერა, საქართველოს მრა-

ვალეროვანი პროლეტარიატის დარაზმვა ინტერნაციონალისტური იდეოლოგიის გარშემო, ეროვნული იდეისა და ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ უკომპრომისო პრძოლა. მარქსისტული პრინციპებიდან გამომდინარე, მათვის მიუღებელი იყო „ელასობრივი ზავი”, „საერთო ნიადაგის თეორია” და, რა თქმა უნდა — ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური ხაზიც.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში სოციალურმა დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. რევოლუციამ ვერ გადანევიტა ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემები, ამას მაღე მსოფლიო პოლიტიკური დაძაბულობა დაემატა, რომელთა გადასაწყვეტად მარტო დიპლომატია აღარ კმაროდა. მსოფლიო მიექანებოდა კატასტროფისკენ – მზადდებოდა პირველი მსოფლიო ომი.

## კვლავ დამოუკიდებელი!

### პირველი მსოფლიო ომი და საქართველო

პირველი იმპერიალისტური ომის აუცილებლობა გამოიწვია რევანშისტულმა იდეოლოგიამ და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების დაუღვებელმა სურვილმა. ეკონომიკურად მზარდი გერმანიის იმპერია ვეღარ ურიგდებოდა იმას, რომ მსოფლიო გადანაწილებული იყო ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის. გერმანიის იმპერიამ თავის გარშემო შემოიკრიბა „გულნაკლული“ და კოლონიებზე მეოცნებე ქვეყნები: ავსტრია-უნგრეთი, იტალია და შექმნა „სამთა კავშირი“, რომელსაც მოგვიანებით თურქეთიც შეუერთდა.

გერმანიისაგან დაჩაგრული და ტერიტორიაჩამოჭრილი (ელზას-ლოტარინგია) საფრანგეთი შეეცადა ამ გაერთიანებისათვის აქტიურად დაეპირისპირებინა „ანტანტა“ — რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის მონაწილეობით, მოგვიანებით მას ამერიკის შეერთებული შტატები შეუერთდა. რუსეთი, რომელიც ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკურად ყველაზე სუსტი და საფრანგეთის კაპიტალზე დამოკიდებული ქვეყანა იყო, მოხიბლეს დაპირებებით – გამარჯვების შემთხვევაში რუსეთი მიიღებდა კონსტანტინოპოლს (სტამბოლს) თავისი სრუტეებით, და დიდ ტერიტორიას ანატოლიაში.

ქვეყნები დიდი ომისათვის ემზადებოდნენ. ქართველების უდიდესი ნაწილი, შეგუებული ბედს, მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის საომარ მზადებაში.

მაგრამ იყო ქართველთა ჯგუფი, რომლებიც თვლიდნენ,

რომ სწორედ ამ არეულ დროს დადგა ხელსაყრელი მომენტი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დასაწყებად. პატრიოტთა ამ ჯგუფმა აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა საზღვარგარეთ. ისინი ცდილობდნენ ევროპის საზოგადოებრივი აზრის დაინტერესებას საქართველოს პრობლემებით, სურდათ ევროპის დემოკრატია საქართველოს ბედის თანაზიარი გაეხადათ, დაეყენებინათ საქართველოს საკითხი სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაზე. ჯერ კიდევ 1903 წელს პარიზში დაარსდა გაზეთი „საქართველო“ და მისი ფრანგულენოვანი დამატება. ამ გამოცემების მიზანი იყო, ევროპისათვის გაეცნოთ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. ქართველებმა მონანილეობა მიიღეს 1910, 1913 და მომდევნო წლებში „დამონებული ერების“ საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში. პარიზში მცხოვრებმა ქართველებმა დააარსეს „საქართველოს უფლებათა დამცველი ლიგა“. 1910 წელს პარიზში პეტრე სურგულაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოს განთავისუფლების ჯგუფი.

ქართველების მეორე ნაწილი ვარაუდობდა გერმანიის სახელმწიფოს დახმარებით ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას. ევროპაში ყოფნისას ისინი ანარმონებდნენ მოლაპარაკებას გერმანიისა და თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან, პირდებოდნენ, ომის შემთხვევაში, ქართველების აჯანყებას რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ, ისინი იმედოვნებდნენ საქართველოში მონარქიის აღდგენას. მათ გერმანიის სპეცსამსახურების დახმარებით შექმნეს „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი“.

1914 წელს, ზაფხულში, სარაევოში მოკლეს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდ ჰერცოგი. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. რუსეთმა ომი გამოუცხადა გერმანიასა და თურქეთს. საქართველოდან ამ ომში 200 000 კაცი მონანილებდა, მათ შორის 7000 ქართველი ოფიცერიც იყო, რომლებიც ერთგულად იბრძოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად.

საქართველო ფრონტისპირა ქვეყანა გახდა. კავკასიის ფრონტი საქართველოს ისტორიულ საზღვრებთან მდებარეობდა და და ქვეყანა სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. წარუმატებლობას ევროპის ფრონტებზე, რუსეთის იმპერია კავკასიის ფრონტზე წარმატებებით ანაზღაურებდა.

ასეთ რთულ ვითარებაში „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ვერ გაბედა აჯანყების მოწყობა იმის შიშით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ამას გაგებით არ შეხვდებოდა. ამასთანავე, ეს განზრახვა დიდი საფრთხის

შემცველი იყო - ომის პირობებში სეპარატისტული აჯანყების მოწყობა გამოიწვევდა უზარმაზარ მსხვერპლს, რეპრესიებს, რასაც ტრაგიკული შედეგები შეიძლება მოეტანა ქვეყნისათვის.

## თებერვლის რევოლუცია რუსეთში

1917 წლის თებერვლის დასასრულს რუსეთში გაიმარჯვა რევოლუციამ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის აქტიური წევრები ქართველი სოციალ-დემოკრატებიც იყვნენ, ფავორში აღმოჩნდა. პარტია აქტიურად მონაწილეობდა პეტროგრადში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. რუსი სოციალ-დემოკრატების აღიარებული ლიდერი კარლო ჩხეიძე პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე გახდა, ხოლო დიდებული ორატორი ირაკლი ნერეთელი მონაწილეობდა დროებითი მთავრობის მუშაობაში.

თებერვლის რევოლუცია ჩინებულად გამოიყენეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა - სასულიერო და სამოქალაქო პირების ჯგუფმა, რომლებიც უკვე დიდი ხანია ცდილობდნენ საქართველოს ეკლესის ავტოკეფალის აღდგენას. მათ 1917 წლის 19 მარტს სვეტიცხოველში მოიწვიეს საეკლესიო კრება და კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონ II. ეს ქართველი ერის დიდი გამარჯვება იყო.

პეტროგრადში საზღვარგარეთიდან ბოლშევიკების ლიდერის, ვლადიმერ ლენინის ჩამოსვლის შემდეგ, ბოლშევიკურმა პარტიამ გეზი აიღო „სოციალისტური რევოლუციისკენ“. მათ 1917 წლის 25 ოქტომბერს ძალით დაამხეს დროებითი მთავრობა და ძალაუფლება გადასცეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობას - ფაქტობრივად მოახდინეს ძალაუფლების უზურპაცია. შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით. ამ მთავრობაში ეროვნებათა საქმეების კომისარი გახდა ი. ბ. სტალინი (ჯუგაშვილი).

## ამიერკავკასია დამოუკიდებელია

ბოლშევიკების ავანტიურა დაგმეს რუსეთის დემოკრატიულმა ძალებმა. მათ შორის ქართველმა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება სამართლიანად და ობიექტურად მოაგვარებდა რუსეთის სახელმწიფოს განვითარების კარდინალურ საკითხებს. მაგრამ 1918 წლის 5 იანვარს ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება დაშალეს, რასაც სამოქალაქო ომი მოჰყვა.

ძალაუფლების გადასარჩენად ლენინი წავიდა კომპრომისზე, რაც გერმანიასა და მის მოკავშირეებთან დაზავებაში გამოიხატებოდა.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას 1918 წლის 3 მარტს მოეწერა ხელი. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე - ყარსის, არდალანის, ართვინის და ბათუმის რაიონები თურქეთის იურისდიქციაში შევიდა. თურქებმა სადავო რაიონებიდან ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა მოითხოვეს. პროტესტის გამო ამიერკავკასიის ნარმომადგენლები არ მონანილეობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაში. მათ უარყვეს ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატისტული ზავიც, მაგრამ რუსეთის დემორალიზებული ჯარის არსებობის პირობებში, კავკასიის ფრონტებზე მათ ვერ შეძლეს თურქებისათვის წინააღმდეგობის განევის ორგანიზება. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა სიტუაციის გადასარჩენად რუსეთისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც თურქეთთან მოლაპარაკება გადაწყვიტა.

გერმანიამ ამიერკავკასიაში შუამავლის როლი ითავა. ტრაპიზონში სასწრაფოდ ჩავიდა ამიერკავკასიის დელეგაცია აკაკი ჩხერიელის (ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი) ხელმძღვანელობით. მაგრამ ამ შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო, რადგან თურქებმა უფრო მეტი ტერიტორიების დათმობა მოითხოვეს, ვიდრე ეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. ამან მოლაპარაკების შენწვეტა გამოიწვია. თურქები შეტევაზე გადავიდნენ. თურქი ასკერები ერთმანეთის მიყოლებით იკავებდნენ ქართულ მიწებს: ახალციხეს, ახალქალაქს, ბათუმს. ისინი უახლოვდებოდნენ თბილისს.

თურქეთთან მოსალაპარაკებლად, ამჯერად ბათუმში, კვლავ ჩავიდა ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია. სწორედ ბათუმში გამოვლინდა ის ფაქტი, რომელიც ქართულ სოციალ-დემოკრატიას პრინციპულად არ სურდა დაენახა: განსაკუთრებულ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული პრობლემატიკა მუდამ წინ უსწრებს ცველა დანარჩენს და რადიკალურად ცვლის პოლიტიკურ გეგმებსა და ამოცანებს. აქაც ასე მოხდა. მოულოდნელად დელეგაციის აზერბაიჯანელმა წევრებმა პროთურქული პოზიცია დაიკავეს და ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობა დაარღვიეს - ისინი მზად იყვნენ თურქეთის უზენაესობა ეღიარებინათ. ამ ნაბიჯმა დააბნია სომხები და ქართველები. შექმნილმა ვითარებამ ისინი აიძულა, დამოუკიდებლობაზე ეფიქრათ. სწორედ ამაზე მიუთითებს აკაკი ჩხერიელის დაშიფრული დეპეშები,

რომლებსაც ის ბათუმიდან სწერდა ნოე ჟორდანიას: „...თუ გერმანიის დელეგაციამ გადამწყვეტი დახმარება არ გაგვიწია, თურქები დაგვრჩევავენ”, იყო ასეთიც: „იცოდეთ, თურქეთთან ომის განახლების შემთხვევაში აზერბაიჯანელები სომხებს გასწირავენ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ. თუ თურქებმა და თათრებმა (იგულისხმება აზერბაიჯანელები - ავტორები) თავისი გაიტანეს, მაშინ აუცილებელი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ზავის შეკვრა ჩვენთვის უფრო მისაღები პირობებით”.

## საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

სწორედ ბედის ირონია იყო ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი დაეკისრა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც მუდამ ამის წინააღმდეგი იყო. სინამდვილეში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ამოცანას არ წარმოადგენდა. ეს იყო მხოლოდ ერთადერთი საშუალება, რომ თავი დაეცვათ თურქეთის შემოჭრის საფრთხისაგან. სოციალ-დემოკრატების მთავარი ოცნება ხომ რუსეთსა და საქართველოში, როგორც რუსეთის განუყოფელ ნაწილში, სოციალ-დემოკრატიული იდეების დამყარება იყო.

ეს დამოკიდებულება აშკარად გამოჩნდა იმ დღეებში გაზეთ „ერთობის“ პუბლიკაციებში, სადაც ალნიშნული იყო: „...ჩვენი დემოკრატია, რომელიც იბრძოდა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და მზად იყო კვლავ ამ ძველი, ნაცადი გზით ევლო, დღეს იძულებული შეიქმნა თავისი მოქმედების ასპარეზი საქართველოს ფარგლებით განესაზღვრა. ერთი მხრივ, საერთაშორისო მდგომარეობამ, გარეშე მტრის საფრთხემ და, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის მთლიანობის დარღვევამ აიძულა ქართული დემოკრატია გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა“.

თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის საგანგებოდ მოემზადდნენ. დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის შედგენა დაევალა გიორგი გვაზავას.

1918 წლის 26 მაისს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში უკანასკნელად შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც ქვეყნიერებას ამცნო, რომ შეწყვიტა თავისი უფლებამოსილება. იმავე დღეს, საღამოს 5 საათზე, იმავე დარბაზში ცნობილი ორატორი ირაკლი წერეთელი სიტყვით გამოვიდა: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ მთლიანი ამიერკავკასია დაინგრა. უნდა მივცეთ ქართველ ხალხს უფლება თავისი თავი იხსნას და სხვების ხსნაზეც იზრუნოს...“

შეკრებაზე ყველას შეგნებული ჰქონდა მომენტის ისტორიული მნიშვნელობა და მათ ერთხმად საზეიმოდ მიიღეს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი”, რომელშიც ხაზგას-მული იყო: „...მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრიდან მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს.... ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს...”

შემდეგ დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებულია ახალი საქართველოს ძირითადი სახელმწიფოებრივი პრინციპები: „...ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკა; საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს...” და ა.შ. და ა.შ.

სასახლის წინ უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. „დამოუკიდებლობის აქტი” მათ სასახლის აივნიდან საზეიმოდ წაუკითხეს, რამაც საოცარი ენთუზიაზმი გამოიწვია. სასახლის თავზე აფრიალდა დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დრომა. სიონის ტაძრის ზარები საზეიმოდ გუგუნებდნენ.

ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს გერბი — „თეთრი გიორგი” და დაინერა ჰიმნი „დიდება” (ავტორი კოტე ფოცხვერაშვილი).

საქართველოს დამოუკიდებლობა ძალიან სწრაფად ცნეს გერმანიამ და თურქეთმა - ეს იყო მათ მიერ ერთ-ერთი მთავარი მტრის, რუსეთის იმპერიის დასასამარებლად გადადგმული გონივრული ნაბიჯი, თუმცა გერმანიასა და თურქეთს საქართველოს მიმართ სხვადასხვა, ზოგჯერ დიამეტრულად განსხვავებული მიზნები და ამოცანები აკავშირებდათ, რაც ძალიან მაღლე შესამჩნევიც გახდა.

საქართველოს დამოუკიდებლობას ცალსახად უარყოფითად შეხვდა როგორც „წითელი”, ისე „თეთრი” რუსეთი. ბოლშევიკები ქართველ სოციალ-დემოკრატებს რევოლუციური პრინციპებისადმი ღალატს აბრალებდნენ, ხოლო „თეთრები” — „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის” დაშლის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. მეფის არმიის გენერლები: ალექსეევი, დე-

ნიკინი, ვრანგელი და სხვები მოკავშირეებს, „ანტანტის“ ლი-დერებს შეახსენებდნენ რუსეთის სახელმწიფოსათვის მიცე-მულ ფიცს და სთხოვდნენ არ ელიარებინათ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ შექმნილი ახალი სახელმწიფოებრივი ფორმირებები, რომლებიც, მათი აზრით, გერმანიის ძირგა-მომთხრელი საქმიანობის შედეგი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამაც თავის მოკა-ვშირებს - ინგლისსა და საფრანგეთს მოუწოდა, თავი შეეკა-ვებინათ რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების დამოუკიდე-ბლობის აღიარებისაგან, რადგან მათ რუსეთის სახელმწიფოს-თან მოკავშირეობის ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული.

ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საქმიანობა დაიწყო...

## პოლიტიკური ცხოვრება

### მმართველი პარტია

საქართველოს მმართველი პარტია რუსეთის სოციალ-დე-მოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანული ნაწილი იყო, ხოლო მისი ხელმძღვანელები - ამ პარტიის იმდენად თვალსაჩინო მოღვაწენი, რომ სისტემატურად და აქტიურად მონაწილ-ეობდნენ პარტიის ყრილობებსა და კონფერენციებში, ხელმძ-ღვანელობდნენ სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციას, იყვნენ რუსეთის დროებითი მთავრობის წევრები, განსაზღვრავდნენ პარტიის პოლიტიკას, ქადაგებდნენ რუსეთის იმპერიაში პრო-ლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთიანობას და ამ ერ-თიანობის დარღვევას არც არასოდეს აპირებდნენ.

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მცდელობა საქმის ისე წარმოჩენისა, თითქოს ქართველ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს რაღაც გამორჩეული, მათთვის დამახასიათე-ბელი „ქართული ფერი“ ჰქონდათ და რადიკალურად განსხ-ვავდებოდნენ რუსი სოციალ-დემოკრატებისაგან და მათი მოქ-მედების ვექტორი თითქოს უფრო ევროპული სოციალიზმისკენ იხრებოდა. ეს შეხედულება დოკუმენტურად არ დასტურდება. წყაროები მიუთითებენ, რომ 1917 წლის ოქტომბრის გადატრი-ალებამდე ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები „რუ-სეთის დიდი რევოლუციის“ იდეების ერთგულნი და რუსეთის სახელმწიფოს განუყოფლობის მხარდამჭერი იყვნენ.

შექმნილმა პოლიტიკურმა რეალიებმა და არა გამორჩეულმა, რუსეთის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებ-

ულმა, იდეურმა პოსტულატებმა აიძულეს ქართველი სოციალ-დემოკრატები, ეკეთებინათ ის საქმე, რომელიც მათ არასოდეს უნდოდათ - ყოფილიყვნენ ქართველი ერის ინტერესების გამომხატველი, ეშენებინათ ქართული ეროვნული სახელმწიფო. შეიძლება სწორედ აქ უნდა ვეძებოთ მათი პოლიტიკური კურსის კრახი?

მათმა ამ პოლიტიკურმა ცვლილებამ, პირველ რიგში, რუსი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების კრიტიკა გამოიწვია. ისინი გმობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატების სეპარატისტულ ტენდენციებს, უნუნებდნენ პროგერმანულ ორიენტაციას, დამოუკიდებელი პარტიის ჩამოყალიბების სურვილს.

ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების სასახ-ელოდ უნდა ითქვას, რომ გადადგეს რა ნაბიჯი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისაკენ, ისინი შეეცადნენ ბოლომდე განეხორციელებინათ ქართველი ერის ეს ისტო-რიული სურვილი. თუმცა მათ ამის გაკეთება უნდოდათ მარქსისტულ გარსში გახვეულებს, მარქსისტული მოძღვრებით ხელში, როდესაც ძირითადი სახელმძღვანელო დოგმა კვლავ „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ იყო და ხელში მარქსისა და ენგელსის სურათებით დამშვენებულებს პრო-ლეტარიიატის საერთაშორისო რევოლუციური წითელი დროშა ეკავათ.

დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობას რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგია სჭირდებოდა, ეროვნული იდეოლოგია და არა მარქსიზმი. მაგრამ სოციალ-დემოკრატებს ხელისუფლების დაკარგვა არ უნდოდათ, ამიტომაც იმედოვნებდნენ, რომ შეახამებდნენ ეროვნულსა და ინტერნაციონალურს. სწორედ ამაზე მიუთითებს გაზეთ „ერთობაში“ 1919 წელს გამოქვეყნებული წერილი: „სოციალ-დემოკრატიული პარტია ქადაგებს და ახორციელებს კიდეც ცხოვრებაში ძმობა-ერთობისა და ხალხთა შორის სოლიდარობის იდეას, ანარმონებს სასტიკ ბრძოლას ყოველგვარი ნაციონალისტური მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომელიც გზას უპნევს მუშათა თვითშეგნებას და აღვივებს ნაციონალურ შუღლს“. ასეთი განცხადების გაკეთება იმ დროს, როცა ქვეყანა თითქმის ნაციონალური ომების ცეცხლში იყო გახვეული, არსებობდა სერიოზული უთანხმოება აფხაზეთში, შიდა ქართლის ოსებთან, მაჰმადიანი ქართველების ერთ ნაწილთან - აშკარად მიუთითებს ქართველი სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობის დოგმატურ ხასიათზე, მათ გულუბრყვილობაზე, რომ თითქოსდა პრობლემებს ქმნის მხოლოდ კლასობრივი მტერი, ხოლო ყველა ერის დემოკრატიას სურს ერთიანი, ინტერნაციონალური ერთობა.

საქართველოს ინტერესი მოითხოვდა, რომ ისინი დაჰყოლოდნენ ოპონენტების რჩევას და დამდგარიყვნენ თანმიმდევრულ ეროვნულ პოზიციაზე, თუნდაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გარეშე. ეს მათ ვერ შეძლეს. ეს გაორება კი სერიოზულად აფერხებდა ქართული საქმის კეთებას.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ძლიერი ორგანიზაცია ჰქონდა და მას პოლიტიკურ ბრძოლებში გამოცდილი ლიდერების კოპორტაც ჰყავდა, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში თავისი პირველადი ორგანიზაცია ჰქონდა და დაახლოებით 80-ათასამდე წევრსაც აერთიანებდა. მართალია, ძალიან მალე პარტიის წევრთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა (დავიდა დაახლოებით 57 ათას კაცამდე), რაც, ჩვენი აზრით, ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური თუ საგარეო ამოცანების განხორციელებისას პარტიის სერიოზული შეცდომებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ მაინც, ის ქვეყანაში ყველაზე უფრო ორგანიზებული ძალა იყო. არც ის უნდა დავივინყოთ, რომ ოპოზიცია მმართველ პარტიის სახელისუფლო რესურსის ბოროტად გამოყენებაშიც ადანაშაულებდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან ორგანიზაციული გამოყოფა საბოლოოდ გაფორმდა 1918 წლის 19 ნოემბერს საქართველოს სდმპ დამფუძნებელ ყრილობაზე. ყრილობამ განსაზღვრა პარტიის ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საფუძვლები, დასახა უახლოესი ამოცანები. დემოკრატიული ცენტრალიზმი - კვლავ პარტიის ძირითადი ორგანიზაციული პრინციპი იყო. პარტიია მეტად მკაცრად ებრძოდა იმათ, ვინც არღვევდა პარტიის იდეურ თუ პოლიტიკურ ერთიანობას, შეჰქონდა არევ-დარევა მის რიგებში.

ვარაუდობენ, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სწრაფად იცვალა „ფერი“. ამის არგუმენტად იშველიებენ როგორც ადგილობრივი პოლიტიკოსების, ისე უცხოელი დამკვირვებლების შეხედულებებს. ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი გ. ქიქოძე აღნიშნავდა: „როგორც იდეური ბელადი, უორდანია, რასაკვირველია, ნინ უსწრებს თავის პარტიულ ლაშქარს. მაგრამ მისი პირადი ევოლუცია არსებითად მთელი ქართველი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციაა“. გერმანის ნარმომადგენელი საქართველოში გენერალი ფონ კრესი აღიარებდა, რომ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფალი „... შესანიშნავად განათლებული, კარგად აღზრდილი და საკმაოდ კარგად საურთიერთობო ადამიანები და, ეჭვგარეშეა, კეთილი ნებით ფრთაშესხმული ჭეშმარიტი პატრიოტები არიან“.

მოგვიანებით, საზღვარგარეთ დაწერილ მემუარებში, მართ-

ლაც, ჩანს ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერების ევო-ლუცია, მათი მამულისადმი დიდი სიყვარული.

რა თქმა უნდა, ქართველ სოციალ-დემოკრატებს უყვარ-დათ სამობლო, მაგრამ თავისებურად, და მათი ეს გრძნობა არასოდეს დასულა იმ ქართველი მამულიშვილების ჭეშმარიტ პატრიოტიზმამდე, რომლებსაც ერთადერთ საფიცრად სამშობ-ლოს ინტერესები ჰქონდათ. სოციალ-დემოკრატების გაზეთები იმუამად დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ ამ გრძნობას, აწყვილებდნენ ქართველ პატრიოტებს რუს და სომეხ ნაციო-ნალისტებთან და ყველას უმტკიცებდნენ, რომ სოციალ-დე-მოკრატების წმიდათანმიდა ამოცანა იყო ყველა ერის დე-მოკრატიის ინტერნაციონალური გაერთიანება.

ამრიგად, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებისათვის ნაციო-ნალიზმი, ნაციონალური მიდრეკილებები პროვოკაცია იყო, რა-საც უნდა დაუპირისპირდეს „რევოლუციურნი მონაპოვარნი“, რომლებზედაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიას ხელი არ აუღია, უბრალოდ, მისი აღსრულება გადაავადა შორეულ პერსპექტივაში. შეიძლება სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ სს-დმპ ავტორიტეტის თანდათან შესუსტება, საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ავტორიტეტის ამაღ-ლება და სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების პოლიტი-კური კრახიც 1921 წლის თებერვალში?

### სოციალისტ-ფედერალისტები

სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოს პატრიოტული ძალების ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ. მაშინ, როცა ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთის პროლეტარი-ატის ერთიანობისათვის იბრძოდნენ და საქართველოს არა თუ დამოუკიდებლობის, არამედ ავტონომიის გაგებაც კი არ სურდათ, სოციალისტ-ფედერალისტები თავიანთი დამაარსებ-ლისა და იდეური ხელმძღვანელის, არჩილ ჯორჯაძის თაოს-ნობით ორგანულად ახამებდნენ სოციალისტურ პრინციპებს ეროვნულ-პატრიოტულ მსოფლმხედველობასთან. ფედერალ-ისტები ამტკიცებდნენ, რომ სოციალისტური და ეროვნული პრინციპები არ არიან ანტაგონისტური, რომ აუცილებელია ქა-რთველი ერის კანონიერი ეროვნული უფლებების დაცვა.

სოციალისტ-ფედერალისტები 1917-1921 წლებში გამოირჩე-ოდნენ კონსტრუქციულობით, ისინი აქტიურად მონაწილ-ეობდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების მუშაობაში. პარტიამ დამფუძნებელ კრებაში გაიყვანა 9 დეპუტატი. დებატების დროს გამოიკვეთა

სოციალისტ-ფედერალისტების ძირითადი მაგისტრალური ხაზი - ერის შიდასოციალური სტრუქტურის გაუმჯობესება, სოციალ-იზმის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფა. თვითონ პარტიაში გარევეული იდეური ბრძოლა მიმდინარეობდა, აშკარად გამოიკვეთა მემარცხენე დაჯგუფება, რომელიც მოგვიანებით ე.წ. „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიად“ ჩამოყალიბდა (მათ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აღიანსი შეკრეს ბოლშევიკებთან).

## სოციალისტ-რევოლუციონერები

ქართველი ესერები, ისევე როგორც ქართველი სოციალ-დემოკრატები, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში შედიოდნენ და ამ ერთიანობის პრინციპულად დამცველი იყვნენ. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა ვითარებამ ისინი აიძულა, ჩამოყალიბებინათ დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია (1918 წ.). ისინი უარყოფითად შეხვდნენ რუსეთის იმპერიის დაშლას, რადგან „დიდი რევოლუციის იდეებისა“ სჯეროდათ და იმედოვნებდნენ, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მესვეურები სათუთად გაუფრთხილდებოდნენ და განავითარებდნენ ამ „რევოლუციურ სულისკვეთებას“. პარტიის ლიდერი იყო ლ. შენგელია. მათ დამფუძნებელ კრებაში 5 დეპუტატი გაიყვანეს და აქტიურად მონაწილეობდნენ მის მუშაობაში.

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თანმიმდევრული, ეროვნულ პოზიციაზე მდგომი პარტია იყო. ამ პარტიაში შედიოდნენ საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები (ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი მაჩაბელი, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი და სხვ.). უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეროვნულ-დემორატიულ პარტიაში გაერთიანებული ზოგიერთი წევრი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დიდი ხნით ადრე, ამ პარტიის ოფიციალურად გაფორმებამდე იღვწოდა. სპირიდონ კედია, გიორგი მაჩაბელი, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი XX საუკუნის დასაწყისიდან იდგნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ავანგარდმი. მათ ურთიერთობას გერმანიის სამიმერატორო ხელისუფლებასთან კარგად იყენებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები და მათ დიპლომატიური მისიის შესრულებასაც ავალებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიაში ძირითადად ქვეყნის ინ-

ტელექტუალური ნაწილი იყო და ის არ გამოირჩეოდა წევრების სიმრავლით, მისი თანმიმდევრული ეროვნული პოზიცია და, რაც მთავარია, წევრების დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობები პარტიას ძლიერ და ორგანიზებულ პოლიტიკურ ოპოზიციად აყალიბებდა. ისინი ვერ ეგუებოდნენ სოციალ-დემოკრატების ყბადალებულ მარქსისტულ სოციალიზმს.

ეროვნულ-დემოკრატები აგრძელებდნენ მთავრობის პოლიტიკის კრიტიკას. მათ მიერ ნარმოთქმული შინაარსიანი და საქმიანი სიტყვები ჯერ პარლამენტის, შემდეგ დამფუძნებელი კრების მაღალი ტრიბუნიდან გამოირჩეოდა საქმის ღრმა ცოდნით, ეროვნული პოზიციით, ისტორიული პერსპექტივის საოცარი ანალიზით. მათ განსაკუთრებით აღიზიანებდათ სოციალ-დემოკრატების ეკონომიკური კურსი, რომელიც არ ითვალისწინებდა საზოგადოების განვითარების კარდინალურ პრობლემებს და გამოირჩეოდა მარქსისტული შეზღუდულობით. ისინი მიუთითებდნენ მთავრობას, რომ ასეთი სიბეჭე ეკონომიკის მართვის სფეროში ქვეყანას გარდაუვალ კოლაფსამდე მიიყვანდა. პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია არაერთხელ აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი იყო ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად და სწორედ აქედან მომდინარეობდა მისი ბევრი შეცდომა თუ არასწორი პოლიტიკური ნაბიჯი.

## ბოლშევიკები

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ დემოკრატიულ საქართველოში ბოლშევიკებს გავლენა არ ჰქონდათ, რომ მოსახლეობა მათგან დისტანცირებული იყო. მაგრამ დოკუმენტური მასალა და თანადროული პრესაც ადასტურებს, რომ 1918-1919 წლებში ბოლშევიკების ზეგავლენა ქვეყანაში მნიშვნელოვანი იყო. ლენინის ხელისუფლებამ სამხრეთ კავკასიაში კომისარად განაწესა ცნობილი ბოლშევიკი სტეფანე შაუმიანი, რომელსაც თბილისში ცუდად შეხვდენენ და აიძულეს, იმუამად ბოლშევიკური მოძრაობის ცენტრში, ბაქოში, გადასულიყო. სამხრეთ კავკასიელ ბოლშევიკებს ეგონათ, რომ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ კავკასიის ფრონტის რუს ჯარისკაცებს, რომლებიც ბრესტის ზავის შემდეგ თბილისზე გავლით სამშობლოში დაბრუნებას ვარაუდობდნენ. ათი ათასობით ომით გაღიზიანებული, ბოლშევიკური სულისკვეთებით განმსჭვალული შეიარაღებული პირის თბილისზე მარში აშკარად შექმნიდა ბოლშევიკური გადატრიალების ნინაპირობას. ამის დაშვება ნამდვილად არ შეიძლებოდა. 1918 წლის 9 იანვარს

შამქორთან განხორციელდა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცების ძალისმიერი განიარაღება, დაიღუპა ბევრი ჯარისკაცი. ეს ფაქტი მოსკოვში ქართველ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს საშინელ ცოდვად ჩაუთვალეს.

1918 წლის მაის-ივნისში თბილის ქართველმა ბოლშევიკებმა სერიოზული პრობლემები შექმნეს სამეგრელოში, სადაც ალიოშა გეგეჭყორის ხელმძღვანელობით 1000-კაციანი ბოლშევიკური რაზმი სხვადასხვა რეგიონსა და სხვადასხვა სოფელში „რუსულ სოციალიზმს“ ამყარებდა. ზაფხულში დაიძაბა ვითარება საქართველოს სამხედრო გზაზეც, მცხეთიდან დაწყებული დუშეთის ჩათვლით. ამ ტერიტორიაზე გლეხთა აჯანყებების პროვოცირებას ასევე ბოლშევიკებისა და კრემლის ქართული აგენტურის ერთობლივ მცდელობას აბრალებდნენ.

ქართველი ბოლშევიკები სამშობლოს ღალატად არ თვლიდნენ იმ ფაქტს, რომ სისტემატურად უგზავნიდნენ მოსკოვს ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, ხშირად აყალბებდნენ სინამდვილეს, სასურველს რეალურად აცხადებდნენ. ქართველმა ბოლშევიკებმა, კრემლის შეგონებით, 1919 წლის ოქტომბრის დასასრულს გადატრიალების მოწყობაც კი სცადეს. კომუნისტებს სჯეროდათ, რომ წითელი არმია დროულად მოვიდოდა მათ დასახმარებლად. ამიტომაც გააჩაღეს დიდი მუშაობა ადგილებზე აჯანყების კერების მოსამზადებლად. შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი. განსაკუთრებით დიდ იმედებს ფოთის ბოლშევიკურ ორგანიზაციაზე ამყარებდნენ, რადგან აჯანყებულთა ხელში ფოთის ნავსადგურის გადასვლას უდიდესი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობა ექნებოდა. თავის მხრივ, ფოთის პორტის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამაც დიდი მუშაობა ჩაატარა აჯანყების მოსამზადებლად. აჯანყების საქალაქო შტაბის გეგმით დიდი ამოცანები ეკისრებოდა ფოთის პორტში დისლოცირებულ გემ „ჭოროხს“, რომლის ეკიპაჟი მთლიანად ბოლშევიკური იყო. აჯანყების შემთხვევაში გემი „ჭოროხის“ ეკიპაჟს დაევალა გასულიყო ზღვაში და იქიდან გაენადგურებინა მთავრობის საცეცხლე წერტილები.

მაგრამ თბილისში ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეძლო აჯანყების ხელმძღვანელების დაპატიმრება. მთავრობამ თავის წარმომადგენელებს დროულად შეატყობინა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. ფოთშიც მივიდა დაშიფრული დეპეშა სამთავრობო შეტყობინებით, მაგრამ ბოლშევიკებს ფოთის ფაში თავიანთი აგენტი ჰყავდათ. მან დროულად ამცნო ადგილობრივ შტაბს თბილისში აჯანყების დამარცხების შესახებ. კომუნისტები მიიმაღნენ.

საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო ზომები და ადგილები ვითარება განმუხტა. დაიწყო ბოლშევიკების დაპატიმრებები, რამაც საგრძნობლად შეამცირა მათი ზეგავლენა ქვეყანაში, ბევრი პარტიული ორგანიზაცია დაინგრა, ბოლშევიკები გადავიდნენ არალეგალურ მდგომარეობაზე. ასეთ ვითარებაში მათ მფარველად 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება „მოევლინათ”, რომლის ძალით ისინი იატაკევე-შეთიდან გამოვიდნენ, შექმნეს „დამოუკიდებელი” კომუნისტური ორგანიზაცია - საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც, ფაქტობრივად, მაინც მოსკოვზე იყო დამოკიდებული. გამოსვლა დაიწყო პარტიულმა გაზეთმა „კომუნისტი”. ახლა ქართველი ბოლშევიკები უკვე ლეგალურად აძლიერებდნენ პროპაგანდას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ახალ პროვოკაციებს გეგმავდნენ.

### დამფუძნებელი კრება

სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური საფუძვლების განმსაზღვრელი უზენაესი საკრებულოა, რომლითაც იწყება ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობა. საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში დიდი იყო ნდობა დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო შესაძლებლობებისადმი, ამიტომაც დამოუკიდებლობის აქტში მისი მოწვევის აუცილებლობა ხაზგასმით აღინიშნა. 1919 წლის დასაწყისში ქვეყანაში დაიწყო საარჩევნო კამპანია.

უნდა აღინიშნოს, რომ „ყარსის რესპუბლიკის“ დამაარსებელი სერვერ ბევრი (ჯაყელი) ქართველ მუსლიმანებს მოუწოდებდა, არ მიეღოთ მონაწილეობა დამფუძნებელი კრების არჩევნებში. ობიექტური გარემოებათა გამო არჩევნები მართლაც არ ჩატარდა სამუსლიმანო საქართველოში, აფხაზეთსა და რამდენიმე მთიან რეგიონში. არჩევნები სოციალ-დემოკრატების დიდი უპირატესობით დამთავრდა - 130 ადგილიდან მათ 109 მანდატი მიიღეს.

კრების პირველი სხდომა ჩატარდა 1919 წლის 1 მარტს. ის უხუცესმა დეპუტატმა სილიბისტრო ჯიბლაძემ გახსნა. შეიქმნა დარგობრივი კომისიები, სადაც ყველგან უპირატესობა სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდათ. მათი რიცხობრივი უპირატესობა, რა თქმა უნდა, დისკომფორტს ქმნიდა სხვა პოლიტიკური ჯგუფებისა და ფრაქციებისათვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დამფუძნებელი კრება დემოკრატიული სულისკვეთებით მუშაობდა, მაქსიმალურად იცავდა სიტყვის თავისუფლებას და ყველას აძლევდა საკუთარი აზრის გამოხატ-

ვის საშუალებას. დამფუძნებელ კრებაზე ხშირად იმართებოდა პოლიტიკური დებატები, ზოგჯერ იყო შეურაცხმყოფელი გა-მოსვლებიც, მაგრამ, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ მომენტში დამფუძნებელი კრება იყო ერთიანი და კონსტრუქციული. ამისი ტიპური მაგალითია საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელშეკრულების რატიფიკაცია (1919 წ.), რომელიც პარტიათა უმრავლესობამ დადგებითად შეაფასა.

დამფუძნებელი კრების ყველაზე დიდი მიღწევა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაა. მართალია, მასზე მუშაობა ძალიან გაჭიანურდა, მაგრამ კონსტიტუცია სხვა ქვეყნების კონსტიტუციებისაგან გამოირჩეოდა თავისი დემოკრატიული შინაარსით. კონსტიტუცია დამფუძნებელმა კრებამ მიიღო უკვე ძალიან გვიან - 1921 წლის 21 თებერვალს, როცა კომუნისტური რუსეთის ჯარები თბილისთან იყვნენ მომდგარნი და, ფაქტობრივად, მას არ „უმუშავია“.

### ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი

პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემას ქართველი ისტორიკოსები სამართლიანად უწოდებენ მრავალპარტიულ დემოკრატიას. ქვეყანაში ახალი პარტიის შექმნა, პოლიტიკური პროპაგანდა, დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება, თავისუფალი სიტყვის უზრუნველყოფა და დემოკრატიის სხვა ატრიბუტიკა - ძირითადად დაცულია. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იმუამად მმართველი პარტია ყველაზე ორგანიზებული პოლიტიკური ძალა იყო. დამფუძნებელ კრებაში მათ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა ეკუთვნოდათ. ისინი ხშირად იყენებდნენ თავიანთ რიცხობრივ უპირატესობას. მენშევიკების დამოკიდებულება ოპონენტებისადმი ყოველთვის არ იყო დემოკრატიული და ლირსეული.

თავის მხრივ მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატები ააშეარავებდნენ მმართველი პარტიის, მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან დემოკრატიის ძირითადი პრინციპების უხეშ დარღვევებს. ოპონენტები მმართველ პარტიას იმასაც აბრალებდნენ, რომ ის ხელოვნურად აჭიანურებდა კონსტიტუციის მიღებას, რადგან ეს „ფრთებს შეუკვეცდა სოციალ-დემოკრატთა ჰეგემონიას ქვეყანაში“.

აღსანიშნავია, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია, რომელსაც მარქსიზმთან კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონდა, კლასობრივ ბრძოლას აღიარებდა და მოღვაწეობის პირველ ეტაპზე აშკარად რევოლუციური მეთოდებით ცდილობდა სტა-

ბილიზაციის შენარჩუნებას. სასამართლოს გარეშე დახურეს რუსული და სომხური გაზეთები, არაქართველი ბიზნესმენების ქარხნებს უსანქციოდ ჩხრეკდნენ, რა თქმა უნდა, მთვარობის ინტერესებიდან გამომდინარე. დასტურდება სამხედრო ექსპედიციების დროს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში უფლებამოსილების გადაჭარბება. ასეთი ქმედებები, ცხადია, იწვევდა ოპოზიციის უკმაყოფილებას.

მაგრამ, არ ვიქნებით მართალი, თუ ძალიან დიდ მოთხოვნებს წავუყენებთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურებს. ეს იყო მძიმე პერიოდი — მაშინ თვითონ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიც კი ჯერ კიდევ ძალიან შორს იყვნენ განვითარებული დემოკრატიისაგან. მთავარი მაინც ის არის, რომ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს სურდა სახელმწიფოს განვითარება, სურდა დაეცვა ადამიანის უფლებები და თავისუფლება, საყოველთად აღიარებდა დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას.

## საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა

### ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა

ამოცანა, რომელიც 1918 წლის 26 მაისის შემდეგ ქართველი ხალხის წინაშე დადგა, იყო ისეთი დამოუკიდებელი და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა, რომელსაც ევროპის ცივილიზირებული სახელმწიფოების თანამეგობრობა თავის წიაღში მიიღებდა. ამ ამოცანის შესრულება მშვიდობიანი განვითარებისა და სტაბილური საზღვრების შემთხვევაშიც კი, არ იყო ადვილი, მით უმეტეს, იმ მდგომარეობაში, როდესაც მუდმივად არსებობდა ოკუპაციის საშიშროება ბოლშევკიური რუსეთისაგან, ოტომანთა თურქეთისაგან, დენიკინის მოხალისეთა არმიისაგან. ამასთანავე, არსებობდა ეკონომიკური კოლაფსისა და ქვეყანაში ანარქიის გაბატონების საფრთხეც.

ამ სიტუაციაში ქვეყნის წინაშე მდგომ უპირველესად გადასაწყვეტ ამოცანათაგან რამდენიმე ძირითადი მიმართულება დაისახა, მათ შორის: სახელმწიფოში კანონისა და წესრიგის აღდგენა, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, მუშათა უფლებების უზრუნველყოფა, ახალი სოციალური კანონებისა და დეკრეტების შემუშავება, მიწის ახალი რეფორმის მომზადება, საეროვნებათაშორისო ურთიერთობების მოწესრიგება, დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან ქვეყ-

ნის დამოუკიდებლობის აღიარების მისაღწევად დაუღალავი დიპლომატიური მუშაობა.

უპირველესი, რა თქმა უნდა, ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა იყო. ეროვნული საბჭოს საფუძველზე გადაწყდა საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბება, საბჭოში შეიყვანეს აზერბაიჯანელი, სომები, ოსი, აფხაზი, რუსი და გერმანელი დეპუტატები. ასეთ წარმომადგენლობას საქართველოს პარლა-მენტი დაერქვა.

საქართველოს პარლამენტმა თავის ხელში აიღო საკანონ-მდებლო ორგანოს ყველა ფუნქცია. ჩამოყალიბდა პასუხის-მგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა. თავდაპირვე-ლად მისი თავმჯდომარე იყო ცნობილი სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი (მანვე შეითავსა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა). სამხედრო მინისტრი გახდა გრიგოლ გიორგაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი - აკაკი ჩხერიმელი, იუსტიციისა - შალვა ალექსი-მესხიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი), ფი-ნანსთა - გიორგი უშრული (ეროვნულ-დემოკრატი), მინათ-მომქმედების - ნოე ხომერიკი, გზათა მინისტრი - ივანე ლორთქიფანიძე (სოციალისტ-რევოლუციონერი), განათლების მინისტრი - გიორგი ლასხიშვილი და ა.შ.

მთავრობის დიდი უმეტესობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო. სწორედ ამიტომაც ოპოზი-ციას გარკვეული შეიძლება დაწყე-ბულიყო სოციალისტური ექსპერიმენტის რეალიზება. მაგრამ სამთავრობო უმრავლესობის მხრიდან თავიდანვე გაცხადდა, რომ ისინი არ დაიწყებდნენ ქვეყანაში სოციალიზმის დაუყ-ოვნებლივ განხორციელებას. სწორედ ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა ნოე უორდანია: „თქვენ ფიქრობთ, რომ რაკი მთავრობა სოციალისტურია, მან უნდა განახორციელოს სო-ციალიზმი, მაგრამ ეს ბოლშევიკთა მცდარი თვალსაზრისია. სოციალ-დემოკრატები სხვა შეხედულებისა ვართ, მიგვაჩნია, რომ განვითარების კაპიტალისტურ სტადიას ვერ გადავახტე-ბით. ნაადრევად დაწყებული სოციალისტური მშენებლობის ექსპერიმენტი მოგვიტანს არა სოციალურ თავისუფლებას, არამედ სოციალურ რეაქციას, საზოგადოებრივი სიმდიდრის განადგურებას, სახალხო მეურნეობის მომლას. ბურჟუაზი-ული სახელმწიფოს სათავეში მყოფ ჩვენს პარტიას ეკონომი-კურად ჩამორჩენილ საქართველოში ევალება კერძო ინიციატი-ვის წახალისება, სანარმოო ძალთა განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება...”

პარლამენტში წარმოდგენილი ძირითადი პოლიტიკური პარტიები შეუზღუდავად ახორციელებდნენ კანონით მინიჭე-

ბულ დემოკრატიულ უფლებებს, დებატებში ააშეარავებდნენ მმართველი გუნდის შეცდომებსა და ნაკლოვანებებს. სწორედ საპარლამენტო კრიზისმა გამოიწია 9 თვის მმართველობის შემდეგ კოალიციური მთავრობის დაშლა და ახალი მთავრობის შექმნა, რომელსაც ნოე უორდანია ჩაუდგა სათავეში. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ევგენი გეგეჭკორი, შეიცვალნენ სხვა მინისტრებიც.

## საბჭოები

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის იმპერიის წამყვან სამრენველო ცენტრებში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. მასში თანამშრომლობდნენ მემარცხენე მიმართულების, სოციალისტური შინაარსის მქონე პარტიები, რომლებმაც გავლენა მოიპოვეს პეტროგრადსა და სხვა ქალაქებში. ბოლშევიკებმა სწორედ ამ საბჭოებზე დაყრდნობით განახორციელეს ოქტომბრის გადატრიალება და ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს.

საბჭოები საქართველოშიც არსებობდა და გარკვეულ ძალაუფლებასაც ფლობდა. რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოს მუშათა დეპუტატების საბჭოები არ ამჟღავნებდნენ ხელისუფლების ხელში აღების სურვილს. ამის მიზეზი, აღბათ, საბჭოებში მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის უპირატესობა უნდა ყოფილიყო. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს ნოე უორდანია ხელმძღვანელობდა, რომელმაც შეძლო თბილისელი მუშების დარწმუნება, რომ საბჭოები დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პირობებში აუცილებელ საჭიროებას აღარ წარმოადგენს და შეიცავს ანარქიის ესკალაციის საფრთხეს. ამიტომაც საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ საბჭოები, ფაქტობრივად, გაუქმდა. ქართველი სოციალ-დემოკრატების ამ ნაბიჯს კმაყოფილები შეხვდნენ ქვეყნის მემარჯვენე პოლიტიკური ძალები. საბჭოების როლის შესუსტებას განსაკუთრებით მტკიცნეულად აღიქვამდენენ ქართველი ბოლშევიკები და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ინტერესების ღალატში ადანაშაულებდნენ.

## თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები

ადგილებზე ხელისუფლების დემოკრატიული სტრუქტურების მშენებლობის პროცესი მეტად რთული აღმოჩნდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაი-

წყო საერო მართვის სისტემის ჩამოყალიბება: მიიღეს სპეციალური საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ადგილობრივ მმართველობას ერობების საფუძველზე აწესრიგებდა. ერობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველა 20 წლის მოქალაქეს, არჩევნების ხელმძღვანელობა ევალებოდა მაზრისა და თემების საარჩევნო კომისიებს. საქართველოში გუბერნიების გაუქმების შემდეგ დარჩა 23 მაზრა, ყველგან შეიქმნა ერობა, გარდა იმ ტერიტორიებისა, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა (მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა, ზოგი მთიანი მხარე). გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა სათემო ერობების ორგანიზება წერა-კითხვის მცოდნე კადრების ნაკლებობის გამო.

ერობის არჩევნები დაინიშნა 1918 წლის აგვისტოში. არჩევნები განსაკუთრებული აქტივობის პირობებში არ ჩატარებულა, პოლიტიკური პარტიები პასიურობას იჩენდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა მმართველი - სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც მოახერხა და თითქმის ყველა სამაზრო ერობაში თავისი წარმომადგენლობა უმრავლესობით გაიყვანა. აქედან გამომდინარე, ერობის აღმასრულებელ ორგანოში - გამგეობაში მას დეპუტატთა უმრავლესობა ჰყავდა.

უფრო ორგანიზებულად წარიმართა რეფორმები მუნიციპალიტეტების მმართველობაში, რადგან ამ საქმის გამოცდილება უკვე დიდი იყო, და ამასთანავე, პოლიტიკურად მომზადებული კადრები ქალაქებში მრავლად ჰყავდათ.

შედარებით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა მუნიციპალიტეტების ჩინოვნიკების „გაეროვნებულობის“ საკითხი. რუსეთის იმპერიის პერიოდში საქართველოს საქალაქო თვითმმართველობაში აქტიურად იყვნენ ჩართული რუსი და სომეხი კადრები, რომლებიც რუსეთის იმპერიის ინტერესებს ჩინებულად ახორციელებდნენ. ბევრი მათგანი გულგრილად, ზოგიერთი კი მტრულადაც კი შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რუსი და სომეხი მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა საქართველოს მოქალაქეობა არც მიიღო. საჭირო იყო ასეთი კადრებისაგან მუნიციპალიტეტების გაწმენდა. საქართველოს მთავრობა ცდილობდა, რომ ეს პროცესი უმტკივნეულო ყოფილიყო, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა.

თბილისში საქალაქო მუნიციპალიტეტის არჩევნები 1919 წელს ჩატარდა და სოციალ-დემოკრატების დიდი გამარჯვებით დასრულდა, მათ საქალაქო თვითმმართველობაში 69 დეპუტატი გაიყვანეს. ეროვნულ-დემოკრატებმა მიიღეს 10, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტებმა - 7 ადგილი. ქალაქის მოურავად

აირჩიეს ცნობილი სოციალ-დემოკრატი ბენიამინ ჩხიცვიშვილი (მოგვიანებით ის შეითავსებს ახლადშემოქრეთებული ბათუმის მოურავობასაც).

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მილიცია, რომელიც იმჟამად 903 კაცს აერთიანებდა, მთლიანად ემორჩილებოდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციები ცდილობდნენ, მოენესრიგებინათ ყველა ამოცანა, თუმცა ცარიზმის ეპოქიდან შემორჩენილი ნეგატიური მოვლენები: ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა, ნათლი-მირონობა საქართველოს რიგით მოქალაქეებს დამატებით პრობლემებს უქმნიდა.

### სასამართლო სისტემა

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, საგლეხო რეფორმის გატარების დროს, მეფის რუსეთმა განახორციელა სასამართლო სისტემის რეორგანიზება. მან მოსპონ წოდებრივი სასამართლო, დაამკვიდრა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, სასამართლოს დამოუკიდებლობა, სასამართლო პროცესის საჯაროობა და სხვა ნოვაციები. საქართველოსა და კავკასიაში მეფის ხელისუფლებამ ეს სიახლე არ განახორციელა „ადგილობრივი მოსახლეობის მოუმზადებლობისა და მათი დაბალი სასამართლო კულტურის გამო“, სინადვილეში კი მას არ სურდა თავისი ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილების შეზღუდვა, თუმცა წოდებრივი სასამართლო საქართველოშიც მოისპონ და კანონის წინაშე ყველა თანასწორი გახდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ევროპული, დემოკრატიული სასამართლოს მშენებლობის პროცესის დაჩქარება. მთავარი ამოცანა იყო სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა და მისი გამიჯვნა მართვის აღმასრულებელი ორგანოებისაგან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსამართლეთა არჩევითობას, ვექილთა ინსტიტუტის დანერგვას, სასამართლო პროცესის საჯაროობის პრინციპების უზრუნველყოფას.

ეს ამოცანა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. პირველ რიგში, ეს იყო კადრების მწვავე ნაკლებობა - იურიდიული განათლების მქონე პირები საქართველოში ძირითადად არაქართველი, უფრო კი, რუსი ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც, ობსტრუქციის გამო, ნაკლებად მონაწილეობდნენ საქართველოს ახალი სასამართლო სისტემის მშენებლობის პროცესში.

1918 წლის 24 სექტემბერს საქართველოში მიიღეს კანონი „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ“. ცველა ქალაქსა და სამაზრო ცენტრში უნდა შექმნილიყო მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობები. უფრო მოგვიანებით, 1919 წლის 11 ნოემბერს გამოიცა დეკრეტი „საქართველოს ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევის“ შესახებ. ექსპერტები მიუთითებენ, რომ აღნიშნულმა საკანონმდებლო ბაზამ შეამზადა პირობები პენიტენციალური სისტემის დემოკრატიულ საწყისებზე გადასაყვანად. თუმცა ეს პროცესი მხოლოდ საწყის ეტაპზე იყო, რადგან კანონების მიღებასა და მათ უცილობლად შესრულებას შორის გარკვეული, ძნელად გადასალახი მანძილი მაინც არსებობდა.

მნიშვნელოვანი იყო უზენაესი სასამართლო ინსტანციის - სენატის დაფუძნება, რომელიც გულისხმობდა საკასაციო ღონისძიებების რეალიზებას. სენატს დიდი უფლებამოსილება ჰქონდა, მის კომპეტენციაში შედიოდა საკასაციო პროცესი, საზედამხედველო საქმიანობა ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებზე, ძალოვან სტრუქტურებზე. სენატს შეეძლო, გაეუქმებინა მათი უკანონო გადაწყვეტილება, ახდენდა სასამართლო დაწესებულებების რევიზიას და ა.შ.

რთული, წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ვითარება არ იძლეოდა შესაძლებლობას სასამართლო რეფორმა საქართველოში ნორმალურად ჩატარებულიყო, ხოლო ქვეყნის ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ დემოკრატიული საქართველოს სასამართლო სისტემა კომუნისტებმა მთლიანად მოსპეს და საბჭოთა რუსეთში გაბატონებული წეს-განრიგი დანერგეს.

## მილიცია

რუსეთის იმპერიაში განსაკუთრებით სახელგატეხილი და ოდიოზური „პოლიციის“ დასახელება ქართველმა სოციიალ-დე-მოკრატებმა „მილიციით“ შეცვალეს. ორგანიზაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენელი ნაწილი იყო, რომელსაც ენერგიული პიროვნება - ნოე რამიშვილი ხელმძღვანელობდა. 1918 წლის ანარქიისა და ხშირი სახალხო მღელვარებების პირობებში ძალიან ძნელი იყო ამ ძალოვანი სტრუქტურის ფორმირების პროცესი. ამის გამო ხელისუფლება კრიზისის დროს უფრო სახალხო გვარდიასა და რეგულარული ჯარის ნაწილებს ეყრდნობოდა.

დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ზოგიერთ რეგიონში (ზუგდიდში, საჩხერეში) ამბოხებულები ახერხებდნენ მილიციის ქვედანაყოფების განიარაღებას, პარალიზებას, იყო მილიცი-

იდან დეზერტირობის ფაქტებიც. დამთუძნებელი კრების დეპუტატებსაც ჰქონდათ საქართველოს მილიციის მიმართ პრეტენზიები — არაპროფესიონალიზმი, უდისციპლინობა, ძალაუფლების გადაჭარბება, „გათავისუფლებული მონის” სინდრომი, ძალის არაადეკვატური გამოყენება.

მილიცია ფორმირების პროცესში თანდათან ავლენდა ორგანიზებულობას, დარაზმულობას. საქართველოს სახელმწიფომ ახლადშექმნილი მილიციის ქვედანაყოფებს სპეცულაციასთან, სახაზინო ქურდობასთან, კონტრრევოლუციური იდეების გავრცელებასთან ინტენსიური ბრძოლის ამოცანა დაუსახა. ამ მიზნით სპეციალური „მფრინავი რაზმებიც” შეიქმნა. ეს რაზმები ცენტრალურ ქალაქებში 600-1000 კაცს, ხოლო პერიფერიაში - 300-400 კაცს აერთიანებდა. ისინი ხშირად წარმატებით ახორციელებდნენ რთულ სახელმწიფო დავალებებს. განსაკუთრებით ებრძოდნენ ბოლშევიკურ ანარქიასა და შეთქმულებებს.

არსებობდნენ „საგანგებო რაზმებიც”, რომლებიც უფრო საიდუმლო პოლიციის ფუნქციას ასრულებდნენ. განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩეოდა საგანგებო რაზმი კეიდიას ხელმძღვანელობით. სწორედ ამ რაზმმა გამოააშკარავა ე.ნ. „არამიანცის” სახლში თბილისის სომეხი ბურუუაზის საგანგებო სხდომა, რომელიც ქართულ-სომხური დაპირისპირების დროს ანტიქართულ საქმიანობას ეწეოდა. კრების მონაწილენი დააპატიმრეს.

„საგანგებო რაზმელები” განსაკუთრებით მკაცრნი იყვნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი სერიოზული მუშაობის შედეგად გამომჟღავნდა ბოლშევიკების არაერთი ანტისახელმწიფოებრივი ღონისძიება. ისინი აპატიმრებდნენ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ბოლშევიკებს. მათ პასუხისმგებაში მისცეს: ალიოშა გეგეჭკორი, სერგო ქავთარაძე, გიორგი მახარაძე, ილია მგელაძე და სხვა ცნობილი ქართველი ბოლშევიკები.

სხვადასხვა ორგანიზაციასა და სახელმწიფო სტრუქტურაში საქართველოს მილიციას თავისი უშტატო თანამშრომლებიც ჰყავდა. ისინი თვალს ადგვნებდნენ ორგანიზაციაში პოლიტიკურ კეთილსამედოობას და ამხელდნენ სახელმწიფოს შესაძლო მონინააღმდეგებებს.

მილიციის საგანგებო რაზმებს ჰქონდათ სანქცია, სასამართლოს დადგენილების გარეშე გაეჩხრიკათ ორგანიზაციები და დაწესებულებები მოპოვებული ოპერატიული მასალის საფუძველზე. ამ უფლებას ისინი იყენებდნენ ცნობილი ბიზნესმენებისა და ვაჭრების მიმართაც.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით შინაგან საქმეთა მინისტრს დიდი უფლებები ჰქონდა. მას შეეძლო ოპერატიული მასალის საფუძველზე სასამართლოს სანქციის გარეშე მიეღო გაზეთების გამოცემის შეჩერების გადაწყვეტილება.

მილიციის ქვედანაყოფები აქტიურ მონაბილეობას იღებდნენ ადგილებზე თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების პროცესში, რასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება. მათ სულ უფრო აქტიურად იყენებდნენ როგორც კრიმინალური ელემენტების, ისე სახალხო გამოსვლების, ეთნიკური დაპირისპირებების წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

### სახალხო გვარდია

მარქსისტული სოციალ-დემოკრატია ისეთ პროლეტარულ სახელმწიფოზე ოცნებობდა, სადაც პროფესიათა შორის არ-სებული მკაცრი საზღვრები, ისევე როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, აუცილებლად მოისპობოდა. ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანს უნდა შეეთავსებინა პროლეტარული სამშობლოს დაცვის ფუნქციაც. რეგულარული ჯარი გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველად გამოცხადდა და ამიტომ უნდა გაუქმებულიყო, ხოლო მის ნაცვლად რევოლუციურად განწყობილი ხალხის რაზმები შეიქმნებოდა.

თებერვლის რევოლუციის ვითარებაში, ამ პრინციპული დებულებიდან გამომდინარე, პარტიები აიარაღებდნენ თავი-ანთ მომხრეებს და თითქმის ყველა სოციალისტურ პარტიას თავისი შეიარაღებული რაზმები ჰყავდა. „წითელი რაზმები“ შექმნეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმაც. მაგრამ დრომ მალე აჩვენა ასეთი რაზმების ანარქისტული ხასიათი, უდისცი-პლინობა, რის გამოც თვითონ რუსმა ბოლშევიკებმა კვლავ რეგულარული სამხედრო დანაყოფების შექმნაზე აიღეს ორი-ენტაცია.

საქართველოში კი „ხალხის რევოლუციური შეიარაღების“ ნაშთი, „სახალხო გვარდია“, სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო და სახელმწიფოს არსებობის ბოლომდე ასრულებდა „ანარქიისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ“ მებრძოლი შეიარაღებული ძალის ფუნქციას. ის სოციალ-დემოკრატების საიმედო დასაყრდენი იყო.

სახალხო გვარდია 1917 წლის 12 დეკემბერს შეიქმნა. ამ დღეს განხორციელდა თბილისის არსენალზე თავდასხმა, არ-სენალის დაკავება. ეს დღე გამოცხადდა გვარდიის დაბადების დღედ. ხელისუფლების ჩანაფიქრით, მას არა მარტო პოლიცი-

ის ფუნქციები უნდა შეესრულებინა, არამედ ჯერ არ შექმნილი ქართული არმიის საპირნონეც უნდა ყოფილიყო.

1918 წელს, სოციალ-დემოკრატიის დაუინებული მოთხოვნით, ეროვნული გვარდია, რომელიც მანამდე წითელ გვარდიად იწოდებოდა, ახალი კანონპროექტის საფუძველზე, ოფიციალურად შეიყვანეს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სისტემაში. ამგვარად, გვარდია, რომელსაც პოლიციური ფუნქცია უკვე წინა კანონპროექტის საფუძველზე ენიჭებოდა, ქართული არმიის ნაწილად გადაიქცა და მთავრობის პოლიტიკური მხარდაჭერის მიუხედავად, უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობას დაექვემდებარა. სინამდვილეში ეროვნული გვარდის ხელმძღვანელობა ამ გადაწვეტილებას არად აგდებდა. პარადოქსული სიტუაცია წარმოიშვა, როდესაც შეიარაღებულ ძალებში გაჩნდა სტრუქტურა, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ლინიალური იყო სოციალ-დემოკრატიული მთავრობისადმი.

საქმის ასეთი ვითარება, რომელსაც მთავრობა გარკვეულ-წილად მხარს უჭერდა და გაგებით ეკიდებოდა, ხელს უშლიდა არმიის ერთიანობასა და დისციპლინას. ამას ემატებოდა რეალურ ომში სამხედრო მოქმედებების ჩატარების დროს ეროვნული გვარდის გამოუცდელობა. ბრძოლის დროს მხოლოდ პატრიოტიზმი და სოციალ-დემოკრატიული იდეალებისადმი ერთგულება საკმარისი არ აღმოჩიდა, საჭირო იყო სამხედრო საქმის ღრმა ცოდნა, დისციპლინა და საბრძოლო მოქმედებების წარმართვის გამოცდილება, რაც გვარდიას არ გააჩნდა. მას გარკვეული ყალბი ამბიციები გაუჩნდა იმის შემდეგ, რაც შედარებით ადვილად გაუსწორდა ქვეყნის შიგნით ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცებისა თუ უკმაყოფილო გლეხების მიერ ორგანიზებულ ამბოხებებს. მაგრამ ერთია, საპოლიციო ოპერაცია დაქსაქსული ბანდების წინააღმდეგ და მეორე, — სამხედრო შეტაკებები მოწინააღმდეგის რეგულარულ არმია-სთან. ეს ჭეშმარიტება ძალიან ხშირად ახსენებდა ხოლმე თავს საქართველოს ხელისუფლებას მოწინააღმდეგე ქვეყნების რეგულარულ არმიებთან კონფლიქტების დროს.

სახალხო გვარდიაში ძირითადად ერთიანდებოდნენ სოციალ-დემოკრატიული შეხეძულებების მქონე მუშები და გლეხები. გვარდის მშენებლობას სათავეში ყოფილი ბოლშევიკი, ხოლო ახლა უკვე მტკიცე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი ვალიკო ჯუდელი ჩაუყენეს. მან კარგი ორგანიზაციული თვისებები გამოავლინა და შექმნა საკმაოდ ანგარიშგასაწევი სამხედრო შენაერთი, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ბოლომდე ენდობოდა.

ამ შენაერთებს იყენებდნენ სახალხო მღელვარებებისა თუ ეთნიკური დაპირისპირებების დაშოშმინების, უცხო სახელმწიფოების მხრიდან სამხედრო პროვოკაციებისა და ომების დროს. სახალხო გვარდიაში გაერთიანებული პატრიოტები ცდოლობდნენ, ბოლომდე შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. ქვეყანაში გამეფებული სამხედრო ცხოვრების პარტიზანული სტილი, დისციპლინის მოდუნება, მთავრობის მხრიდან ზედმეტად ხელის დაფარება მათ ბრძოლისუნარიანობას სერიოზულად ასუსტებდა.

ეს ნაკლოვანებები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ უცხოელ დამკვირვებლებს. ცნობილი გერმანელი სამხედრო ექსპერტი, გერმანიის მისიის წარმომადგენელი ბარონი ფონ კრესი საქართველოს სახალხო გვარდიას „რევოლუციური ჯარის ყველაზე უარეს სახეობას“ უწოდებდა. მემუარებში გერმანელი გენერალი იმასაც მიუთითებს, რომ გვარდია „თავის რიგებში უბოროტეს ელემენტებს აერთიანებდა, ყოვლად უსირცხვილო, პრეტენზიულ მოთხოვნებს აყენებდა ანაზღაურებისა და სურსათ-სანოვაგის თაობაზე... ატერორებდა ქვეყანასა და მთავრობას ყველაზე საშინელი ფორმით... ყველა რესტორანისა და სასადილოს გვარდიის სასარგებოდ 20%-იანი გადასახადი ჰქონდა შეწერილი“. ამრიგად, მთელი თავისი არსებობით, „სახალხო გვარდია“ ადასტურებდა, რომ ის ვერასოდეს შეცვლიდა რეგულარულ ჯარს.

## საქართველოს არმია

იმ დროს საქართველოში მეფის არმიის სხვადასხვა რანგის დაახლოებით 7 000 სამხედრო ოფიცერი იყო, მათ შორის ბევრი პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე გამოცდილებამიღებული და თანამედროვე სამხედრო ხელოვნების ჩინებული მცოდნეც-ისინი თავიდანვე ჩადგნენ ახალი საქართველოს მშენებელთა რიგებში და თავიანთი სამსახური შესთავაზეს კიდეც საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ აქ ერთმა „გარემოებამ“ იჩინა თავი - ქართველი ოფიცრების დიდი ნაწილი თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული და მათ სოციალ-დემოკრატები, კლასობრივი ბრძოლის თეორიიდან გამომდინარე, დიდად არ ენდობოდნენ. საქართველოს ხელისუფლების შეცდომა სწორედ ის იყო, რომ იგი ცდილობდა, არმია დაებალანსებინა ლოიალურად განწყობილი ეროვნული გვარდიით, რომელიც სოციალ-დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკურ შეხედულებებს იზიარებდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს არ ჰყავდა ძლიერი რეგულარული არმია. გადან-

ყვეტილების ნაგვიანევად მიღება, ყოყმანი, მერყეობა, ეჭვი დამახასიათებელი იყო მთავრობისათვის, როცა საქმე ძლიერი ქართული არმის მშენებლობას ეხებოდა. ძირითადი მოთხოვნა - ოფიცრების პარტიულობა და რევოლუციური იდეებისადმი მათი ერთგულება იყო.

ჯერ კიდევ 1917 წლის გაზაფხულ-ზაფხულში საქართველოში დაარსდა ქართველ სამხედროთა კავშირი, რომლის ნარმო-მადგენლობით კომიტეტში 30 კაცი შედიოდა. ამ კომიტეტს კავშირის პროგრამისა და წესდების შექმნა, აგრეთვე ქართული სამხედრო კორპუსის სამოქმედო გეგმის შემუშავება დაევალა. პირველ ხანებში ამ კომიტეტს გენერალი ჩივაძე ხელმძღვანელობდა, მაგრამ ის მალე გაათავისუფლეს, რადგან მისი პოლი-ტიკური შეხედულებები არ ემთხვეოდა სოციალ-დემოკრატების იდეალებს. ქართულ არმიაში ხელმძღვანელ პოსტებზე მხოლოდ ის ოფიცრები ინიშნებოდნენ, რომლებიც სოციალ-დე-მოკრატების მიმართ ლოიალობით გამოირჩეოდნენ.

დიდი პრობლემებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, საქართველოს რეგულარული არმია თანდათან ჩამოყალიბდა. დასაწყისში ქართული არმია აერთიანებდა 10 ათას კაცს და მას 100-მდე ქვემეხი ჰქონდა. გერმანელი სამხედრო ექსპერტები მიუთითებდნენ, რომ ქართული არმიის „საბრძოლო თვისებები არაჩვეულებრივად მცირე გახლდათ. რევოლუციური ზეგავ-ლენის წყალობით, არმიაში დისციპლინა მთლიანად მომლი-ლი იყო: ჯარისკაცები უგულისყუროდ ეკიდებოდნენ თავიანთ სამხედრო ჩატარებულ აღმართობასა და გარეგნულ იერ-სახეს, არ ესალმე-ბოდნენ თავიანთ ოფიცრებს, ხოლო ამ უკანასკნელთ აშკარად ეშინოდათ თავიანთი ხალხის“.

უცხოელი სამხედრო ექსპერტები ქართულ უთავბო-ლო ხელგაშლილობაზეც ამახვილებდნენ ყურადებას, როცა მიუთითებდნენ, რომ „სამხედრო სამინიტროს ორგანიზაციის გეგმა პატარა არმიისათვის ითვალისწინებდა — ნამდვილად აღმოსავლური ხელგაშლილობით — ძალიან დიდსა და ძვირ-ადლირებულ აპარატს“. სოციალ-დემოკრატები არა მარტო საკადრო პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში ერეოდნენ, არამედ რჩევა-დარიგებებსაც კი აძლევდნენ ოფიცრებს, თუ სად და როგორ განელაგებინათ არტილერია, რომელი სი-მაღლე დაეკავებინათ სამხედრო თვალსაზრისით უკეთესი თავდაცვის მიზნით, როდის და სად გაეგზავნათ რეზერვი და ა.შ. სამწუხაროდ, იმ დროისათვის, როდესაც ზოგიერთმა სახელმწიფო მოღვაწემ გააცნობიერა მარტივი ჭეშმარიტება, რომ არმიას უნდა ხელმძღვანელობდნენ კომპეტენტური ადა-მიანები და არა პარტიული ლიდერები, უკვე გვიან იყო და

საქართველოს ცაზე დიდი წითელი დროშა ფრიალებდა, ზუსტად ისეთი, როგორიც მენშევიკურმა მთავრობამ ააფრიალა თავისი მმართველობის დასაწყისში და რომელიც ასე დიდხანს ენაცვლებოდა ეროვნულ, დამოუკიდებელი საქართველოს დროშას.

საქართველოს არმიის მშენებლობის პროცესში, სხვადასხვა ეტაპზე, აქტიურად ჩაებნენ სახელოვანი გენერლები გიორგი მაზნიაშვილი, გიორგი კვინიტაძე, ვარდენ წულუკაძე, გენერალი ოდიშელიძე, გენერალ-მაიორი კონიაშვილი, პოლკოვნიკები როსტომ მუსხელიშვილი, ნიკოლოზ გედევანიშვილი და სხვები. სწორედ მათი წყალობით, როგორც ამას უცხოელი დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, „მუშაობა არმიის რეორგანიზაციის ხაზით ნელა მიიწევდა წინ“.

ახალგაზრდა სამხედრო კადრების მოსამზადებლად თბილისში დაარსდა კადეტთა კორპუსი, რომლის აღსაზრდელებმა, მოგვიანებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კოჯრის მისადამებთან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო ეტაპზე ქართული არმია უკვე აერთიანებდა 25-30 ათას კაცს, რომელმაც თავისი მაღალი სამხედრო მომზადება დაადასტურა სხვადასხვა სამხედრო ოპერაციის დროს. ახლა ძნელია იმის მტკიცება, რომ ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები რომ არა, საქართველოს ეყოლებოდა ძლიერი რეგულარული არმია, რომელიც წარმატებით დაიცავდა ქვეყნის დამოუკიდებლობას და მთელ ამიერკავკასიის მისცემდა გადარჩენის შანსს მომდევნო სამოცდაათწლიანი უბედურებისა და ეროვნული დეგრადაციისგან.

### „ქართული ვანდეა“

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს სოფელი მღელვარებამ მოიცვა. ამ ვითარებას ვერ უშველა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამაც. სოციალ-დემოკრატების პარტიული გაზეთი „ერთობა“ ამ პროცესებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის-დროინდელ გლეხთა ვანდეას აჯანყებებს ადარებდა.

სოფლად შექმნილ რევოლუციურ განწყობას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, იწვევდა გაჭიანურებული ომი, მძიმე სოციალური პირობები, ომიდან დაბრუნებული გაბოლშევიკებული ჯარისკაცების რევოლუციური განწყობილებები და თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების მიერ ღარიბ მოსახლეობაში გადასროლილი ლოზუნგი — „დაიტაცე დატაცებული!“

სამეგრელოში, საჩხერეში, დუშეთში, შიდა ქართლში, სამხრეთ საქართველოში გლეხთა ხშირი გამოსვლები მთელი რეგიონების პარალიზებას იწვევდა. გაღატაკებული მოსახლეობა მდგომარეობიდან გამოსავალს ქონების რევოლუციურ გადანაწილებაში ხედავდა, მოითხოვდა მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას, ბრალს სდებდა ხელისუფლებას პასიურობაში. პრობლემებს ოფიციალური ხელისუფლებაც აღიარებდა, როცა მიუთითებდა: „ჩვენსა და გლეხობას შორის ხიდია ჩატეხილი”, „გლეხობას ჩვენ ვერ მივეცით მინა და ეს გარემოებაა, რომ სოფელი ჩვენს მთავრობას აღარ ემორჩილება...”

მთავრობა ცდილობდა, აგრძარული მოძრაობა კანონიერების ჩარჩოში ჩაეყენებინა - დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის დაექვემდებარებინა, ეს კი გარკვეულ დროსა და მოთმინებას საჭიროებდა. გაღატაკებულ ფენებს მოთმინების ფიალა უკვე ავსებოდათ. სახალხო გამოსვლები განსაკუთრებით ძლიერი იყო სამეგრელოში. აქ ალიოშა გეგმურობის 1000-კაციანი გლეხთა ლაშქარი, როგორც უკვე აღინიშნა, სოფლებში ბოლშევიკური ლოზუნგებით რუსულ სოციალიზმს ამყარებდა. ზუგდიდიდან თბილისში შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებდნენ: „ბრძო ისე გათამამდა, რომ თვით ზუგდიდში იქტერენ და იტაცებენ კაცებს, არავითარ სანოვაგეს ქალაქში არ უშვებენ, შეიძლება რაზმელებმა, მილიციონერებმა იარაღი დაყარონ, ბანდები იმდენად გათავსედდნენ, რომ ულტიმატუმსაც აყენებენ”.

1918-1919 წლებში საჩხერესა და ლეჩხუმის რაიონებში, ბორჩალოსა და დუშეთის მაზრებში, მთელ სამეგრელოში, აფხაზეთში მართლაც სერიოზული პრობლემები იყო, რომლებიც მოითხოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამილიციო ძალების აქტიურ ჩარევას. ეს დასტურდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1919 წელს შედგენილი წლიური ანგარიშით, სადაც ახსნილია „ანარქიასთან” ბრძოლის რთული პროცესები და მისი შედეგები. სამხედრო ექსპედიციები კი, ხშირად, შეტაკებებით მთავრდებოდა, რომლის დროს დამნაშავეებთან ერთად რიგითი მოქალაქეებიც ზარალდებოდნენ, იყო ძალის გადამეტების შემთხვევებიც.

სერიოზულ პრობლემას წარმოშობდა ის, რომ ხელისუფლება, რომელმაც რადიკალურად შეცვალა თავისი პოლიტიკური ორიენტაცია, ადრინდელი იდეოლოგიური პრინციპები, ამის შესახებ წაკლებად აწვდიდა ინფორმაციას საკუთარ მოსახლეობას. ერთ-ერთი ასეთი რადიკალური ცვლილება, როგორც უკვე აღინიშნა, განიცადა სოციალ-დემოკრატიულმა თეზისმა „ხალხის საყოველთაო შეიარაღების შესახებ”. ადრე

ეს სოციალ-დემოკრატების საპროგრამო მოთხოვნა იყო და ვარაუდობდნენ, რომ სახალხო შეიარაღება შეცვლიდა მომა-ვალში რეგულარულ არმიას. მაგრამ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიამ გადაწყვიტა ხალხში არსებული იარაღის ამოღება, რაც დუშეთის მაზრიდან დაიწყო. ამან რეგიონში მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლები გამოიწვია. აჯანყებულებმა ფაქტობრივად კონტროლი დააწესეს საქართველოს სამხედრო გზაზეც. მათ დასახმარებლად გამოემართა საშა გეგეჭკორის ბოლშევიკური რაზმიც. ხელისუფლებამ ეს აჯანყება სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარების გამოყენებით სასტიკად ჩაახშო. მოვკიანებით ქვეყანაში განხორციელებულმა აგრარულმა რეფორმამ, გარკვეულწილად, დააწყნარა ქართული სოფელი და სახალხო გამოსვლები შეწყდა.

### აგრარული რეფორმები

1918 წელს საქართველოს მოსახლეობის 75 პროცენტს გლეხები შეადგენდნენ, რომლებსაც ძლიერ აწუხებდათ მიწის ნაკლებობა, რადგან მისი დიდი ნაწილი მიწათმფლობელებს ეკუთვნოდა. რუსეთის იმპერიამ ვერ მოახერხა აგრარული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა, ამიტომ უამრავი სოციალური პრობლემით დატვირთული ქართული სოფელი რადი-კალურ ცვლილებებს ელოდა. სოციალ-დემოკრატიას სოფლის გარდაქმნის ორი გეგმა ჰქონდა შემუშავებული: მთელი მიწების კონფისკაცია (ბოლშევიკურ-ლენინური) და მუნიციპალიზაცია (მენშევიკური). ეს უკანასკნელი გულისხმობდა მიწების გადაცემას ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, რომლებიც იჯარით გასცემდნენ მას მსურველებზე. დაშვებული იყო მიწის კერძო საკუთრებაც, თუმცა, შეზღუდვებით.

ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 7 მარტს მიიღო კანონი მიწათსარგებლობის შესახებ, რომლის მიხედვით, ნადელის საყოველთაო ნორმა კულტურულ მეურნეობებში 7 დესეტინით (დესეტინა უდრის 3600 კვ. საჟენს) განისაზღვრა, ხორბლეულის მომყვანი რეგიონებისათვის ეს მაჩვენებელი 15 დესეტინას უდრიდა, მესაქონლეობის მიმდევარ რაიონებში - 40-ს, მაგრამ ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, თურქეთის ექსპანსიამ გააძნელა აგრარული რეფორმის გატარება და ის, ფაქტობრივად, დამფუძნებელი კრების მიერ აგრარული კანონების მიღების შემდეგ გაგრძელდა.

სოფლის მეურნეობის მიწისტრმა ნოე ხომერიკმა შემოიტანა კანონი, რომლის თანახმად, მიწა გადაეცემოდა მას, ვინც მიწას

ამუშავებდა. დებატების შემდეგ, 1919 წლის 28 იანვარს, ეს კანონი მიიღეს და გლეხებს მინა კერძო საკუთრებაში მიეცათ მისი ყიდვისა და გაყიდვის უფლებით. I კატეგორიის ერთი დესეტინა მინის ფართობი 1000 მანეთი ღირდა, II კატეგორიის მინა - 625 მან., III კატეგორიის - 375 მან., IV კატეგორიის - 250 მანეთი. ყოველმხრივ ხალისდებოდა სახელმწიფო და მუნიციპალური აგრარული მეურნეობების ე.წ. „სახალხო მამულების“ ორგანიზება. ასეთი მამულები შეიქმნა ვარციხეში, წინანდალში, მუხრანში და ა.შ.

იმუამად საქართველოში სავარგული მინის ფართობი 5 მილიონზე მეტი დესეტინა იყო, 3 421 727 დესეტინა მარტო აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა. დასავლეთ საქართველო უფრო მცირემინიანობით გამოიჩინა. 1917 წლის აღნერით, საქართველოში 3 631 სოფელი იყო, რომლებშიც 317 653 კომლი ცხოვრობდა.

მინათმფლობელებს თითქმის ექვსას ათას ჰექტარზე მეტი მინა ჩამოართვეს. მათ დაახლოებით 40 ათასი ჰექტარი მინა დარჩათ, 10 ჰექტარი თითოეულს, რაც მაინც უფრო მეტი იყო, ვიდრე მათი მეზობელი გლეხებისა. ეს გლეხობის გარკვეული სოციალური ფენის უკმაყოფილებას იწვევდა - ისინი მთელი მინის კონფისკაციას მოითხოვდნენ.

საქართველოს გლეხობის დიდი ნაწილი საშუალო გლეხობა იყო, თუმცა სოფლად იყვნენ დარიბი გლეხებიც, ბოგანოები, მოჯამაგირეებიც, რომლებიც მინის ნაკვეთებს არ ფლობდნენ, ემსახურებოდნენ უფრო მდიდარ მეზობელებს, გამძაფრებული ჰქონდათ სოციალური პროტესტის გრძნობა და ბოლშევიკური პროპაგანდისათვის ჩინებულ სამიზნეს წარმოადგენდნენ. მათ შესახებ გაზითი „ერთობა“ წერდა: „საქართველოს სოფელში ისეთი ვითარებაა, რომელიც ბოლშევიზმისათვის ქართულ სოფელს მიდრეკილ ხდის. თანასწორობა მას დღესვე უნდა“.

საქართველოში გადაწყდა საეკლესიო მინათმფლობელობის სეკულარიზაცია, რაც უკრძალავდა კონფესიებს მინის ფლობას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იმედოვნებდა, რომ დაიბრუნებდა ავტოკეფალის გაუქმებამდე მის ხელში არსებულ საეკლესიო მიწებს, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლებისათვის ეს მოსაზრება პრინციპულად მიუღებელი გამოდგა.

საქართველოს მთავრობამ, მინის ფონდის გაფართოების მიზნით, მთელი რიგი საირიგაციო პროექტი განახორციელა. მათ შავი ზღვისპირეთის მიდამოებში დაჭაობებული ზოგი მინაც ამოაშრეს. გარკვეულ ფართობებზე ტყის გაკაფვა და ამ მინის სათეს ფართობად გამოყენებაც დაუშვეს. საქართ-

ველო მცირემინიანი ქვეყანა იყო და ახალი სავარგულების ათვისებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლად აგრარული პრობლემების გადასაწყვეტად. აღნიშნული რეფორმა მიზნად ისახავდა ქართველი თავადაზნაურობის პრივილეგიების შეკვეცას. ქართველი ბოლშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტებიც კი, მემამულეთა მიმართ მთავრობის ამ შეღავათებს აკრიტიკებდნენ და მოითხოვდნენ ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას.

რეფორმას გარკვეული ნაკლიც ახლდა, რაც გასაკვირი არ არის ასეთი დიდი სოციალური პრობლემების მოგვარების პირობებში, თუმცა ქართველი გლეხობისათვის რეფორმა აშკარად ხელსაყრელი იყო. მით უფრო, რომ ის ძირითადად ორ წელიწადში დასრულდა, მაშინ, როცა ქვეყანა ერთსა და იმავე დროს გარეშე მტრებს ეპრძოდა და გლეხურ რევოლუციებს უმკლავდებოდა. ეს საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო.

## მუშები და წარმოებითი ურთიერთობები

სოციალ-დემოკრატების ძირითადი სოციალური დასაყრდენი მუშათა კლასი იყო და ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას, კველა დაწერილი თუ დაუწერელი კანონით, მას უთმობდა. მაგრამ საქართველოს მრავალეროვან მუშათა კლასს სერიოზული პრობლემები ჰქონდა. პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა გამოიწვია ისეთი ეკონომიკური ვითარება, რომელიც პირველ რიგში, მუშათა კლასის სოციალურ მდგომარეობაზე აისახა: შეიკვეცა წარმოება, შემცირდა მოთხოვნა საქართველოში წარმოებულ პროდუქტზე, დაირღვა ეკონომიკური კავშირები, ძლიერდებოდა უმუშევრობა. მუშათა ერთი კატეგორია იძულებული ხდებოდა, სოფელში დაბრუნებულიყო - დაიწყო მუშათა დეკლასირების პროცესი. ეს მდგომარეობა არ იყო დამახასიათებელი მხოლოდ საქართველოსათვის. პირველი მსოფლიო ომით გატანჯული ევროპაც ნელა იშუშებდა ჭრილობებს, ეძბდდა რთული ვითარებიდან სოციალური კატაკლიზმების გარეშე გამოსვლის გზებს.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, მუშათა ინტერესების გათვალისწინებით, რიგი კანონი და დეკრეტი მიიღო, რაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს პოპულარობის შენარჩუნებაში დაეხმარა. სამუშაო დღე განისაზღვრა არა უმეტეს 8 საათისა, კვირაში ერთი გამოსასვლელი დღით. სამრეწველო და აგრარულ სექტორში, სადაც დაქირავებული მუშახელი გამოიყენებოდა, ზეგანავკვეთური მუშაობა დაშვებული იყო მხოლოდ

განსაკუთრებულ შემთხვევებში და ორმაგი ანაზღაურებით. აიკრძალა ბავშვთა შრომა, ქალების დასაქმება საღამოს და ღამის ცვლაში. მუშას წელიწადში ერთხელ ანაზღაურებული შვებულების უფლება ეძლეოდა. ინფლაციის შესაჩერებლად და ხელფასის გაზრდის მიზნით 1919 წლის გაზაფხულზე ხელფასის ზღვარი დაწესდა. ყოველივე ამას უნდა შეექმნა პირობები მუშების ნაყოფიერი შრომისათვის, ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად.

უნდა ისიც ალინიშნოს, რომ სოციალისტური ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა პროფესიული მოძრაობის განვითარება-განმტკიცებას. დარგობრივ პროფესიული მუშათა კლასის მინიჭებულოვანი ნაწილი იყო გაერთიანებული. ისინი ყურადღებას აქცევდნენ შრომის პირობებისა და შრომის კანონმდებლობების დაცვას, ურთიერთობას დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის, ანესრიგებდნენ შრომით კონფლიქტებს, იბრძოდნენ შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

ხელისუფლების ინიციატივით, დაარსდა სპეციალური საარბიტრაჟო კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ მუშები, დამსაქმებლები და დასაქმების სამინისტროს ჩინოვნიკები. პროფესიული მუშაკები მრეწველობის, ბანკების და მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, მუშებსა და დამსაქმებელთა შორის მოლაპარაკებების მოწესრიგების მიზნით, ოფიციალური არბიტრაჟის პროცესში აქტიურად ჩაებნენ.

საქართველოს მრეწველობა გარკვეულ პოტენციალს ფლობდა, რომელიც სერიოზულად დასუსტდა პირველი მსოფლიო ომის ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ძირითადად ეს იყო საშუალო და მცირე მასშტაბის საწარმოები. მრავალრიცხოვანი და დიდი საწარმოები საქართველოში ბევრი არ იყო. ყველაზე დიდ საწარმოდ კვლავ თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები ითვლებოდა, რომელიც მუშათა კლასის ძირითადი სამჭედლო იყო. ბევრი მუშა დასაქმდა თბილისის ტრამვაის სამმართველოში, ჭიათურისა და ტყიბულის სამთამადნო მრეწველობაშიც.

ტრადიციული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის გამო სერიოზული პრობლემები შეექმნა საქართველოს სამთამადნო მრეწველობას და აქ დასაქმებულ მუშათა კოლექტივებს. ომმა სერიოზულად დასცა მარგანეცის ექსპორტი ევროპასა და მსოფლიოში. საჭირო იყო მარგანეცის ექსპორტის გამოცოცლება. ეს, გარკვეულწილად, მოხერხდა საქართველოში გერმანიის ჯარების შემოსვლის შემდეგ, როცა ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ხელშეკრულებები დაიდო. მზადდებოდა კიდევ

უფრო ყოვლისმომცველი ეკონომიკური პროექტები გერმანია-სთან, მაგრამ მსოფლიო ომში „სამთა კავშირის” დამარცხებამ ეს ეკონომიკური პროექტები საბოლოოდ დაასამარა.

ამასთან, მსოფლიოში შექმნილმა ეკონომიკურმა ვითარებამ, საერთო ეკონომიკურმა კრიზისმა, რუსეთთან ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მოშლამ, ახალი ეკონომიკური კავშირების არარსებობამ საქართველოში გამოიწვია ეკონომიკური კოლაფსი. რუსეთიდან აღარ შემოდიოდა პური. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ გაქრა სანვაკიც. ქართული პროდუქციის (ღვინო, ხილი, მარგანეცი და ა.შ.) უზარმაზარი მარაგი დაგროვდა, რომელსაც გასაღების ბაზარი არ ჰქონდა. დაინტ შეუჩერებელი ინფლაცია, ქართული ბონები სწრაფად უფასურდებოდა.

მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლებას შეექმნა ნორმალური პირობები ეკონომიკის ასაღლორძინებლად, თავისუფალი კაპიტალის მოსაზიდად, გადაედგა ქმედითი ნაბიჯები ბიზნესმენების ინტერესების დასაცავად. ხელისუფლება ეკონომიკის გაჯანსაღების აუცილებლობას თვითონაც გრძნობდა, მაგრამ სოციალისტური შეხედულებები და პრინციპები ხელს უშლიდა საბაზრო ურთიერთობის განვითარებას. სამართლიანად შენიშვნავდა ეროვნულ-დემოკრატიების ლიდერი სპირიდონ კედია: „ჩვენ სასიკვდილოდ ვაზიანებთ მრეწველობის ინტერესს და გადაჭარბებით ვიცავთ მუშას”.

მრეწველობაში არსებული პრობლემების მოგვარებას შეეცადნენ საზღვარგარეთული ინვესტიციებით, გაიხსენეს „აბრეშუმის დიდი გზა” და საქართველოს უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული მდებარეობა, მისი ტრადიციული საერთაშორისო ეკონომიკური შესაძლებლობები. ცნობილი ქართველი ბიზნესმენის აკაკი ხოშტარიას დახმარებით მომზადდა რამდენიმე სავარაუდო ეკონომიკური პროექტი. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ფოთის პორტის ეკონომიკური შესაძლებლობებით დასავლეთ ევროპის ინვესტიონების დაინტერესება.

ერთ-ერთი ასეთი შესაძლო ინვესტიონი იყო ჰოლანდიელი ბიზნესმენი ვან მალი. ამ პიროვნებას სატრანსპორტო ფირმები ჰქონდა ინგლისშიც, კარგად იყო ცნობილი საერთაშორისო კლასის ბიზნესმენთა რიგებში, ჰქონდა თავისუფალი კაპიტალი და ჩინებულად ერკვეოდა საზღვაო ტრანსპორტის თავისებურებებში. ვან მალის კაპიტალის მოზიდვის იმედით შემუშავდა „სქართველო-ჰოლანდიის საზღვაო საზოგადოების” პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა რეგულარულ სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენას სტამბოლთან, ხოლო შემდეგ — ევროპასთან. საზოგადოების საწესდებო კოპიტალი გან-

ისაზღვრა 5-6 მილიონი გულდენით (456 ათასი ფუნტი სტერლინგი). პროექტის პირობების მიხედვით, გემებს უნდა ევლოთ პოლანდიის დროშით, სანაოსნო დაფუძნებულიყო პოლანდიის კანონებზე. ვან მალი კისრულობდა, ახალი სანაოსნო კომპანიისათვის გადაეცა ორი პირველი კლასის გემი, თითოეული 1000 ტონა წყალწყისა, რომელიც შეძლებდა 60-70 კაცის გადაყვანას I და II კლასის კაიუტებით. ამის გარდა გემბანზე დაეტეოდა 100-150 კაცი, ხოლო ტრიუმში — 800-1000 ტონა ტვირთი. სააქციო საზოგადოების კანტორა როტერდამში უნდა დაფუძნებულიყო. ხუთი დირექტორიდან ორს დანიშნავდა ვან მალი. საზოგადოების აქციების 30 პროცენტი ვან მალს უნდა გადასცემოდა. ის იტოვებდა უფლებას, მომავალი ორი წლის განმავლობაში შეეძინა აქციათა დამატებით 15 პროცენტი.

აღნიშნულ სააქციო საზოგადოებას საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ფოთში დისლოცირებული საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მთელი ქონება — პორტები, საწყობები, რკინიგზის ხაზები, სატრანსპორტო საშუალებები. მომავალი კომპანიონი მოითხოვდა ახალი გემების ღირებულების ნახევარი ქართულ მხარეს გადაეხადა ან ნაღდი ფულით, ან მისი კუთვნილი აქციებით, რაც იმას გამოიწვევდა, რომ პოლანდიულის ხელში მოექცეოდა სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტი.

აკაკი ხოშტარია უმტკიცებდა მთავრობის თავმჯდომარეს, ნ. ჟორდანიას: — ეს ხელშეკრულება ჩვენთვის ახლანდელ დროში მისაღები და სარფიანია, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ პოლანდიელის წინადადება ეროვნული სუვერენიტეტის ხელყოფად და კომერციული თვალსაზრისით მიუღებლად ჩათვალა, ხოლო 1920 წლის 23 ნოემბერს საბოლოოდ უარყო იგი.

საქართველოს ეკონომიკის ჩიხიდან გამოყვანაზე ბევრს ფიქრობდა საქართველოს ინტელექტუალური ელიტაც. 1920 წელს ნიკო ნიკოლაძემ დაწერა ორი წერილი: „მეთევზეობა და თევზის მრეწველობა ფოთში“ და „ფოთის პორტის მნიშვნელობა მსოფლიო ვაჭრობაში“. პირველ წერილში ხაზგასმული იყო ფოთის აკვატორიაში, სათანადო ინვესტიციების პირობებში, თევზის წარმოების განვითარების პერსპექტივები.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეორე წერილი: მასში დასაბუთებული იყო ფოთის პორტის უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობაში, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის ნავთობით მდიდარი რაიონის (გროზნოს ბასეინის) მსოფლიოს სავაჭრო ორბიტაში მოქცევის საქმეში.

მიუხედავად ყველაფრისა, ეკონომიკის სტაგნაციიდან გამო-

ყვანა ვერ ხერხდებოდა, რაც სერიოზულ სოციალურ პრობლემებს წარმოშობდა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო დასაქმების პრობლემა და შრომის კანონმდებლობის სათანადო დაცვა. რთული ვითარება კიდევ უფრო ამძიმებდა სოციალურ ფონს. რესპუბლიკის სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების გაზრდით ხშირად აქცეუნებდნენ მასალებსა და რეპორტაჟებს საწარმოებში შექმნილი მძიმე ვითარების, ფოთელი დოკურების, ხე-ტყის დამამზადებელი ქარხნების მუშების, რკინიგზის მუშამოსამსახურების დუხჭირი ცხოვრების შესახებ.

მაგალითად, გაზრდით გამოიყენებოდნენ იტყუბინებოდნენ, რომ ფოთის ნავსადგურის ყაზარმული ტიპის საცხოვრებლები გადაჭედილი იყო ადამიანებით. სიბინძურე საშიშროებას წარმოშობდა ათასგვარი გადამდები ავადმყოფობის გასავრცელებლად, არ ჰქონდათ სასმელი წყალი, მუშები იყენებდნენ რიონის მღვრიე წყალს. წვიმის დროს მუშათა უბნები ძლიერ იტბორებოდა, წყალი აორთქლებას ვერ ასწრებდა, ლპებოდა და საშინელი ანტისანიტარია ვრცელდებოდა. ამიტომაც იყო, რომ 1918 წლის ზაფხულში ქალაქში ხოლერის ეპიდემიამ იფერქა.

მიუხედავად იმისა, რომ მუშები სოციალ-დემოკრატების ძირითადი დასაყრდენი ძალა იყვნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ, გაგებით მოჰკიდებოდნენ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, გაფიცვებს მაინც აწყობდნენ. 1919 წლის თებერვალში ძლიერი გაფიცვა დაიწყეს ფოთის ნავსადგურის სახელოსნოს მუშებმა, მეზღვაურებმა და პორტის პროფესიულმა ორგანიზაციამ. გაფიცვა ეკონომიკური ხასიათისა იყო. ექვსი თვის განმავლობაში ისინი მთავრობისაგან ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ, თუმცა მათ ყურადღებას არავინ აქცევდა. მუშები იძულებული გახდნენ შრომის სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენელთან ეჩივლათ. მან მათი პრეტენზიები მართებულად ცნო და აღძრა შუამდგომლობა ხელისუფლებასთან. მსგავსი მაგალითი ბევრი იყო.

ოპოზიციური პარტიები სერიოზულად აკრიტიკებდნენ საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას და მის რადიკალურ შეცვლას მოითხოვდნენ. ეკონომიკაში სერიოზული პრობლემები რომ იყო, ეს საჯაროდ თვით ნოე ყორდანიამაც აღიარა 1920 წლის 13 ოქტომბრის ეკონომიკურ თათბირზე: „დღეს თვითოვეული ჩვენთაგანი გრძნობს, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისაკენ — ჩვენ უკვე მივედით იქამდე”.

საქართველოს ხელისუფლება, რომელიც არსებობის 2,5 წლის მანძილზე ძირითადად შეიარაღებული კონფლიქტების

მოგვარებით იყო დაკავებული, ვერც შეძლებდა ცხოვრები-სათვის ნორმალური ეკონომიკური პირობების შექმნას, როცა არც საზღვარგარეთიდან პქონდა რეალური დახმარება და არც საშინაო რეზერვები მოიპოვებოდა სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის.

## ბურჟუაზია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე სერიოზულად ფიქრობდა ქვეყნის ბურჟუაზიაც. ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები კაპიტალისტური ურთიერთობების დამსხვრევას არ აპირებდნენ, პირიქით - ცდილობდნენ შეექმნათ პირობები კაპიტალიზმის მაქსიმალურად განვითარებისათვის, რასაც უნდა უზრუნველეყო მომავალში ძალუმი სოციალისტური აღორძინება. და მაინც, ამის მიუხედავად, დამოკიდებულება საქართველოს ბურჟუაზიასთან ხელისუფლებას დაძაბული ჰქონდა.

ამის მიზეზი, ალბათ, ისიც უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოს ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი არაქართული წარმოშობისა იყო, წარსულში ისინი ძირითადად რუსეთის იმპერიის ეკონომიკური ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ და დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადებას დაუფარავი გულგრილობით შეხვდნენ. მაგალითად, საქართველოში მცხოვრები სომეხი წარმოშობის ბურჟუაზიის წარმომადგენლები სომხეთ-საქართველოს ომის დროს შემჩნეული იყვნენ სომხეთის სახელმწიფოსადმი არა მარტო სიმპატიებში, არამედ მატერიალურ დახმარებაშიც. ამის გამო რამდენიმე თბილისელი სომეხი ბიზნესმენის საწარმო დაიკეტა, დააპატიმრეს თბილისელი სომეხი ოლიგარქები: ა. მანთაშევი, ს. მანთაშევი, ო. მანთაშევი, პ. მირზოიანცი, ლ. აივაზოვი, და სხვები. იყო სომეხი კაპიტალისტების, ტაიროვისა და ალიხანოვის, ქარხნების გაჩერევების ფაქტებიც.

პირველი მსოფლიო ომის წლებში თითქმის შეწყდა ომამდე საქართველოში მოლვანე ცნობილი ევროპელი კაპიტალისტების როტშილდისა და ნობელის საქმიანობა. პირველმა მსოფლიო ომმა, რუსეთის რევოლუციებმა და მიმდინარე სამოქალაქო ომმა სერიოზულად დააფრთხო ისინი.

საქართველოს ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პარტიები მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, შეეცვალა დამოკიდებულება ბიზნესმენების მიმართ: „საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ უფრო საფუძვლიან მოლაპარაკებას კაპიტალისტებთან, რომ ისინი მოვიზიდოთ ჩვენსკენ... შევქმნათ ისეთი

პირობები, რომ მნარმოებლები კი არ იხიზნებოდნენ აქედან, არამედ მოდიოდნენ ჩვენში”.

ქართველი ბიზნესმენები, შეძლებისამებრ, ცდილობდნენ, ქვეყნისათვის ამ რთულ პერიოდში გაეკეთებინათ დიდი მამულიშვილური საქმე. მათ შორის თავისი მოღვაწეობით გამორჩეული იყო აკაკი ხოშტარია, პიროვნება და ლირსეული მოქალაქე, რომელმაც არაერთი პროექტი შეიმუშავა, რომლებსაც შეეძლო მნიშვნელოვნად წაეწია წინ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

აკაკი ხოშტარიამ თავისი ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია ჯერ კიდევ მეფის რუსეთის იმპერიის დროს დაიწყო: მას აფასებდნენ, ანგარიშს უწევდნენ. განსაკუთრებით სერიოზული ბიზნესი ჰქონდა ირანში, მას კარგად იცნობდა ირანის შაჰიც კი. მოვლენებს გაფუსნრებთ და იმასაც ვიტყვით, რომ ირანში აკაკი ხოშტარიას ბიზნესი იმდენად წარმატებული იყო, ხოლო მისი ეკონომიკური კავშირები ადგილობრივ საქმიან წრეებთან იმდენად მჭიდრო, რომ ხოშტარიასთან საქმიანი ურთიერთობით საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაინტერესდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამაც სცადა, გამოეყენებინა აკაკი ხოშტარიას ეკონომიკური შესაძლებლობები, ლეჩხუმის მაზრის ტერიტორიაზე მდინარე რიონის წყლის რესურსების გამოყენების მიზნით გააფორმა კიდეც მასთან ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რაც დროის უქონლობისა და ქვეყანაში შექმნლი პოლიტიკური სიტუაციის გამო ვერ განხორციელდა.

## თავადაზნაურობა

სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში ქართველ თავადაზნაურობას სერიოზული პრობლემები შეექმნა. მარქსისტული მოძღვრება თავადაზნაურობას საზოგადოებრივი განვითარების რუდიმენტად თვლიდა. სოციალური ურთიერთობების განუვითარებლობამ რუსეთსა და საქართველოში, მარქსისტების აზრით, დააკონსერვა ეს რუდიმენტი, რომელიც აუცილებელად და სწრაფად უნდა წასულიყო ისტორიული ასპარეზიდან. საქართველოში თავადაზნაურობის ხვედრითი წილი 6%-ს უტოლდებოდა. თუმცა მატერიალურად მდიდარი თავადაზნაური საქართველოში სულ თითებზე ჩამოითვლებოდა. ძირითადი წანილი - საშუალო და ლარიბი აზნაურობა

იყო, რომლებიც თავიანთი სოციალური მდგომარეობით უფრო გლეხებს ნააგავდნენ (“შემოდგომის აზნაურები”). საქართველოს თავადაზნაურობის ძირითადი ნავსაყუდელი ქვეყნის შემოქმედებით-საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო სფერო იყო.

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კოლექტიური ქონების ქართველი ხალხისათვის გადაცემის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ქართველი თავადაზნაურობა ყოველთვის იღვნოდა და ემსახურებოდა საერთო კულტურულ და ეკონომიკურ საჭიროება-მოთხოვნილებებს. ახლა კი, პოლიტიკური წყობილების შეცვლის შემდეგ, სახელმწიფოში ან დაწყებული თავისუფლების წიაღში, თავადაზნაურობას ეძლევა საშუალება, გადალახოს წოდებრივი ზღუდენი და გაერთიანდეს მთელ ერთან... თავადაზნაურობას შეგნებული აქვს, რომ ერთს ყველა ელემენტის შეერთებას შეუძლია დაამყაროს საქართველოში ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც შეესაბამება მის ისტორიულ უფლებებს და უკვე მომწიფებულ რეალურ ინტერესებს”. ამ გადაწყვეტილებით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კოლექტიურ საკუთრებაში არსებული 15 მილიონი მანეთის ქონება (მათ შორის კახეთის რეინიგზა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება) ქართველი ხალხის საკუთრებად გამოცხადდა.

თავადაზნაურთა ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მეფის რუსეთის არმიაში მსახურობდა, იყვნენ ოფიცრები, გენერლები. მათ პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე ჩინებული სამხედრო გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩადგა ახალი საქართველოს სამსახურში და საქართველოს არმიის ოფიცერთა კორპუსი შექმნა. ისინი გამოირჩეოდნენ მაღალი დისციპლინით, თანამედროვე სამხედრო ხელოვნების ცოდნით. მათი დიდი უმეტესობა ცდილობდა სიკეთე მოეტანა ქვეყნისათვის. მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას მათ მიმართ მაინც გარკვეული უნდობლობა ჰქონდა.

## სახელმწიფო და ეკლესია

საქართველოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ათეიისტები იყვნენ - ეს კი ის ერთადერთი სფერო იყო, სადაც ბოლშევიკებსა და მენშევიკებს სადავო არაფერი ჰქონდათ. ევროპის სოციალ-დემოკრატიული ტრადიციებიდან გამომდინარე, ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები იზიარებდნენ სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის, სინდისის თავისუფლების,

სკოლის პროგრამებიდან რელიგიური სწავლების ამოღების პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი აქტივისტები, უმტკიცებდნენ ხელისუფლებას, რომ ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოება ქართველი ერის იდენტობის განმსაზღვრელია, რომ მოსახლეობის დიდი უმეტესობა აღიარებს და პატივს სცემს ქართულ ეკლესიას, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღებასა და ზრუნვას, საქართველოს მთავრობა იყენებდა საკანონმდებლო ორგანოში თავის უპირატესობას და მუდამ ბლოკავდა იმ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის უფლებებსა და თავისუფლებებს ეხებოდა.

ეკლესიისა და რელიგიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აისახა საქართველოს პირველ კონსტიტუციაშიც, სადაც ხაზგასმულია: „სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებული და დამოუკიდებელი არიან; არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა; ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია“.

კონსტიტუციის ეს პრინციპები ასახავს ევროპელი დემოკრატების დამოკიდებულებას რელიგიური კულტისადმი, მაგრამ არ ითვალისწინებს ქართულ ეროვნულ ტრადიციას, საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილის იმუამინდელ დამოკიდებულებას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი.

საქართველოში იმუამად ფუნქიონირებდნენ: საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, სომხურ-გრიგორიანული ტაძრები, ეპრაელთა სინაგოგა, მაჰმადინთა მეჩეთები, ვათოლიკეთა და პროტესტანტების სამლოცველოები. ასე რომ, საქართველოში მოსახლეობა არა მარტო მრავალეროვანი, მრავალკონფესიურიც იყო.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, ავტოკეფალის აღდგენის შემდეგ, გარკვეულ პრობლემებს წააწყდა. თითქმის ასი წლის განმავლობაში ავტოკეფალიზართმეულ ეკლესიას, მატერიალურად დამცრობილს, სახელმწიფოს მხარდაჭერას მოელებულს, უჭირდა ფეხზე წამოდგომა, თავისი მიზანდასახულობის რეალიზება. გაღატაკებული იყო მოსახლეობა, ათეიისტური პროპაგანდის წყალობით მრევლიც გაუცხოვდა. მატერიალურად შეჭირვებული ეკლესიის მსახურები უარს აცხადებდნენ ღვთისმსახურების შესრულებაზე. რუსეთის საპატრიარქო და მისი წაბაძვით - მსოფლიო მართლმადიდებლური სამყარო საქართველოს ეკლესიის ავტოკე-

ფალიას არ აღიარებდა, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საქართველოს ეკლესიას.

განახლებული ეკლესიის საჭეთმცყრობელს, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს ბევრი პრობლემა დახვდა გადასაჭრელი. უმთავრესი - ღვთისმსახურებაში ქართული ტრადიციული წეს-განგების აღდგენა იყო. რუსეთის ეკლესია, პირველ ხანებში, ცდილობდა შეექმნა დამატებითი პრობლემები. არ ცნობდა რა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, ის ცდილობდა, გამოეყო რუსი მართლმადიდებლები საქართველოს დანარჩენი მრევლისაგან, ითხოვდა რუსებისა და რუსეთის ეკლესიის ერთ-გული მრევლისათვის განსაკუთრებულ სტატუსს, ცდილობდა აფხაზეთში ქართული ეკლესიისათვის დაეპირისპირებინა ადგილობრივი რუსულენოვანი მრევლი.

ქართული ეკლესიისათვის ასეთ რთულ ვითარებაში, 1918 წლის 27 ივნისს, მარტყოფის მონასტერში მოკლეს დიდი მამულიშვილი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. მისი ადგილი დაიკავა კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ. სწორედ მას მოუწია მთელი იმ სიმძიმის გადატანა, რომელიც დაკავშირებული იყო ათეისტი ხელისუფლების ანტირელიგიურ მოღვაწეობასთან. პატრიარქი ხედავდა, როგორ თანდათან იზღუდებოდა ეკლესიის მოღვაწეობის სფერო - ეკლესიას ჩამოერთვა სასწავლებლები, სკოლებში აიკრძალა საღვთო სჯულის სწავლება, ეკლესიას წართვეს ქონება, განძეული, ეკლესიის მსახურებს შეუწყდათ ხელფასი. უწმიდესი ლეონიდე ცდილობდა, განემტკიცებინა საქართველოს ეკლესიის ერთობა. 1919 წელს ის ენვია აფხაზეთს, მოუწოდებდა მრევლს დაცვათ და შეენარჩუნებინათ დამოუკიდებელი საქართველო. ათეისტი ხელისუფლების გასაგონად კი აცხადებდა: „ჩვენი მთვარობა სოციალისტურია, პრინციპულად ვერ ეგუება ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც, ნუ შეეგუებიან ურთიერთს ეკლესია და სოციალისტები და დროზედ გაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ აქაც სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მარტო სამართლიან დაშორებას ვთხოულობთ სახელმწიფოსაგან, სხვა არაფერს“.

მაგრამ, როგორც დასტურდება, მიუხედავად დეკლარირებისა, საქართველოს მთავრობა გარკვეულ მატერიალურ ზრუნვას მაინც იჩენდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ - შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალებით ყოველწლიურად კათოლიკოსის ბალანსზე ირიცხებოდა 143 812 მანეთი. ეს პრეცენდენტი უნდა აიხსნას საქართველოს ეკლესიის მძიმე მატერიალური მდგომარეობით, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ ჩარევას ითხოვდა.

საქართველოს სხვა კონფესიები - ძირითადად მრევლის ხარ-

ჯზე არსებობდნენ, თუმცა შეძლებისამებრ მათ ეხმარებოდნენ საერთაშორისო კათოლიკური, გრიგორიანული თუ ებრაული ორგანიზაციები. ქართველი მაპმადიანების საზოგადოებრივი გაერთიანებები საქართველოს ხელისუფლებისაგან ითხოვდნენ 80 600 მანეთს, რათა შექმნილიყო საქართველოს მუსლიმანი სამღვდელოების სპეციალური სამმართველო.

თურქეთის სახელმწიფო სერიოზულ დახმარებას უწევდა მაპმადიანურ სარწმუნოებას, განსაკუთრებით აჭარა-ქობულეთის რეგიონში. მოლებისა და ხოჯების დიდი უმეტესობა პროთურქული ორიენტაციის მატარებელი იყო და პროპაგანდას უწევდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნებას თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ბათუმის „აზიზიეს მეჩეთი“ - ანტიქართული პროპაგანდის ძირითადი ცენტრი იყო. მედრესებში მაპმადის სჯულსა და ყურანს ასწავლიდნენ, ქართული ენა კი იდევნებოდა. ინგლისის ოკუპაციის პირობებში მაპმადიანური სარწმუნოების წარმომადგენლებისათვის მუშაობის კარგი პირობები შეიქმნა. საქართველოს იურისდიქციაში ამ კუთხის დაბრუნების შემდეგ (1920 წლის ზაფხული) მაპმადიანური სარწმუნოების წარმომადგენლებმა გააძლიერეს პროთურქული პროპაგანდა.

მიუხედავად სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ცივი დამოკიდებულებისა, დემოკრატიული საქართველოს არსებობის ხანაში ურთიერთობა ძირითადად ცივილიზებულ ფარგლებს არ გასცილება და არ მიუღია ტოტალური ათეისტური ისტერიის ფორმა, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში განხორციელდა ეკლესიისა და მისი მსახურების მიმართ.

## განათლება და კულტურა

რელიგიური განათლების შეზღუდვის პარალელურად, შეძლებისამებრ, დიდი ყურადღება ექცეოდა საერო განათლების ქსელის განვითარება-გაფართოებას. ეროვნული დამოკიდებლობის გამოცხადებამ შექმნა ჩინებული საფუძველი კულტურული ცხოვრების აღმავლობისათვის. ამ პერიოდს თანამედროვენი „პატარა ოქროს ხანასაც“ კი უწოდებენ. ბუნებრივიცაა - საუკუნეზე მეტი ხნის დამოუკიდებლობადაკარგული ხალხი, ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, შეუდგა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას, რომლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ეროვნული კულტურისათვის ზრუნვა გახდა.

ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა სახალხო განათლება. ეს სოციალ-დემოკრატების საპროგრამო ვალდებულება იყო.



## ၁၁၃၂၏အဖွဲ့အစည်း

ସବୁରେ କାହିଁଏବେଳିଲେ କାହିଁଏବେଳିଲେ କାହିଁଏବେଳିଲେ କାହିଁଏବେଳିଲେ

Многое изложено в блогах и на сайтах, но мало что можно сказать о том, как это сделать.

အေဂါနတ် အေဂါနတ် ပေါင်မြန် ဖြစ်၏ အေဂါနတ် အေဂါနတ် ပေါင်မြန် ဖြစ်၏

„Afghanistan“ wurde erstmals 1839 von dem britischen General Sir Charles Napier benutzt.

— 196 —

quintal de arroz integral, sabor, saboroso y saboroso y saboroso.

1922-1923. 1923-1924. 1924-1925.

Հայոց առաջնա իշխանության մէջ, 1817 թվականին ՀԱՀ պատճենագործություն հայտ դրա պահպանին:

—  
—  
—

1) Անցումը պիտույքով հաջո կապեցից շաշվառ անցնելու ու անցնելու մասը՝ բնակչութեան նորոգութեան.

11. Հայոց պատմության մեջ առաջին աշխարհական պատմությունը է Աստվածաշնչը:

it bestimmt die einzelnen Leistungen des Organisationsobjekts.

4) бейтаганын таңбасынан түзүлгөнде көп таңбадандағы шарттар  
мендеги түрлөрдөн таңбасынан түзүлгөнде көп таңбадандағы шарттар.

“**କାହାର ପାଦରେ ମନ୍ଦିର ତଥା କାହାର ପାଦରେ ମନ୍ଦିର**” - ଅଧିକାରୀ, ଲୋକାଙ୍କ ଲୋକାଙ୍କରେ ଏହା.

4) Այսպահանջութեան բարձրաց ընթացքին աշխատ մասնակի և պարզութեան մատչելու պահ:

1) զննութեաց պահ նշանակ առօս նիմունութեաց հաջողական մեջ ընթաց պահանջան էլեմենտ, առաջա այլուր ուժու ընթաց դեմ

1890-1891  
1891-1892  
1892-1893

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო  
დროშა და გერბი.





საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის  
თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.



კათოლიკოს პატრიარქი კირიონ II



დამფუძნებელი კრება



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების  
ერთი ჯგუფი. ცენტრში - ნოე ჟორდანია



სახალხო გვარდია



გენერალი გიორგი კვინიტაძე



გენერალი გიორგი მაზნიაშვილი



გერმანიის იმპერატორის ელჩი  
გრაფი ფიდრიხ - ვერნერ ფონ  
დერ შულენბურგი.



გერმანელი სამხედროები თბილისში.



ინგლისის სამხედრო დესანტი ბათუმში.



მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერები  
თბილისში.



რუსეთის საოკუპაციო  
სადესანტო კავალერიის  
უფროსი დიმიტრი ულობა



რიგითი ქართველი  
ბოლშევიკები.



კოჯორთან დაღუპული იუნკრები.



კომუნისტური რუსეთის მეთერტმეტე არმიის აღლუმი  
თბილისში





თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლები.  
ცენტრში — ივანე ჯავახიშვილი

მნიშვნელოვნად გაიზარდა სასკოლო ქსელი - თუ 1914 წელს საქართველოში ყველა ტიპის მხოლოდ 864 სკოლა იყო 80 ათასი მოსწავლით, 1920 წელს 1924 სკოლაში სწავლობდა 162 ათასამდე მოსწავლე. ქართული სკოლების გვერდით იყო რუსული, სომხური, გერმანული სკოლები. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, პირველდაწყებითი განათლებით მოეცვა არაქართველი მოსახლეობა, რომ ის უფრო ინტენსიურად ჩაბმულიყო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წარმატებით დასრულდა ქართველი ინტელიგენციის მრავალწლიანი მცდელობა და 1918 წლის 26 იანვარს თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი. ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძლვით ივ. ჯავახიშვილს, პ. მელიქიშვილს, ა. შანიძეს, ა. რაზმაძეს, შ. ნუცუბიძეს და სხვ.

დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადებას აღფრთოვანებით შეხვდნენ ქართველი მწერლები, პოეტები. მხცოვან, დამსახურებულ პოეტთა კრებულს შეემატნენ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. იმ წლებში საქართველოშიც გავრცელდა მოდერნისტული მიმართულებები, შეიქმნა ახალი შემოქმედებითი ჯგუფი „ცისფერყანწელები“ (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, კ. ნადირაძე და სხვ.).

ვითარდებოდა ქართული პროზა (შ. ჯავახიშვილი, შ. დადიანი და სხვ.), განსაკუთრებით პოპულარული იყო პუბლიცისტიკა.

აღორძინების გზას დაადგა ქართული სამუსიკო ხელოვნება. თბილისის კონსერვატორია ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების ჭეშმარიტი სამჭედლო გახდა. თბილისის ოპერის თეატრი, რომელიც ადრე რუსული კულტურის ნაწილი იყო მუდამ, თანდათან ქართული რეპერტუარით შეივსო. 1919 წელს წარმატებით დაიდგა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“. იქმნებოდა ახალი საფორტეპინანო და საორკესტრო ნაწარმოებები. გამორჩეული სიყვარული და აღიარება მოიპოვეს მომღერლებმა: ვ. სარაჯიშვილმა, ს. ინაშვილმა და სხვ.

თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ სახვითი ხელოვნების ოსტატებს. ძველი თაობის მხატვრებსა და მოქანდაკეებს (გ. გაბაშვილს, მ. თოიძეს და სხვ.) მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდები: ლ. გუდაშვილი, ე. ახვლედიანი. ქ. მაღალაშვილი და სხვ. პერიოდულად იმართებოდა სამხატვრო გამოფენები და ვერნისაჟები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში.

გარკვეული ყურადღება დაეთმო სპორტის განვითარებასაც. სიძნელეების მიუხედავად შეიქმნა პირველი ქართული სპორ-

ტული ორგანიზაცია „შევარდენი”, რომლის მთავარი ამოცანა მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადება და მასების ფიზიკური აღზრდა იყო.

საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების პოლიტიკა, პრობლემების მიუხედავად, მაინც უზრუნველყოფდა ხელოვნების ზეაღმავალ განვითარებას.

## ყოფა და ცხოვრება

პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო, რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებული საყოფაცხოვრებო ვითარება საქართველოშიც არ შეიძლება ყოფილიყო. ფრონტიდან უამრავი დასახირებული, დაინვალიდებული მოქალაქე დაბრუნდა. სერიოზული, ზოგჯერ გაუსაძლისი პრობლემები იყო საქართველოს თითქმის ყველა ოჯახში. თუმცა, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გარკვეული იმედები აღძრა და ხალისი გამოიწვია მოსახლეობაში. თანდათან დამკვიდრდა და ტრადიციული გახდა 26 მაისის, დამოუკიდებლობის დღესასწაულის საზეიმო აღნიშვნაც. საქართველოს ქალაქები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დღესასწაულის ორიგინალურ ჩატარებაში.

მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ქართველობა ცდილობდა, განემტკიცებინა სახელმწიფო, შეექმნა ახალი სახელმწიფო ცხოვრების სიმბოლოები, დღესასწაულები, დაეძლია წარსული ცხოვრების მანკიერებანი და აეშენებინა უკეთესი მომავალი. ეს პროცესი კი, სამწუხაროდ, ძნელად ხორციელდებოდა: 100-წლიანი კოლონიალიზმის მავნე გადმონაშთები, ჩვეულებაში გამჯდარი მანკიერებანი, მაინც იჩენდა ხოლმე თავს. საქართველოს პრესა ყველა შემჩნეულ ნეგატიურ ფაქტზე რეაგირებდა, ააშკარავებდა მანკიერებას და იბრძოდა მისი აღმოფხვრისათვის.

უკვე შეიმჩნეოდა „პიროვნების კულტის“ სახიფათო სიმპტომებიც - მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე ნოე უორდანიას ძეგლის შესაქმნელად დამფუძნებელ კრებას სთხოვდა დიდ სუბსიდიას. ძეგლი, სავარაუდოდ, ქუთაისში უნდა დადგმულიყო.

ცხოვრების მანკიერი მხარეები საქართველოს უცხოელი მეგობრებისთვისაც თვალში საცემი იყო. გენერალი ფონ კრესი იგონებს ერთ შემთხვევას, რომელიც თბილისის ქუჩაში სეირნობის დროს შეემთხვა: „როცა ერთხელ ანანოვთან ერთად (ცნობილი სომეხი მინათმფლობელი - ავტორები) გოლოვინის პროსპექტზე მივდიოდი, ჩვენ ერთი პიროვნება შემოგვხვდა,

რომელიც თავისი კარგი შესახედაობით და ზღაპრული ელ-ეგანტურობით თვალში მომხვდა. ბ-ნი ანანოვიც ხაზგასმული თავაზიანობით მიესალმა მას. ჩემს კითხვაზე, თუ ვინაა ეს ბატონი, ბ-ნმა ანანოვმა მიპასუხა: „ეს არის თავადი „X“. იგი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე საშიში ყაჩალია, ორი წლის წინ მან მთებში დამიჭირა, თავის სასახლეში წამიყვანა და ძალიან დიდი გამოსასყიდი თანხა გამომძალა. ტყვეობის განმავლობაში, მე, როგორც სტუმარს, დიდი პატივით მექუროდნენ, მაგრამ უეჭველად დავიღუპებოდი, გამოსასყიდი რომ არ გადამეხადა”.

ასეთი იყო ვითარება დემოკრატიულ საქართველოში, სადაც ახალი სახელმწიფოებრიობა იბადებოდა და, ასეთ ვითარებაში როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, დიდ ტკივილს დიდი სიხარულიც თან სდევდა.

### ეროვნებათაშორისი ურთიერთობა

საქართველო მუდამ მრავალეროვანი ქვეყანა იყო. ჯერ კიდევ ჩვ. წ. VI საუკუნეში საქართველოში ჩამოვიდნენ ლტოლვილი ებრაელები, მოგვიანებით მათ შეემატენ ლტოლვილი სომხები, ქურთები, აისორები. ძლიერი მეზობლების განუწყვეტილი თარეშისა და საქართველოს მთელი რიგი რეგიონების (მესხეთ-ჯავახეთი, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო) მიტაცების შემდეგ, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა გაამაჰმადიანეს. მოახერხეს ტრადიციული ქართული კულტურისაგან მათი გაუცხოვება. ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოს დასუსტების შედეგად დაიწყო ჩრდილო კავკასიელი ტომების უკონტროლო მიგრაცია. რუსეთის იმპერიაში ძალმომრეობით გაერთიანების შემდეგ საქართველოში ჩამოსახლდნენ: რუსები, უკრაინელები, გერმანელები, ესტონელები. XIX საუკუნეში რუსეთის წარმატებული ომების შედეგად თურქეთიდან სამხრეთ საქართველოში (ქვემო ქართლში) გადმოსახლდნენ ბერძნები, სომხები. რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა, არ დაეშვა ახლადშემოერთებულ მინებზე ქართული ცნობიერების აღორძინება, ხელს უშლიდა ქართველებს, ენარმოებინათ საგანმანათლებლო მუშაობა ქართველ მუსლიმანებში, რათა აღდგენილიყო შელახული ეროვნული ცნობიერება.

სერიოზული პრობლემები დათესა რუსეთის იმპერიულმა სახელმწიფომ აფხაზეთში, სადაც ადგილობრივ ეთნოსს უკვე აღარ ახსოვდა ერთობლივი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში საკუთარი აქტიური მონაწილეობა, და მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა მათ თავს დაატეხეს „მუჟაჯირობაც“, სოციალური და ეროვნული ჩაგვრაც, მიაკერეს „მოღალატე ერის“

ზედწოდებაც, მაინც XX საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთის ეთნოკრატის მნიშვნელოვანი ნაწილი პრორუსული პოლიტიკის გამტარებელი გახდა.

პირველი იმპერიალისტური ომის შედეგად საქართველოს პორტებს (ფოთს, ბათუმს, სოხუმს) მოაწყდა თურქეთის რეპრესიულ პოლიტიკას გამოქცეული ბერძნებისა და სომხების ახალი ტალღა, რამაც დამატებითი სერიოზული პრობლემები მოიტანა.

საქართველოში იმუამად (1918 წ.) სულ 3 069 548 კაცი ცხოვრობდა, აქედან ქართველი მართლმადიდებელი — 1 843 600, მაჰმადიანი ქართველი — 255 809, ამათ გარდა ცხოვრობდა: სომები — 216 676, რუსი — 148 611, თურქი — 107 456, ოსი 106 083 და ა.შ. ქართველები მოსახლეობის 74,1 პროცენტს შეადგენდნენ. არაქართველი მოსახლეობის დიდ ნაწილს არაფერი აკავშირებდა ქართველებთან, მათი დიდი უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი, არქაული ტრადიციების დამცველი და საკუთარი ეთნოკრატის ბრმად მიმდევარი უბირი მასა იყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ადრე არასოდეს იღვნოდა, ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მონესრიგების მარქსისტულ მეთოდს იყენებდა. მათთვის მთავარი იყო ლოზუნგი: „პროლეტარებმ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ისინი აღიარებდნენ „ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას“, „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ იდეას, რომლის მიხედვით, სახელმწიფოში მცხოვრებ ერებს უნდა მინიჭებოდათ არა ტერიტორიული, არამედ ექსტერიტორიული „ავტონომია“, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ერების გაერთიანებას „ეროვნულ საბჭოებში“. ეს ტიპური მარქსისტული, ავსტრია-უნგრელი სოციალ-დემოკრატების მიერ აპრობირებული, პოლიტიკა იყო.

ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგობრივი პოლიტიკა ყველაზე ნათლად ეროვნული საკითხის გატარების დროს გამოჩნდა. მათ სურდათ საქართველოს ეროვნული სახელმწიფო აქტენებინათ მარქსისტული, ინტერნაციონალისტური მეთოდოლოგიით. სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ ამ პოლიტიკის ნაკლოვანება.

პარტიის იდეოლოგები აშკარად დაბნეულიბას ავლენდნენ. ეს გაზეთ „ერთობის“ პუბლიკაციებიდანაც კარგად ჩანს: „ჩვენი ქვეყანა დღეს დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, ამ მხრივ ეროვნული საკითხი ჩვენთვის აღარ არსებობს“. ასეთი განცხადების შემდეგ ვხვდებით ამგვარ განცხადებასაც: „ორ-

მაგად გონივრული და წინდახედული უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკა". აშკარაა, რომ ახალი საქართველოს იდეოლოგებს ღრმად არ ჰქონდათ გააზრებული ეროვნებათაშორისი ურთიერთობის რთული პრობლემა.

პირველი სერიოზული შეცდომა აისახა დამოუკიდებლობის აქტში და ამან ყველა სხვა შეცდომა და ნაკლი გამოიწვია. ისტორიულ დოკუმენტში ხაზგასმულია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერის“. საქართველოში „ყველა ერი“ არ ცხოვრობდა. საქართველოში ცხოვრობდა ქართველი და აფხაზი ერი. დანარჩენი „ერები“ იყვნენ დიასპორა, „ჩამოტეხილი ერები“, ძირითად ერებს ჩამოცილებული ეთნოსები, რომელებიც სხვადასხვა მიზეზით საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. მაგრამ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა მექანიკურად გადმოიტანეს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ის პოლიტიკა, რომელსაც პარტია ახორციელებდა რუსეთის იმპერიის პირობებში, სადაც, მართლაც, არსებობდნენ „ერები“, რომელებიც შეიძლება გაერთიანებულიყვნენ ექსტერიტორიულ გაერთიანებებში. ისინი მიამიტურად ფიქრობდნენ, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა ერთ მუშტად შეკრავდა ყველა ერის დემოკრატიას სოციალური სამართლიანობის პრინციპების გასამარჯვებლად. ეს პოლიტიკური გულუბრყვილობა და, ამავე დროს, დიდი შეცდომა იყო.

„ეროვნულ საბჭოებში“ საქმე საგანგაშოდ იყო. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსი ძალაუფლებისაკენ მიისწრაფოდა, ცდილობდნენ ჰქონოდათ შეიარაღება, შეექმნათ საკუთარი დიასპორისათვის პრივილეგიები. ზოგჯერ მათი ქმედება აშკარად ანტისახელმწიფოებრივ შინაარსს იძენდა. აი მაგალითიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისში, ე.წ. „არამიანცის სახლში“ განლაგებულ სომხების ეროვნულ საბჭოში მიმდინარეობდა თბილისელი ახალგაზრდა სომხების ჩანერა სომხეთის არმიაში, რომელიც მაშინ საქართველოს ეომებოდა.

„ოსთა ეროვნული საბჭო“, ფაქტობრივად, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებებით იყო დაკავებული, და არაერთხელ ჩაუდგა სათავეში აჯანყებასა თუ პროვოკაციას. სერიოზული პრობლემები ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებას „აფხაზთა ეროვნულ საბჭოსთანაც“. აფხაზების ეთნოერატიის ერთი ნაწილის აქტიურ მუშაობას შედეგად აფხაზებში ჩრდილოეთ კავკასიური ორიენტაციის გაძლიერება მოჰყვა.

მოვლენების განვითარება ადასტურებს, რომ 1917-1921 წლებში აფხაზების დიდი ჯგუფი ფიქრობდა, ქართველებთან

ერთად თანასწორ უფლებრივ ვითარებაში ყოფილიყო კავკა-სიისა და ამიერკავკასიის ფედერაციაში. მას არ სურდა მარტოდმარტო ქართველებთან, დაქვემდებარებულ ავტონომიურ მდგომარეობაში ყოფნა. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა მის ამბიციებს ლახავდა, ტოვებდა რა ქართველი ერის ამარა.

ჯერ კიდევ 1917 წელს, რუსეთში თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისთანავე, აფხაზეთში შეიქმნა დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანო – საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი თავად შერვაშიძის მეთაურობით, რომელმაც იმავე წლის ოქტომბერში ვლადიკავკაზში საკავშირო ხელშეკრულებას (კაზაკთა ჯარების, კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა და სტეპების თავისუფალ ხალხთა კავშირებთან) მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულების სრულ ამოქმედებას ჩრდილო კავკასიაში მდგომარეობის გართულებამ და რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი.

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში აფხაზეთის სახალხო კრების დელეგატებსა და საქართველოს ეროვნული კრების წარმომადგენელთა შორის შეხვედრა შედგა. სწორედ ამ შეხვედრაზე მიაღწიეს შეთანხმებას აფხაზეთის მხრიდან კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირთან კონტაქტის განყვეტისა და მისი შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ.

სოხუმსა და თბილისს შორის შეთანხმებამ აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილის უქამყოფილება გამოიწვია. სოხუმში ინსპირირებული იქნა შეიარაღებული პუტჩი, რომლის შედეგად სოხუმი ე.წ. „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის“ კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. მას ცნობილი აფხაზი ბოლშევიკი ეფრემ ეშბა ხელმძღვანელობდა. ეს კომიტეტი მაღლე გაუქმდა, მაგრამ 1918 წლის 8 აპრილს ბოლშევიკებმა კვლავ შეძლეს სოხუმში ძალაუფლების ხელში აღება.

ამ სიტუაციაში აფხაზეთის სახალხო საბჭომ დახმარებისათვის მიმართა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც აფხაზეთში გვარდიის ნაწილები გააგზავნა. ამგვარად, აფხაზეთის ბოლშევიზაციის საშიშროება იმუშამად ლიკვიდირებული იქნა.

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, აფხაზეთის სახალხო საბჭომ, აფხაზეთის ფარგლებში, მთელი ძალაუფლების თავის ხელში აღება გადაწყვიტა. მოგვიანებით, 1918 წლის 11 ივნისს დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან, რაც ოფიციალური ხელშეკრულების ხელმოწერით დამთავრდა, რომლის მიხედვით, აფხაზეთის სახალხო

საბჭო რეგიონის შიდა მმართველობაზე იყო პასუხისმგებელი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, აფხაზეთის მართვისათვის კრედიტები გამოეყო. აგრეთვე, აფხაზეთის სახალხო კრების დასახმარებლად, წესრიგის დასამყარებლად და მტკიცე ხელისუფლების ორგანიზებისათვის საქართველოს წითელი გვარდიის რაზმის გაგზავნა გადაწყდა. ეს ხელშეკრულება არ უზრუნველყოფდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას, თუმცა იმჟამად ის მისაღები აღმოჩნდა აფხაზეთის ზოგიერთი, საკმაოდ სეპარატისტულად განწყობილი ფენისათვისაც კი. ამგვარად, თუმცა აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი ცდილობდა სრული დამოუკიდებლობა მიეღო, მათ ლიდერებს ესმოდათ რეგიონში შექმნილი მდგომარეობა, სადაც, ერთი მხრივ, აფხაზეთს თურქეთისაგან სრული ოკუპაცია ემუქრებოდა და, მეორე მხრივ, მის ტერიტორიაზე ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების დიდი აღბათობა არსებობდა. სწორედ ამიტომ მათ ამ ეტაპზე საქართველოსთან სწორედ ამგვარი ურთიერთობა აკმაყოფილებდათ.

თბილისში დადებული ხელშეკრულება ხელს არ აძლევდა ბოლშევიკებს, ამიტომაც 1918 წლის ზაფხულში მათ სოხუმის მიმართულებით იერიში განახორციელეს და ახალ ათონს მიუახლოვდნენ. ამ გარემოებამ აფხაზეთის სახალხო საბჭო აიძულა, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სწრაფი ზომები მიეღო. სასწრაფოდ შეატყობინეს საქართველოს მთავრობას და 1918 წლის 18 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა გენერალ მაზნიაშვილის სახელზე სამტრედიაში დეპეშა გააგზავნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ გენერალი მაზნიაშვილი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის ჯარების სარდლად ინიშნებოდა. მიზანი სოხუმის დაცვის ორგანიზება იყო, რათა ბოლშევიკებისათვის არ მიეცათ ქალაქები შესვლის საშუალება, შემდეგ კი კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ და აფხაზეთი ბოლშევიკებისაგან გაეწმინდათ.

თავის მხრივ, ბოლშევიკები, რომლებმაც უკვე დაიკავეს ახალი ათონი, რეზერვს ელოდნენ, რათა სოხუმის მიმართულებით შეტევაზე გადასულიყვნენ.

ამ მომენტით მარჯვედ ისარგებლა გენერალ მაზნიაშვილის ჯარმა. 1918 წლის 27 ივნისს მათ ბოლშევიკებს შეუტიეს და გუდაუთისკენ დაახვინეს. ბოლშევიკები გუდაუთაშიც ვერ გამაგრდნენ და უკან დახევა განაგრძეს. მათ ჯერ გაგრა დატოვეს, ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ კი - სოჭიც. ამ ქალაქის აღების ბრძანება გენერალმა მაზნიაშვილმა აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და საქართველოს მთავრობისაგან მიიღო.

სოჭის შემდეგ ხოსტაც აიღეს. ბოლშევიკებმა კი ტუაფსესაკენ დაიხიეს. გენერალ მაზნიაშვილის მოგონებებიდან ჩანს, რომ ქართული ჯარების წინსვლა ტუაფსესკენ სასურველი არ იყო და საქართველოს მთავრობისთვის გაგზავნილ წერილში ის რეკომენდაციას იძლეოდა, დაეწყოთ თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა მდინარე შაკის გასწვრივ, რომ აეცილებინათ ბოლშევიკების შემდგომი უეცარი იერიშები და მათი შემოჭრა აფხაზეთის ტერიტორიაზე. მაგრამ საქართველოში ხორბლისა და ნავთობის მწვავე ნაკლებობამ და ყუბანის რადას მთავრობის დაპირებამ შეღავათიან ფასებში ხორბლისა და ნავთობის მიყიდვის შესახებ, აიძულა საქართველოს მთავრობა უარი ეთქვა გენერალ მაზნიაშვილის შემოთავაზებულ თავდაცვის გეგმაზე. მას ტუაფსეზე გალაშქრება უბრძანეს. 26 ივლისს შეუპოვარი და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ქართულმა ჯარებმა აიღეს ტუაფსე, განაგრძეს იერიში და ბრძოლით აიღეს სტანიცები ბელორეჩენსკაია და კრივენკოვსკაია. ამგვარად, გენერალ მაზნიაშვილის ამოცანა განხორციელდა.

ქართული არმიის აქტიური მოქმედების დროს, ალექსანდრე შერვაშიძისა და ტატაშ მარშანიას მომხრეებმა თურქეთის საზღვაო დესანტის გადმოსხმის ორგანიზება შეძლეს. ეს დესანტი უმთავრესად აფხაზი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა, რომლებიც მეფის რუსეთმა ჯერ კიდევ 1877 წელს აფხაზეთიდან ძალით გაასახლა და ახლა თურქეთში ცხოვრობდნენ. მათი მიზანიც სოხუმის აღება იყო. თუმცა დესანტი დროულად აღმოაჩინეს და გენერალ მაზნიაშვილის ჯარებმა ის ალყაში მოაქციეს. დესანტის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შემდეგ გ. მაზნიაშვილმა ბრძანება გასცა, მთელი დესანტი ორ ბარუაზე განეთავსებინათ და ისევ ბათუმში გაეგზავნათ, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ თურქეთის ოკუპაციის ქვეშ იყო.

1918 წლის სექტემბრის დასაწყისში დენიკინის მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელობამ და ყუბანის მთავრობამ საქართველოს ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, რომ ქართული ჯარები სოჭიდან და მისი ოლქიდან გაეყვანათ, რადგან ისინი მთელი შავი ზღვის გუბერნიას და, მათ შორის სოჭის ოლქს, განიხილავდნენ როგორც ყუბანის ნაწილს.

სადაც საკითხების მოსაგვარებლად ეკატერინოდარში, მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად, საქართველოს მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი და გენერალი გ. მაზნიაშვილი გააგზავნა. მოლაპარაკება 1918 წლის 25 სექტემბერს გაიმართა, როცა მოხალისეთა არმიის წარმომადგენლებმა საქართველოს დელეგაციას კატეგორიულად მოსთხოვეს სოჭის ოლქისა და გაგრის ყუბანის რე-

სპუბლიკის შემადგენლობაში აღიარება და იქიდან ქართული ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა.

ქართულმა მხარემ გაგრაზე რუსეთის ყოველგვარი პრეტჩითა უარყო და, თავის მხრივ, დაუინებით მოითხოვა, რომ სოჭის ოლქი დროებით საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილიყო, მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

1918 წლის ნოემბერში წითელი არმია, რომელიც დონისაკენ მოინევდა დენიკინის ჯარებმა გაანადგურეს და უკუაქციეს. ამგვარად, დენიკინმა, რომელიც რუსეთის სამხრეთში მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდა, გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ, იარაღის ძალით გადაეჭრა საქართველოსთან საზღვრების საკითხი და ლოზუნგით — „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი” — ჯარები საქართველოსკენ დაძრა. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი დაპპირდა საქართველოს მთვარობას — იგი საქართველოზე თავდასხმას არ დაუშვებდა. 1919 წლის 6 თებერვალს მოხალისეთა არმიის ჯარებმა შეუტიეს და გაანიარაღეს მცირერიცხოვანი ქართული რაზმი სოჭში, დაიკავეს მთელი ოლქი, შემდეგ გაგრა და მდინარე ბაიტან შეჩერდნენ. ამავდროულად, ალექსანდრე შერვაშიძემ, მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, სოხუმში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სცადა. მოწყობის დაირაღებული პუტჩი. აფხაზეთის სახალხო საბჭოს ოპერატიული მოქმედების შედეგად სამთავრობო ჯარებმა აფხაზეთის სახალხო საბჭოს შენობის გათავისუფლება შეძლეს და პუტჩის თავკაცები დააპატიმრეს.

1919 წლის 15 თებერვალს ნოე უორდანიამ ბრიტანეთის 27-ე დივიზიის მეთაურს ამიერკავკასიაში გენერალ უოკერს მოსთხოვა, რომ დენიკინს გაგრა დაეტოვებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო თვითონ შეძლებდა თავისი საზღვრების აღდგენას.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა დენიკინს მოსთხოვეს გაგრის დატოვება, ხოლო ქართველები გააფრთხილეს, რომ მათ ქალაქის ძალით აღებაზე უარი ეთქვათ. მაგრამ დენიკინი გაგრის დატოვებას არ აპირებდა. 1919 წლის თებერვალში მდ. ბზიფის გასწვრივ, დაპირისპირებულ მხარეთა შორის ინგლისელთა ასეული ჩადგა. ამ აქციას დიდად არ შეუშლია ხელი ქართველებისათვის, რომლებმაც გენერალ გედევანიშვილის სარდლობით გადალახეს მდინარე ბზიფი და რამდენიმე დღეში დაიკავეს ტერიტორია მდ. მზიმთამდე. თუმცა მალევე ქართველებმა ოდნავ უკან დაიხიეს და მდ. მეხადირთან განლაგდნენ.

აფხაზეთში ვითარების გართულების პარალელურად დაიძაბა ვითარება შიდა ქართლში, ოსებით დასახლებულ რე-

გიონში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სამხრეთ ოსეთის სახალხო კრება და ეროვნული საბჭო შეიქმნა, რომელთა მიზანი იყო ე.ნ. „სამხრეთ ოსეთის“ გამოყოფა ცალკე ად-მინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად. ამ ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობით 1918 წლის მარტში, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ოსებმა აჯანყება მოაწყეს, რამაც ქართველებთან სისხლიანი შეტაკება გამოიწვია. ამ აჯანყების შედეგად ქალაქი ცხინვალი დაინგრა და გაიძარცვა. ცხინვალში წესრიგის დასამყარებლად შესული ქართული წითელი გვარდის რაზმი მთლიანად გაანადგურეს.

1919 წლის 23 ოქტომბერს დაიწყო ოსთა მეორე აჯანყება. აჯანყების მიზანი ბოლშევიკურ რუსეთთან შეერთება იყო. ამ აჯანყებას მხარი დაუჭირეს ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმაც. საქართველოს მთავრობამ ეს აჯანყებაც ჩააქრო. და ბოლოს, 1920 წლის მაისში, საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან წითელი არმიის ნაწილების შემოტევისას, ოსები კვლავ აჯანყდნენ და სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რუსეთთან შეერთება გამოაცხადეს. ამჯერად ეს აჯანყება განსაკუთრებული აგრესიულობითა და მასშტაბურობით გამოირჩეოდა. ქართულმა არმიამ გენერალ კვინიტაძის ხელმძღვანელობით მკაცრად ჩაახშო იგი.

აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მონახა ოს მოსახლეობასთან ურთიერთობის დარეგულირების მექანიზმი. მოუხედავად იმისა, რომ ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილი „სამხრეთ ოსეთის“ ფარგლებს მიღმა ცხოვრობდა, ქართველებთან ინტენსიურ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მჭიდრო ეკონომიკურ ვთარებაში, მთავრობამ ვერ გამოიყენა ეს მდგომარეობა და ვერ უზრუნველყო საყოველთაო მშვიდობა. რუს ბოლშევიკებს აყოლილი ოსი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არა მარტო რუსეთთან შეერთებას ითხოვდა, არამედ ეწეოდა მეზობელი ქართველი მოსახლეობის ტრადიციულ ძარცვა-რბევას, რომლის შესახებ, ჯერ კიდევ ადრეც, გულისტკივილით ამახვილებდა ყურადღებას ოსური ლიტერატურის კლასიკოსი კოსტა ხეთაგუროვი.

პრობლემები იყო სამაპადიანო საქართველოშიც, სადაც სერიოზულად მუშაობდა თურქეთის სახელმწიფო, რომლის მიზანი იყო ამ რეგიონში პროთურქული განწყობილებების ხელშეწყობა. 1919 იანვარს ახალციხის რაიონში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყება ადგილობრივი მემამულეების მიერ იყო ინიცირებული, ისინი სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ამ რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა 1919 წლის 18 იანვარს გამოაცხადა ქა-

ლაქ ყარსში მუსულმანური ნაციონალური საბჭოსა და მე-9 თურქული არმიის ხელმძღვანელობის ინიციატივით. აჯანყების მიზანი ახალქალაქის და ახალციხის ოლქების, და მომავალში, აგრეთვე ბათუმის ოლქის საქართველოდან მოწყვეტა და ყარსის ოლქთან, არდაგანის და ოლთისის მაზრებთან მიერთება და სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის ტერიტორიის გაფართოება იყო. ძნელია ერთმნიშვნელოვნად დავასახელოთ აჯანყების მიზეზი. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის უხეშმა მოქმედებამ მენშევიკური მთავრობის ემისრის ლეო რუხაძის ხელმძღვანელობით, ვარკვეული როლი შესასრულა მოსახლეობის საპროტესტო განწყობილების ჩამოყალიბებასა და გალრმავებაში. სწორედ ამით მოხერხებულად ისარგებლეს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის მთავრობასთან დაკავშირებულმა ძალებმა. აჯანყებულებმა აიძულეს ქართული არმიის შედარებით მცირე კონტინგენტი, რომელსაც გამოცდილი გენერალი მაყაშვილი ხელმძღვანელობდა, და, დაეტოვებინა ახალციხე და ახალქალაქი. გენერალ მაყაშვილის მოქმედებებით უკმაყოფილ საქართველოს მთავრობამ გადააყენა იგი, ახალციხის მიმართულებით არმიის სარდლად გენერალი მაზნიაშვილი დანიშნა და მას ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. სამწუხაროდ, დაპირებული დახმარება მაზნიაშვილმა ვერ მიიღო აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების გამო. მაზნიაშვილის ჯარმა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე უკან დახევა განაგრძო და დატოვა რიგი დასახლებული პუნქტი ანურის ჩათვლით. ამ წარუმატებლობით გულდაწყვეტილმა საქართველოს მთავრობამ გაიწვია გენერალი მაზნიაშვილი და მის ადგილზე გენერალი კვინიტაძე დაინიშნა.

საქართველოს ხელმძღვანელობას არ შეეძლო, ან არ უნდოდა იმ უბრალო ფაქტის აღიარება, რომ გამარჯვებისათვის აუცილებელია ძლიერი ჯარი და რომ ვერავინ, ისეთი ბრნინვალე გენერალიც კი, როგორიც იყო გიორგი მაზნიაშვილი, ვერ შეძლებდა დადებითად გადაეწყვიტა ბრძოლის შედეგი ასეთი ჯარის გარეშე. სწორედ ეს მოითხოვა მთავრობის გან გენერალმა კვინიტაძემ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის განკარგულებაში შემოვიდა მისი გაანგარიშებით აუცილებელი სამაშველო ჯარი, კვინიტაძემ შეტევის ბრძანება გასცა. მთელი რიგი წარმატებული საბრძოლო ოპერაციების შედეგად მისმა ჯარმა გაათავისუფლა ახალციხისა და ახალქალაქის ოლქები და აღადგინა ქართული კონტროლი არდაგანის ოლქზე. იმავე დროს, 27-ე ბრიტანული დივიზიის დახმარებით სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა ყარსისა და კაზიზმანის ოლქების უდიდესი ნაწილის ოკუპირება მოახდინეს. 1919 წლის

12 აპრილს თვითგამოცხადებული სამხრეთ-დასავლეთ კავკა-  
სიის რესპუბლიკა გააუქმეს, მისი ლიდერები კი დაიჭირეს.

ასეთ ვითარებაში პროქართული დაჯგუფების - მემედ  
აბაშიძის პოლიტიკური გაერთიანების მოღვაწეობა განსა-  
კუთრებით დასაფასებელია, მაგრამ ხელისუფლება, რომლისთ-  
ვისაც მიუღებელი იყო „ტერიტორიული ავტონომია”, აჭი-  
ანურებდა სამაკადიანო საქართველოს ავტონომიის შესახებ  
საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. მოგვიანებით, საქართ-  
ველოს კონსტიტუციაში დაფიქსირდა აფხაზეთსა და სამუს-  
ლიმანო საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭების ფაქტი, მა-  
გრამ რა შინაარსისა იქნებოდა ეს ავტონომია, კონსტიტუციაში  
ნათქვამი არ იყო.

რატომ გამწვავდა ასე ძალიან ეროვნებათაშორისი ურთ-  
იერთობები საქართველოში 1918-1921 ნლებში?

მთავარი და უპირველესი, ჩვენი აზრით, იყო არსებული  
პოლიტიკური რეალობის არაადეკვატური აღქმა. საქართველოს  
მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიამ, რომელიც მუდამ წინააღ-  
მდეგი იყო რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს დამღა-დაქუც-  
მაცებისა და მსოფლიო პროლეტარიატის ინტერნაციონალურ  
ერთობაზე ოცნებობდა, იძულებული გახდა, ეროვნული სახელმ-  
წიფოს მშენებლობა დაეწყო ძველი - სოციალ-დემოკრატიული  
ილუზიებით აღსავსე პროგრამით. რეალობა კი მოითხოვდა,  
რომ საქართველოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიას რადი-  
კალურად შეეცვალა თავისი ეროვნული პროგრამა. მაშინ ეს  
არ გაკეთდა. პირიქით, ქართველმა მემარჯვენე სოციალ-დე-  
მოკრატებმა როგორც შემდგარი ფაქტი, ისე მიიღეს ვირტუა-  
ლურ ოცნებაში არსებული „თამარისდროინდელი საქართველო”  
და მთელ ამ ტერიტორიაზე პრეტენზია განაცხადეს.

ობიექტური ვითარების გამო ადგილობრივმა მცხოვრებლებმა  
(როგორც ქართველებმა, ისე არაქართველებმა) დაივიწყეს  
ერთიანი საქართველოსადმი დამოკიდებულება, ისტორიული  
კავშირები და ამიტომაც, მაინცდამაინც, საქართველოს  
დამოუკიდებლობა და მასთან დაქვემდებარებული  
პოლიტიკური კავშირი დიდ სიკეთედ არ მიიჩნიეს. საჭირო  
იყო ამ მიმართულებით მუშაობა, დიდალი მატერიალური და  
სულიერი რესურსი, მაგრამ ამისათვის არც დრო იყო და არც  
საშუალება მოიძებნებოდა. ამიტომაც სიტყვიერი აპელირებები,  
ხშირ შემთხვევაში, რჩებოდა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა  
შინა”.

სერიოზულ შეცდომად ჩანს, რომ ცნება „ავტონომია”,  
რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო იმ პერიოდში  
ეთნოკრატიის ლიდერებს შორის, საქართველოს ხელისუფლებამ

სატყუარად გადაქცია. შეიძლება ითქვას, რომ, როგორც აფხაზეთში, ისევე სამუსლიმანო საქართველოში, „ავტონომია”, „ფართო ავტონომია”, რომელიც ენინაალმდეგებოდა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ეროვნულ პროგრამასა და პოლიტიკას, იყო ვირტუალური დაპირება, რომლის შეუსრულებლობა მუდამ აღიზიანებდა მეორე მხარეს.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები მარქსისტები, რევოლუციონერები იყვნენ. ისინი აღიარებდნენ ძალმომრეობას - როგორც ისტორიული განვითარების მნიშვნელოვან დემიურგს. ხელისუფლებაში ყოფნის დროს მათ ვერ მოიშორეს რევოლუციური ფრაზეოლოგია და ცდილობდნენ, მაგრამ ვერ აიცილეს თავიდან „გათავისუფლებული მონის სინდრომიც”. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ჩინოვნიკებში, მილიციასა და სახალხო გვარდიის რიგით წევრებში. ამისი ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. დამფუძნებელი კრების წევრი პ. ი. ბრული ბორჩალოს მაზრის რუსული, გერმანული და სომხური სოფლების შემოვლის შემდეგ აღნიშნავდა: „კომისრების, გვარდიელების, ოფიცერების, მილიციონერების, ზოგიერთი ერობის მუშაკისა და ჩინოვნიკის საქმიანობა აღწერას არ ექვემდებარება... პატარა მეფეებივით იქცევიან. ეს პირდაპირ დაცინვაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, დემოკრატიზმი ძლივს შეიმჩნევა. სამაგიეროდ უხვად არის არათუ ნაციონალიზმი, შოვინიზმიც კი”.

ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ დამფუძნებელი კრების წევრმა პ. გელეიშვილმა იმოგზაურა აჭარაში და თავის მოხსენებაში იქ ანტიქართული ტენდენციების გაძლიერება აღნიშნა.

იმ წლებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო ჩარევა სხვადასხვა კონფლიქტურ სიტუაციაში ყოველთვის არ იყო გონივრული და ვითარებასთან ადეკვატური. რა თქმა უნდა, ამბოხებული ქართული რეგიონების (დუშეთის, სამეგრელო, საჩხერე და სხვ.) ნინაალმდეგაც იგზავნებოდა დამსჯელი ექსპედიციები, მაგრამ არაქართულ რეგიონებში (აფხაზეთი, სამაჩაბლო, ბორჩალო) ობიექტური მიზეზებით (ბოლშევიკური ამბოხება, სეპარატისტული გამოსვლები) განხორციელებული სამხედრო ოპერაციების დროს, ალბათ, აჯობებდა, უფრო ლოიალური, უფრო რბილი პოლიტიკა გაეტარებინათ.

განსაკუთრებული უსამართლობა და სიმკაცრე გამოიჩინეს ქართველმა მილიციონერებმა ახლადშემოერთებული ქობულეთის სოფელ კოხში, სადაც უბრალო შელაპარაკების გამო ადგილობრივი მუსლიმანი ქართველი ჯერ სასტიკად სცემეს,

ხოლო მერე, როცა დაზარალებულმა თავისი შეურაცხმყოფლები დახოცა, ქართული მილიციის აქ ჩაყენებულმა ნაწილმა მთელი სოფელი გადაწვა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებას ოფიციალურად აღიარებდნენ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და მისი პირველადი უჯრედები საკმაოდ აქტიურად იყენებდნენ მართვის რევოლუციურ მეთოდებს, რევოლუციური მიზნების გამართლებით აპატიმრებდნენ მოქალაქეებს, ჩხრეკანენ ბინებსა და დაწესებულებებს, ართმევდნენ ქონებას, საქონელს, საცხოვრებელ ბინასაც კი - და ეს ყველაფერი სასამართლოს სპეციალური სანქციის გარეშე ხდებოდა. არის უამრავი დოკუმენტი, რომლებიც მიანიშნებს, რომ თვითონ შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი აქტიურად იყენებდა ამ მეთოდებს - რეკვიზიციას, დაპატიმრებებს, ჩხრეკას პროკურორის სანქციის გარეშე. როგორც უკვე აღინიშნა, შინაგან საქმეთა მინისტრი სასამართლო სანქციის გარეშე, მხოლოდ დასმენის საფუძველზე, აპატიმრებდა, ხურავდა არაქართულ პრესას, თუკი მასში რაიმე არ მოენონებოდა, ან მას საქართველოს სახელმწიფოსათვის მავნედ მიიჩნევდა.

დანაშაულს სჩადიოდა ზოგიერთი არაქართველი ეთნოსის ეთნოკრატიაც. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო წრეგადასული პრეტენზიები და პოლიტიკური ამბიციები. ეთნოკრატიის ინტერესი ყოველთვის ერთია - არ დაკარგოს ზეგავლენა ეთნოსის მართვის პროცესებზე, უზრუნველყოს საკუთარი ბატონობა და მოახერხოს მაქსიმალური პრივილეგიების მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეთნოკრატიის ეს თავისებურება კარგად ჰქონდათ შემჩნეული პოლიტიკურ ხელმძღვანელებსა და იდეოლოგებს. გაზეთი „ერთობა“ იმ წლებში წერდა: „აფხაზეთის თავადებს ასულდგმულებთ სიძულვილი დემოკრატიისადმი. ნუ შეეხებით მემამულების მინებსა და ბატონობას, დაიცავით ფეოდალური პრივილეგიები და აფხაზეთის გაბატონებულ წრეებში თქვენ იპოვით ერთგულ მეგობრებს, რომლებიც ისევე ერთგულად მოითხოვენ აფხაზეთის გაქართველებას, როგორც დღეს იმავე აფხაზების გარუსებას მოითხოვენ. სწორედ ეს კლასიკური, წოდებრივი ინტერესებია, რომ გაბატონებულ წრეებს ხან თურქოფილად ხდის, ხან დენიკინებლად ან ბოლშევიკად“.

იმუამად, განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოში, ეთნოკრატია, ძირითადად, თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული და „დემოკრატიასაც“ სწორედ ისინი წარმოადგენდნენ. ამ კუთხის თავადაზნაურული ინტელიგენციის

ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე საქმაოდ დიდი იყო.

საინტერესოა, რომ ეთნოკრატიის ცალკეული, ყველაზე უფრო პროქართულად განწყობილი პოლიტიკური ლიდერის „დემოკრატიულ ფრაზეოლოგიაში” იმ ნლებში ჩინებულად ინილბებოდა განკერძოების, სეპარატიზმის მუხტები, კლასობრივი, რელიგიური და კუთხეური თავისებურებები. საყოველთაოდ ცნობილია მემედ აბაშიძისა და მისი პოლიტიკური ჯგუფის დიდი ღვაწლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედა-სამმობლოსთან დაბრუნების საქმეში. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მ. აბაშიძის მიერ შედგენილი „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტისა”, ფაქტობრივად, მოითხოვს მუსლიმანი ქართველებისათვის „სახელმწიფოს სახელმწიფოში”, რადგანაც ის ითვალისწინებს სრულ დამოუკიდებლობას სარწმუნობრივ საქმეში, შარიათზე დაფუძნებულ სასამართლოს, სწავლა-განათლებას მედრესებში, სოფლის მეურნეობის მინის მუსლიმანური კანონის მიხედვით მოწყობას, ვაჭრობის დამოუკიდებლობას და ა.შ.

ეს პროექტი სერიოზული საფრთხის შემცველი იყო. მისი რეალიზაცია გამოიწვევდა საქართველოს უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ რეგიონში ძირითადი ეთნო-სოციალური და ეთნო-კულტურული გარემოს დაკონსერვებას, საქართველოს სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის პროცესის კიდევ უფრო შეფერხებას.

კიდევ უფრო წრეგადასული იყო „ოსი დემოკრატიის” წარმომადგენლების პრეტეზზიები საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების მიმართ. საქართველოს ოსებს თავადაზნაურობა არა ჰყავდა. მის ფუნქციას ყოფილი სტრაუნიკები, გაბოლშევიკებული ჯარისკაცები ასრულებდნენ, რომლებიც ვერ ფარავდნენ რუსეთთან შეერთების სურვილს. ამ მიზნით ისინი აჯანყებებსაც კი აწყობდნენ, რომელსაც თან ერთვოდა მორიდიორობის საშინელი ფაქტები, რაც პრობლემებს უქმნიდა თბილისს. არასამართლებრივი სურვილები და პრეტეზზიები წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციას, ქმნის დაძაბულობის კერებს. ეთნოკრატიის ეს წარმომადგენლები არ ითვალისწინებდნენ არც თავიანთი პრეტეზზიების ისტორიულ, სამართლებრივ საფუძვლებს, არც ობიექტურ რეალიებს და, პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილები, აყენებდნენ ისეთ წინადადებებს, რომლებსაც ვერანაირი დემოკრატიული მთავრობა დადებითად ვერ გადაჭრიდა, რადგან ეს გამოიწვევდა სახელმწიფოს ისტორიული ტერიტორიების გასხვისებას, ეს კი საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში პოლიტიკური კულტურის დონე საქართველოში, განსაკუთრებით პროვინციებში, მაღალი არ იყო. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი არ აღემატებოდა 36,7 პროცენტს, სოფლად ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო, ხოლო არაქართული ეთნოსებით დასახლებულ რეგიონებში - წერა-კითხვა თითო-ოროლა კაცმა თუ იცოდა. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ერკვეოდა პოლიტიკურ ვითარებაში, არ ესმოდა სახელმწიფოს დასავლური თუ აღმოსავლური პოლიტიკური ორიენტაციის მნიშვნელობა, ვერ არკვევდა არსებულ პოლიტიკურ ჯგუფებსა და მიმართულებებს შორის განსხვავებებს.

ამიტომაც იყო შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ელექტორატი (სოფელი) ერთნაირი ენთუზიაზმით აძლევდა ხმას პროქართულ, პროთურქულ, პროაზერბაიჯანულ რეზოლუციებს. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში 1919-1920 წლებში განსაკუთრებით გააქტიურდნენ მეზობელი სახელმწიფოების ემისრები, რომელებიც ხვდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ცრუ დაპირებებს აძლევდენ მათ. ელექტორატიც მათვის სასურველ გადაწყვეტილებას იღებდა. ასეთი ანტიქართული რეზოლუციები მიღებულია აფხაზეთის, ოსების სოფლებში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ახალციხე-ახალქალაქის) რეგიონებში იმისდა მიხედვით, თუ რომელი პოლიტიკური ძალა ეუფლებოდა ადგილობრივ ტერიტორიას.

ადგილობრივი ეთნოკრატიის პრეტენზიები და მოსახლეობის დაბალი კულტურულ-პოლიტიკური დონე, მძიმე სოციალური ვითარება, საკუთარი ეთნოსის პრიმატის აღიარება, დე-მოკრატიული საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებისა-დმი უპატივცემულობა, საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჩვენი სახელმწიფოს ერთგულებისთვის არ განაწყობდა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ჯერ კიდევ ძლიერი იყო „ნიკოლოზის რუსეთის“ — ცხოვრების შედარებით მაღალი დონისადმი ნოსტალგიის გრძნობა. ეს სატყუარა, ძირითადად, საქართველოს არაქართველ ეთნოსებზე ახდენდა ზემოქმედებას და ეს განწყობილება აშკარად იკვეთებოდა ნებისმიერი პოლიტიკური თუ სამხედრო კრიზისის დროს. ეს კი იწვევდა ამ რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის საშიშ განწყობას ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

როცა ქართულ-სომხური დაპირისპირების შემდეგ სპეციალურმა კომისიამ ბორჩალოს სომხურ სოფლებში ვითარება შეისწავლა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაარწმუნეს კომისიის წევრები, რომ ისინი საქართველოსადმი

ლოიალურები არიან, მაგრამ ფაქტები აშკარად ადასტურებდნენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უმეტესობა მხარს უჭერდა სომხეთის სახელმწიფოს. ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა 1921 წლის თებერვალში, როდესაც სწორედ ამ კუთხის მცხოვრებლები აუჯანყდნენ საქართველოს მთავრობას და, კომუნისტებისაგან შეგულიანებულებმა, ქართველი ბოლშევიკების წინამდლოლობით, შემოიყვანეს საქართველოში საბჭოთა რუსეთის XI არმია.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ „რუსთა ეროვნულმა საბჭომ“, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა პრეტენზიულობით, 1921 წლის 26 თებერვალს, კომუნისტური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მეორე დღესვე, შეწყვიტა თავისი უფლებამისილება „რადგან ხელისუფლება გადავიდა ახალი მთავრობის ხელში, რომელიც მმართველობის ორგანიზაციას ახორციელებს საბჭოთა სისტემის საფუძველზე, რაც იძლევა კანონის წინაშე ყველა ერის თანასწორობის გარანტიას“. აშკარაა, რომ თბილისელ რუსებსა და მათ ლიდერებს ტოტალიტარული რუსეთი ერჩიათ დემოკრატიულ საქართველოს. ამით „ეროვნულმა საბჭომ“ გამოავლინა არსებული ანტიქართული მუხტი, რომელსაც მთელი თავისი არსებობის მანძილზე გულდასმით ნიღბავდა ლოიალობის მანტიის ქვეშ.

## საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა

### ამიერკავკასია და მსოფლიო პოლიტიკა

ამიერკავკასია მსოფლიო გეოსტრატეგიული ინტერესების ერთ-ერთი გზაშესაყარია დღესაც და ასეთივე იყო XX საუკუნის დასაწყისშიც. უხსოვარი დროიდან ამიერკავკასიაზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი საქარავნო გზები. შუა საუკუნეების მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ბრძოლა კავკასიის გადმოსასვლელებისათვის, დარიალისა და დერბენიდის უღელტეხილების დაპყრობა-დამორჩილება, იქ გაბატონება.

XIX საუკუნის დასასრულიდან, ბაქოს ნავთობისა და ჭიათურის მარგანეცის საბაზოების ექსპლოატაციით დაიწყო ახალი ერა სამხრეთ კავკასიის ხალხებისთვის. რეგიონის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. გერმანიის ეკონომიკური ინტერესები ახლო აღმოსავლეთში მთლიანად განსაზღვრული იყო მისი მზარდი ეკონომიკური მოთხოვნილებით. ჭიათურის მარგანეცის

საბადოს ექსპლოატაციის დაწყებისთანავე გერმანიის საქმიანი წრების წარმომადგენლები დაინტერესდნენ საბადოთი და გარკვეული უფლებებიც მოიპოვეს მასზე: აქ წარმატებით ფუნქციონირებდა გერმანული „გიზელეირხენის“ სააქციო საზოგადოება, რომელიც სისტემატურად ზრდიდა მაღნის დამუშავების მაჩვენებლებს და გაპქონდა ის ევროპაში.

ბაქოს ნავთობის ექსპლოატაცია, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში უკვე კოლოსალურ გაქანებას მიაღწია, მსოფლიო მოპოვების 40 პროცენტს შეადგენდა და ხარბად იზიდავდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მნარმოებელს: აქ ინტერესები ჰქონდათ ნობელს, როგორიცაც მირზოევსა თუ რომანოვს. საბადოსადმი ინტერესი განსაკუთრებით აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც ექსპლოატაციაში შევიდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი, ხოლო ბათუმის ნავსადგური საერთაშორისო ეკონომიკურ წრე-ბრუნვაში ჩაება. ბათუმის მნიშვნელობა სწრაფად გაიზარდა. მან მსოფლიო ბიზნესის გიგანტების, და, აქედან გამომდინარე, მათი სახელმწიფოების ყურადღება მიიძყრო.

სანამ რუსეთის იმპერია ამ ტერიტორიებს აკონტროლებდა, რეგიონში „მოთამაშე“ ქვეყნები ლოდინის პოზიციას ინარჩუნებდნენ და რუსეთის სუვერენიტეტს აღიარებდნენ. პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში ბოლშევიკური ავანტურის შემდეგ, ეს რეგიონი „უპატრონი“ გახდა და მან სწრაფად მიიქცია ევროპის წამყვანი ქვეყნების ყურადღება.

### ურთიერთობა გერმანიასთან

1918 წელს რეგიონში მთავარ „მოთამაშედ“ გერმანია ითვლებოდა. კაიზერმა ვილჰელმ II-მ შეძლო რუსი ბოლშევიკების მიერ ბრესტ-ლიტვოსკეში მიღწეული ზავის საფუძველზე ძალების გადაჯგუფება, უზარმაზარი მატერიალური რესურსების მიღება (გერმანიამ დაიკავა მთელი ბალტიისპირეთი, პოლონეთი, უკრაინა და ბელარუსია, რუსეთმა გაიღო დიდი რეპარაციები და ა.შ.), ასე რომ, სამხრეთ კავკასიაში გერმანია - თურქეთის ალანისი იმჟამად დაუმარცხებელი ჩანდა.

გერმანიის დიპლომატია მეთოდურად ანგრევდა რუსეთის ზეგავლენას სამხრეთ კავკასიაში, აყალიბებდა ამ ტერიტორიაზე ახალ ვასალურ სახელმწიფოებს, რომლებიც გარეგნულად „დამოუკიდებლები“ იყვნენ. თავისი ზეგავლენის განმტკიცება რეგიონში სურდა თურქეთსაც, რომელიც გერმანიასთან დადებული პოლიტიკური შეთანხმებების მიუხედავად, საკუთარ ინტერესებს - პანთურქული პოლიტიკის განმტკიცებას არ ივიწყებდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ინტერესი გერმანიისადმი გასაგები ხდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია, ევროპაში ყველაზე დარაზმული და ძლიერი, სახელმწიფოს გვერდით დადგა და მხარი დაუჭირა | მსოფლიო ომში თავდაცვით პოლიტიკას. ქართველ პოლიტიკოსებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიასთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების მომხრე იყო ქართველ პატრიოტთა ერთი ჯგუფი, რომლებმაც უკვე ომის წინა პერიოდში ინტენსიური კავშირი დაამყარეს გერმანიის სპეცსამსახურებთან და სწორედ მათი დახმარებით ვარაუდობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამრიგად, 1918 წლის მაისში, ბოლშევიკების გარდა, საქართველოს პოლიტიკური სპექტრი გერმანიასთან ალიანსის მომხრე იყო. თვითონ გერმანიაც არ იყო წინააღმდეგი, რომ საქართველო გერმანიის მფარველობის ქვეშ შესულიყო. ეს საკმაოდ არაორაზოვნად გამოხატა წოე უორდანიასთან შეხვედრის დროს გერმანიის წარმომადგენელმა, გენერალმა ფონ კრესმა. თვითონ წოე უორდანია 1918 წლის ზაფხულში გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი შემდეგი მიზეზებით ხსნიდა: „... ჩვენი ურთიერშორის დამოკიდებულება იყო ლიონალური, მეგობრული, გულწრფელი. იგივე გერმანელები იმავე დროს სრულიად სხვანაირად მოიქცნენ უკრაინაში. იქ ისინი თვით სვამდნენ მთავრობას, სურვილისამებრ ცვლიდნენ მას, ანყობდნენ შინა ურთიერთობას — ერთი სიტყვით, იქცეოდნენ როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. რით აიხსნება ეს ორი სხვადასხვა საზომი ჩვენი და უკრაინის მიმართ? უეჭველია, ერთი გარემოებით: იქ იყო სრული ანარქია, შინაური ბრძოლა, ბოლშევიკების თარეში, პატიათა ჭიდილი, უწესრიგობა და უთავობა. გერმანელთ კი ეჭირვებოდათ წესრიგი, და ისეთი მთავრობა, რომელსაც ერი სცნობდა და მას ნორმალურად წარმოადგენდა და მართავდა. ჩვენში კი სწორედ ის პოვეს, რასაც ეძებდნენ — წესრიგი, მთელი ერი მთავრობის ირგვლივ დარაზმული, არავითარი ქაოსი და ანარქია — ერთი სიტყვით, ნამდვილი თანამედროვე სახელმწიფო”. რამდენად სამართლიანი იყო მთავრობის თავმჯდომარის ეს, გვიანდელ მემუარებში საკუთარი თავისა და შთამომავლობისათვის გამხელილი დასკვნა, ამაზე დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ. მაგრამ იმუამად გერმანიასთან ალიანსი საქართველოსთვის ყოველმხრივ მისაღებად ჩაითვალა.

სწორედ ამიტომაც, 1918 წლის 28 მაისს ფოთში დაიწყო

მოლაპარაკება გერმანიის იმპერიასა და საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის. საქართველოს მთავრობისათვის, ალბათ, ერთადერთი ოპტიმალური ვარიანტი თურქების შემოტევების შესაჩერებლად, გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება იქნებოდა. ამიტომ დაიდო „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“.

რაში მდგომარეობდა საქართველო-გერმანიის 1918 წლის 28 მაისის შეთანხმების არსი? ამ დოკუმენტის მიხედვით, იმპერიული გერმანია საქართველოს მთავრობას „დე ფაქტოდ“ აღიარებდა და ომის პირობებში საქართველოს რკინიგზებზე გერმანიის კონტროლს აწესებდა. მომავალი ეკონომიკური პროგრამისა და სესხის შესახებ საქართველოს მთავრობა კონტრაქტს დებდა გერმანიასთან. საქართველოს მთავრობა აგრეთვე იმედოვნებდა, რომ გერმანია ხელს შეუწყობდა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას და დაეხმარებოდა საქართველოს სტაბილურ, კარგად ორგანიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში.

დადებული ხელშეკრულება საქართველოს რკინიგზებსა და ნავსადგურებზე გერმანიის კონტროლის დამყარებას ითვალისწინებდა. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მხარეს გერმანიისათვის უნდა გადაეცა მის პორტებში დისლოცირებული ყველა გემი: სამგზავრო ხომალდი, ბუქსირები, ბარჟები, მოტორიანი ნავები, ბოგირები-

გერმანიის საქმეში ჩარევამ ნავარაუდევი შედეგი არ გამოიღო — დამოუკიდებელი საქართველო იძულებული გახდა თურქეთისათვის, აჭარასთან ერთად, ახალციხე და ახალქალაქიც დაეთმო. მაგრამ ეს იყო მშვიდობა, რაც საქართველოს მთავრობას აძლევდა დროს, რომ გადაჯგუფება მოეხდინა და გერმანიის დახმარების იმედით დაკარგული ტერიტორიების ნაწილის დასაბრუნებლად დიპლომატიური ბრძოლა დაწყო.

1918 წლის 7 ივნისს ფოთის ნავსადგურში გერმანიის დიდი სამხედრო ხომალდი შემოვიდა. 3-4 ათასი ჯარისკაცი ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევებით ქალაქის სხვადასხვა უბანში განლაგდა. ფოთიდან ოპერატიული დავალებების შესასრულებლად ყოველდღიურად გადიოდა რკინიგზის ეშელონებით 200-კაციანი სამხედრო რაზმები.

გერმანიის წარმომადგენელი ფონ კრესი და გერმანიის ელჩი საქართველოში გრაფი შულენბურგი საქართველოში ავტორიტეტული პირები გახდნენ, რომელთა რჩევას, კრიტიკულ შენიშვნას იზიარებდნენ თბილისში და ანგარიშსაც უნევდნენ. გერმანიის ელჩი იმხანად ახალგაზრდა დიპლომატი იყო. საქა-

როველოს წინაშე გაწეული დამსახურებისათვის ის წმინდა მეფე თამარის ორდენითაც კი დაჯილდოვდა და მას გერმანიის „რკინის ჯვრის“ ორდენის ქვემოთ ატარებდა (საყურადღებოა, რომ ॥ მსოფლიო ომის წინ ის გერმანიის ელჩი იყო საბჭოთა კავშირში და სწორედ მან გადასცა საბჭოთა ხელისუფლებას გერმანიის ოფიციალური ცნობა ომის დაწყების შესახებ).

გერმანელები ეხმარებოდნენ ქართველებს შეიარაღებული ძალების ორგანიზებაში. არსებობს ფონ კრესის დეპეშა, რომელშიც საუბარია გენერალ მაზნიაშვილისათვის ჯავშანტექნიკის მიწოდების თაობაზე, გერმანელების მონაწილეობაზე კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების განმუხტვის ღონისძიებებში და ა.შ.

ეს თანამშრომლობა აშკარად აღიზიანებდა ბოლშევიკურ რუსეთს. მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის ზაფხული მისთვის მძიმე გამოცდის პერიოდი იყო - მოხდა სამოქალაქო ომის ესკალაცია, „ანტანტის“ მხარდაჭერით გულმიცემული „თეთრი მოძრაობა“ თითქმის მოსკოვს უახლოვდებოდა, სერიოზული პრობლემები იყო სამხრეთით, სადაც ძლიერდებოდა დენიკინის მოხალისეთა არმია, კომუნისტური რუსეთის ოფიციალური პრესა გესლიანი სტატიებით იკავოფილებდა იმუამად შესუსტებულ მოთხოვნებს.

განსაკუთრებით გააღიზიანა მოსკოვი თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, დიდების ყოფილ ტაძართან (თანამედროვე „სამხატვრო გალერეა“) საქართველოსა და გერმანიის ერთობლივმა სამხედრო აღლუმმა. იმ დღეს, 11 ივლისს, საღმოს 5 საათზე დიდების ტაძართან განლაგებული აღლუმის წინ გამოვიდნენ აფიციალური პირები: მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი, გერმანიის რწმუნებული გრაფი შულენბურგი, საქართველოს სამხედრო მინისტრი გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი ბაბერი. მთავრობის თავმჯდომარე ჩაატარა აღლუმის ინსპექტირება და სიტყვით მიმართა გერმანიის მხედრიონს. ამ სიტყვაში ნ. რამიშვილმა ჩამოაყალიბა საქართველოს მხარის პოზიცია, გერმანიისათან მეგობრობის სურვილი, და დასასრულს გამოთქვა რწმენა, რომ ქართული და გერმანული არმიები, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, შეძლებდნენ წესრიგის დამყარებას. საპასუხო სიტყვაში გრაფმა შულენბურგმა გამოთქვა იმედი, რომ გერმანიის საიმპერიო ჯარები და საქართველოს მხედრიონი მუდმივად მეგობრულ ურთიერთობაში იქნებიან და მტკიცედ დაიცავენ ერთმანეთის კანონიერ ინტერესებს.

სამხედრო ინტერესებთან ერთად გერმანიას დიდი ეკონომიკური ინტერესებიც ჰქონდა. სისხლისმღვრელი ომის ვითარე-

ბაში მას ამიერკავკასია ესაჭიროებოდა, როგორც ნედლეულის წყარო: მარგანეცი, ხე-ტყე, ქვანახშირი. საქართველო იყო ტრანზიტი ბაქოს ნავთობისაკენ, აგრეთვე საქართველოსა და ამიერკავკასიის რეინიგზების საშუალებით შეიძლებოდა ჩრდილო ირანში შესვლა, ინგლისის ინდოეთის კოლონიებში შეღწევა და ა.შ. ამიტომაც ეს მეგობრობა იმჟამად ორმხრივ სასარგებლო ჩანდა.

თუმცა ეს თანამშრომლობა ყოველთვის უპრობლემო არ იყო. მაგრამ იმ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება გერმანიასთან ურთიერთობის გაუარესებას გაურბოდა და ბევრ რამეზე თვალს ხუჭავდა. ახალშექმნილ სახელმწიფოს სურდა ევროპელი მფარველის მხარდაჭერა და ამ მიზნით ბევრ დათმობაზე მიდიოდა. ამ ვითარებას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება იდეოლოგიურ საფუძველს უძებნიდა და მოსახლეობას ამ პოლიტიკის გაგებისაკენ მოუწოდებდა.

1918 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია თავის გერმანელ კოლეგებთან ერთად ორ ქვეყანას შორის ფართო ხელშეკრულების მოსამზადებლად ინტენსიურად მუშაობდა გერმანიაში. მთავარი დაბრკოლება საბჭოთა რუსეთის რეაქცია გახდათ, რომელიც გერმანიისა და საქართველოს მორის „დეისურე“ მოლაპარაკების წინააღმდეგი იყო. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, გერმანიის ზენოლის გამო, დათმო და ოფიციალურად განაცხადა, რომ თუმცა თვითონ რუსეთს საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ არ უღიარებია, ის არ ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატების მე-13 პუნქტის თანახმად, გერმანიის მხრიდან მის აღიარებას. 1918 წლის 3 ოქტომბერს ხელშეკრულების ხელმოსაწერად ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ამჯერად გერმანიამ ვერ შეძლო ამის გაკეთება, რადგან გერმანიაში დაიწყო სამთავრობო კრიზისი, რაც ნოემბრის რევოლუციაში გადაიზარდა. გერმანია ოში დამარცხდა, საქართველოს გერმანიაზე ორიენტაცია უეცრად გაკოტრდა. გერმანიასთან ხელმოსაწერად გამზადებული როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური შეთანხმებები პროექტებად დარჩა და, ცხადია, აღარასოდეს შესულა ძალაში. გერმანიის დატოვებამდე, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრის დროს, საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელი ზურაბ ავალიშვილი ესაუბრა დოქტორ გრიბერტს, რომელმაც ქართველებს მეგობრული რჩევა მისცა: „ეცადეთ „ანტანტის“ ქვეყნები რაც შეიძლება სწრაფად გადმოიბიროთ თქვენს მხარეზე. ეს ძნელი ამოცანა იქნება, რადგან მოკავშირე სახელმწიფოები, რომელთა მიზანიც გაერთიანებული რუსეთის

აღდგენა იქნება, ყოფილი სასაზღვრო ქვეყნების წინააღმდეგ გამოვლენ. უფრო მეტიც, ახლა სომხები, ალბათ, „ანტანტის” ფავორიტები გახდებიან. „ანტანტა” შეეცდება ცრემლი შეუშროს და მათი პრეტენზიები თქვენს რაიონებზე - ბორჩალოსა და ახალქალაქზე - დაუკმაყოფილოს”. ეს სიტყვები ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება აღმოჩნდა, კეთილმოსურნე მეგობრისა-გან მიცემული.

### ურთიერთობა თურქეთთან

გერმანიას, სურდა ეს თუ არა, თავისი მოკავშირის - თურქეთის ინტერესებზეც უნდა ეზრუნა. საქართველოს პოლიტიკოსების სურვილი, დაედოთ თურქეთთან უანექსიონ და უკონტრიბუციონ ზავი, ვერ განხორციელდა. თურქებმა ულაპარაკოდ წაიღეს 1877-1878 წლებში რუსეთთან წაგებული ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები და მას 1829 წელს დაკარგული - ახალციხის საფაშოს ტერიტორიებიც მიაყოლეს. თურქეთის ზენოლის შედეგად საქართველოს მხარე იძულებული გახდა, ხელი მოეწერა 1918 წლის 4 ივნისის „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებისათვის”, რომლის ძალით საქართველო აღიარებდა თურქეთის სუზერენიტეტს წართმეულ მინებზე.

ამ ტერიტორიებზე რთული, გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა. საქართველოს ეს ისტორიული ტერიტორიები თავისებურებით ნიკოლოზ II დროსაც გამოიჩინებოდნენ. გეოსტრატეგიული მდგომარეობით საინტერესო ეს მხარე რუსეთის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და ყველა შესაძლო ხერხით ცდილობდა აქ რუსული ზეგავლენის დამკვიდრება-გაძლიერებას: აქ ასახლებდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან წამოსულ კოლონისტებს, ადგილზე ინახავდნენ რუსული ჯარის დიდ კონტი-გენტს, ულვივებდნენ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას ანგიქართულ განწყობილებას და ა.შ.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ რუსეთს ამ მხარეში დახვდა ძლიერი მაჰმადიანური ზეგავლენა, მოლებისა და ხოჯების განუსაზღვრელი ძალაუფლება, შარიათის წესები და ტრადიციები. თურქეთი ამ ტერიტორიებზე საკუთარი ზეგავლენის შესანარჩუნებლად დიდ თანხას ხარჯავდა და გარკვეულ შედეგებსაც აღწევდა - გაბატონებული კლასების მნიშვნელოვანი წანილი, ქართველი მაჰმადიანები „სედაი მილეთის” პროთურქულ ორგანიზაციაში იყვნენ გაერთიანებული, ისინი თურქეთთან კვლავ შეერთებაზე ოცნებობდნენ. ეს ორივე იმპერია - თურქეთი და რუსეთი სახსრებს არ ზოგავდა რეგიონში თავიანთი ინტერესების დასაცავად.

სრულიად მარტო დარჩა ქართული ეროვნულ-გამათავი-სუფლებელი მოძრაობა, რომლის იდეოლოგები, ხშირად სი-ცოცხლისათვის რისკის ფასად, ცდილობდნენ ეროვნული ცნობიერების აღდგენას. ამაში მათ მხოლოდ ქართული ინ-ტელიგენციის მოკრძალებული მცდელობა და ქართული ენის ძლიერება ეხმარებოდა. ახლა კი - თურქეთის ოკუპაციის პირობებში, ქართველი პატრიოტების მცდელობას, მიეღწიათ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ერთიანობისათვის - სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

თურქეთი I მსოფლიო ომის პერიოდში აუტსაიდერი ქვეყანა იყო. რუსეთმა მას არაერთხელ მიაყენა სერიოზული დარტყმა - მურლულთან გაუნადგურა ჯარის საუკეთესო ნაწილები, აიღო ტრაპიზონიც კი. „ანტანტა“ თურქეთის დაშლას, მის ნაცვლად კი ახალი სახელმწიფოების შექმნას ფიქრობდა, რუსეთი კონ-სტანტინოპოლის მითვისებაზე ოცნებობდა, სომხები კი - ტი-გრან დიდის „დიდ სასომხეთზე“. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სომხებს ამ უტოპიურ იმედებს „ანტანტის“ ლიდერებიც, მათ შორის რუსი მონარქისტებიც, ულვივებდნენ, რაც მიზეზი გახდა სომხების ანტითურქული გამოსვლებისა. ეს კი საბაბად გამოიყენეს თურქებმა და მუსრი გაავლეს სომებს მოსახლეობას.

გაღიზიანებული თურქი დამპყრობელი, რომელმაც საქა-რთველოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით „სახე“ შეინარ-ჩუნა და გარკვეული გამარჯვებაც მოიპოვა, საქართველოს-გან მიტაცებულ მიწებზე მურვან-ყრუსავით იქცეოდა. თურქი ასკერები ქრისტიან მოსახლეობას საცხოვრებელი ადგილე-ბიდან ერეკებოდნენ. ამ საქმეში მათ ზოგიერთი მაჰმადიანი ქართველიც ეხმარებოდა. ბორჯომი, ფოთი და სხვა ქალაქები აივსო თურქების მიერ განდევნილი ქართველი, რუსი, სომები მოსახლეობით.

ბათუმში ჩამოვიდა თურქეთის სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშაც, რომელმაც საზეიმოდ განაცხადა, რომ თურქეთმა უკან დაიბრუნა ძალით ნართმეული მიწები და „ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედა სამშობლოს“.

თურქების მხარდაჭერით რეგიონში გაძლიერდა პროთურქუ-ლი ორიენტაცია, „სედაი მილეთის“ საქმიანობა.

ახალქალაქის რაიონში თურქების ძალმომრეობის შედეგად გაწყდა რამდენიმე ათასი მაცხოვრებელი. თვითმხილველე-ბი ყვებოდნენ, რომ რაიონში სურათის მხრივ აუნერელი გაჭირვება იყო, თითქმის ყოველ სახლში შეხვდებოდით შიმშ-ილისაგან ლოგინად ჩავარდნილ ქალებსა და ბავშვებს. ბალახის ჭამით ტუჩებდახეთქილ და ღრძილებჩავებულ ადამიანებს.

თურქეთის ხელისუფლებამ, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, გადაწყვიტა, ოკუპირებულ მიწებზე რეფერენდუმი ჩატარებინა. ამ მიზნით გააძლიერეს მუშაობა: დარჩენილ ქართველებს აიძულებდნენ საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინათ და საქართველოში გახიზნულიყვნენ, არაქართველ მოსახლეობას ძალას ატანდნენ, მათვის სასურველი გადაწყვეტილება მიეღოთ, ყოველმხრივ ხელს უწყობნენ „სედაი მილეთის“ ორგანიზაციის წევრებისა და მაჰმადიანი სამლელების პროპაგანდისტულ საქმიანობას.

რეფერენდუმი იმდენად უნესრიგოდ და კანონის დარღვევით ჩატარდა, რომ ის საბჭოთა რუსეთმაც კი გააპროტესტა. საგარეო საქმეთა კომისრის გიორგი ჩიჩერინის 1918 წლის სექტემბრის ნოტაში ნათქვამია: „რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი პროტესტს გამოთქვამს თურქეთის მიმართ ბრესტის ზავის პირობების დარღვევის გამო. ეს უკანასკნელი ყარსში, არდაგანსა და ბათუმში იყენებს ძალადობას ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამასთან, თურქული ადმინისტრაციის დამყარებისთანავე 19 წლის მამაკაცები იძულებით გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. არჩევნების დროს ამ ოლქების მოსახლეობას თავისუფალი ნების გამოახატვის უფლება არ მისცეს, ისინი დაატერორეს და აბუჩად აიგდეს. არჩევნების წინ ანგითურქულად განწყობილი ავტორიტეტის მქონე ხალხი გაასახლეს და დააპატიმრეს, ზოგ შემთხვევაში მათ ხვრეტდნენ კიდეც. არჩევნები თურქეთის ხელისუფლების ზენოლის პირობებში მიმდინარეობდა. ასეთი არჩევნების შედეგები, რა თქმა უნდა, წინასწარვე იყო ცნობილი. რუსეთისაგან ჩამოშორებული ოლქების მოსახლეობაზე განხორციელებული აშკარა ძალადობა არღვევს შეთანხმების IV მუხლის პირობებს, რის გამოც საბჭოთა ხელისუფლება არ აღიარებს ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქებში ე.ნ. თავისუფალი არჩევნების შედეგებს“.

მაგრამ ამ ძალადობას არ შეეძლო გამოესწორებინა თურქეთის მეტად მძიმე მდგომარეობა - ის სერიოზულ წარუმატებლობას განიცდიდა მაკედონიისა და პალესტინის ფრონტებზე, რამაც, საბოლოოდ, I მსოფლიო ომში თურქეთის სასტიკი დამარცხება გამოიწვია: თურქეთის იმპერია დაიშალა, მას გამოეყვნენ არაბული ქვეყნები - სირია, პალესტინა, იორდანია და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც გამარჯვებულმა ანტანტის ქვეყნებმა გადაინანილეს. მუდროსის ზავის მიხედვით თურქეთი „ანტანტის“ ყველა პრეტენზიას დათანხმდა: მას უნდა დაეთმო, აგრეთვე, ბათუმი და ბათუმის ოლქი. გამარჯვებულმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ ბათუმში დიდი ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსი შესულიყო.

## დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

1918 წლის 3 დეკემბერს ბათუმში შევიდა დიდი ბრიტანეთის საადმირალოს გემი „ლივერპული“ და ორი კრეისერი. ინგლისელებმა ჩამოსვლისთანავე განაცხადეს თავიანთი პოლიტიკური მიზნების შესახებ - მათ ჯერ ქალაქის რუსულენოვან საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დაამყარეს კავშირი, მხოლოდ ამის შემდეგ მიინვიეს კრეისერზე ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ეს შეხვედრები მიზნად ისახავდა მხოლოდ პირად გაცნობასა და ადგილობრივ სიტუაციაში გარკვევას.

ქალაქის რუსული სათვისტომოს წარმომადგენლებმა ინგლისელებს განუცხადეს, რომ ბათუმი და მისი ოლქი არის რუსეთის სახელმწიფოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი. გარკვეული ფიქრის შემდეგ ინგლისელებმა გამოაცხადეს თავიანთი ვერდიქტი: რადგან ბათუმის ოლქი წარმოადგენს მეფის რუსეთის განუყოფელ ნაწილს, ხოლო ინგლისელებს სურთ რუსეთში აღადგინონ კანონიერი ხელისუფლება, ამის გამო ბათუმის ოლქის მმართველობა უნდა გადაეცეს რუსების ეროვნულ საბჭოს ინგლისის გენერალ-გუბერნატორის სისტემატური კონტროლის პირობებში. ინგლისის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი კუკ-კოლისი.

1918 წლის 25 დეკემბერს ფოთში შემოვიდა ინგლისის საექსპედიციო კორპუსი. მეორე დღესვე ფოთის ნავსადგური დატოვა გერმანიის სამხედრო ექსლონმა. თბილისიდან სასწრაფოდ ჩამოსულმა სპეციალურმა მისიამ ჩაიბარა გერმანელების სამხედრო ქონება.

ინგლისელებმა შემოსვლისთანავე ყველას დაანახეს, რომ ისინი გამარჯვებული ბანაკის წარმომადგენლები არიან და მოითხოვენ უპირობო მორჩილებას. მათ დაათვალიერეს საქართველოს შავი ზღვის პორტები. გემების ნაწილი გააგზავნეს ბათუმში. ფოთში ღუზა ჩაუშვა ინგლისელების სამატრაილერმა და ერთმა ნაღმოსანმა. ინგლისის წარმომადგენლებმა ნავსადგურის უფროსს მოსთხოვეს ნავსადგურში მყოფი ყველა გემის, ბარჟასა და ამწის დათვალიერების უფლება. ამასთან, სურდათ, რომ ქართულ მხარეს მათთვის გადაეცა ნავსადგურში მდგომი ნაღმოსანი და ამწე. მაგრამ მათ განუცხადეს, რომ ცენტრალური მთავრობის ნებართვის გარეშე ასეთი საპასუხისმგებლო მოთხოვნას ისინი არ შეასრულებდნენ. წინააღმდეგობის მიუხედავად, 1919 წლის იანვარში აღნიშული ამწე მაინც გადაეცათ ინგლისელებს.

30 დეკემბერს ბათუმს მოადგა კიდევ დამატებით 4 ინგლი-

სური გემი, რომელმაც ქალაქში ჩამოიყვანა 15 000 ჯარისკაცი. მათ გენერალი ფოსტერ უოკერი ხელმძღვანელობდა.

3 იანვარს ფოთში, დამატებით, შემოიყვანეს ინგლისური დესანტის 600-კაციანი რაზმი. ინგლისელებმა დაათვალიერეს რა ნავსადგურის პროფესიონალის სახლი, მას თვალი დაადგეს (ამ შენობაში განთავსებული იყო სასადილო, სამკითხველო და გამგეობა). ქართული მხარის არავითარმა პროტესტმა არ გაჭრა, ინგლისელებმა ქალაქის მუნიციპალიტეტის ნარმომად-გენელებთან საუბარი არც კი ისურვეს. ამ ფაქტმა პორტის მშრომელების აღმფოთება და გაღიზიანება გამოიწვია. ნავსად-გურის პროფესიონალული ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ დეპეშით სთხოვა თბილისში მთავრობას, რომ მას ზეგავლენა მოეხდინა ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელობაზე, რათა შეეწყვიტათ ფოთში მათი ჯარისკაცებისა და ოფიცრების აღვირასხსნილი თარეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუშები გაფიცვებით იმუქრებოდნენ.

ფოთში ინგლისელთა უკანონობას ბოლო არ უჩანდა. აშკარა იყო, რომ თბილისი ინგლისელებთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდა, ბევრ დათმობაზე მიღიოდა და ითვალისწინებდა გამარჯვებული ქვეყნების გუნება-განწყობილებას, რათა დაეჩქარებინა მათი მხრიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება. სწორედ ამაზე მიუთითებს საქართველოს ოფიციალური ნარმომადგენლების ლიიალური განცხადებები სამხრეთ კავკასიაში ინგლისელების შემოსვლის პირველ ხანებში.

საქართველოს მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭვორი იფიციალურად აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობა თანახმა იყო თბილისში შემოსულიყვნენ ინგლისელების ქვეითი და საარტილერიო ბრიგადები. ინგლისის სამხედრო ნაწილები თბილისშიც დაბანაკდნენ. ინგლისელების გაოცებას იწვევდა წითელი დროშებისა და მარქსის სურათების სიუხვე საქართველოს დედაქალაქში, ისინი ეკითხებოდნენ იფიციალურ პირებს ამის შესახებ და იღებდნენ დამამშვიდებელ პასუხს - წითელი დროშის ფრიალი არ გულისხმობდა მთავრობის სოციალისტურ ბუნებას და მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ბოლშევიცურ იდეოლოგიას-თან. მაგრამ ინგლისელებს, განსაკუთრებით მის ხელმძღვანელებს, აშკარად გაჰყენათ უნდობლობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების მიმართ და ამას ხშირადაც ამჟღავნებდნენ.

ინგლისელები ერევანში მიიწვიეს სომხეთის სახელმწიფოს ნარმომადგენლებმა. სამხრეთ კავკასიაში ყოფნის მანძილზე ინ-

გლისელები აშკარად ავლენდნენ პროსომხურ განწყობილებას და ხელს უშლიდნენ საქართველოს ხელისუფლებას, დაცვა თავისი კანონიერი ინტერესები, რაც ქართულ მხარეს დამატებით სიძნელეებს უქმნიდა.

სომხებთან საბრძოლო დაპირისპირების დროს ინგლისელებმა სომხების მხარე დაიკავეს და აიძულეს ქართველები, ბორჩალოს მაზრა სამ ნაწილად გაეყოთ. მესამე ნაწილი სომხებს გადასცეს.

ინგლისელებმა დაიცვეს „თეთრი რუსეთის“ გენერლის - დენიკინის ინტერესები და ქართულ მხარეს კატეგორიულად მოსთხოვეს, დაცოვებინა სოჭის ოლქი, რომელიც ქართველმა მხედრობამ დაიკავა ბოლშევიკური ამბოხების ჩაქრობის შემდეგ.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ დენიკინთან მოლაპარაკებას და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას. ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს გენერალმა ბრიგადა პირდაპირ უთხრა ევგენი გეგეჭკორს: „ინგლისელები და იტალიელები წავლენ, რუსეთი კი დარჩება, ამიტომაც მასთან კარგ ურთიერთობაში უნდა იყოთ. აი, ჩემი რჩევა თქვენ - დათმეთ თქვენი თავმოყვარეობა, გაუწიოდეთ დენიკინს ხელი და უთხარით მას — „ჩვენ თქვენთან ვართ!“ ყველა პატარა სახელმწიფო სუსტია, ისინი კი არ უნდა ებრძოდნენ ერთმანეთს, არამედ უნდა ერთიანდებოდნენ“.

ქართული ინტერესების იგნორირება და რუსეთის ინტერესების ლობირება დამახასიათებელი იყო ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელობისათვის, თუმცა ინგლისელებს შორის იყვნენ ოფიცრები, რომლებიც ვითარების ობიექტური ანალიზის საფუძველზე აშკარად იკავებდნენ ქართულ პოზიციას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანდა ინგლისელების მიერ ოკუპირებულ ბათუმის ოლქში. ამ ტერიტორიების მომავალზე ინგლისელებს სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდათ: პირველი და მათთვის მთავარი - ბათუმი უნდა გადაეცათ აღდგენილი რუსული სახელმწიფოსთვის. არსებობდა თვალსაზრისით ურქეთისათვის ამ ტერიტორიის გადაცემის შესახებაც. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ პერიოდში ინგლისურ ადმინისტრაციასთან აზერბაიჯანის სახელმწიფოს წარმომადგენლებმაც მოუხშირეს ვიზიტები - ისინი ბათუმის ოლქის მათთვის გადაცემას ითხოვდნენ. ასევე არსებობდა აზრი, ბათუმი „პორტო-ფრანკოდ“ გამოეცხადებინათ.

გენერალმა კუკ-კოლინსმა ბათუმი აშკარად ანტიქართული ინტრიგების ბუდედ გადააქცია. აქ პროქართულ ორგა-

ნიზაციებს უჭირდათ მოღვაწეობა, ისინი იატაკქვეშ მუშაობაზე გადავიდნენ. სამაგიროდ გამოცოცხლდა „სედაი მილე-თის” პროთურქული ორგანიზაციის საქმიანობა. მათ თავიანთი გაზეთიც კი დაარსეს და სასტიკად ეპრძოდნენ ქართულ ორ-განიზაციებს, პროპაგანდას უწევდნენ თურქეთთან შეერთების იდეას.

ინგლისელთა კავკასიურ პოლიტიკაში ცვლილებები შეიმჩნევა 1920 წლიდან. ეს დაკავშირებული იყო სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვებასთან, როცა „ანტანტის” მიერ ანგაუნირებული „თეთრი მოძრაობა” დამარცხდა და რუსეთში კომუნისტების ერთპიროვნული ბატონობა დამყარდა.

ასეთ ვითარებაში კუკ-კოლისმა დაიწყო საუბარი იმაზე, რომ „შესაძლებელია ბათუმის ოლქი გადაცეს საქართველოს იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის შესაფერისი პირობები შეიქმნება”. 1920 წლის მარტში ინგლისელები ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, მაგრამ ბოლშევიკების მიერ ბაქოს გასაბჭოებამ მოვლენები დააჩქარა. კუკ-კოლისმა განაცხადა ბათუმის ოლქის საქართველოსთვის გადაცემის შესახებ.

ამის მიზეზი მარტო ბოლშევიკების სამხედრო წარმატებები არ იყო. თვითონ ინგლისშიც დაიძაბა ვითარება, ევროპის პროლეტარიატი დაიღალა ომით, სახელმწიფოები გამოიფიტნენ, ყველა ელოდა სისხლისმღვრელი ოპერაციებისა და ექსპედიციების დასრულებას. ინგლისელებსაც სურდათ სამშობლოში გამგზავრება. წასვლის წინ გენერალმა კუკ-კოლისმა განაცხადა: „ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს გადაცა. ყველა ის, ვინც საქართველოს ჯარს წინააღმდეგობას გაუწევს, ჩაითვლება ინგლისის მტრად და როგორც საქართველო, ისე ჩვენც, სასტიკ ზომებს მივიღებთ დამნაშავის წინააღმდეგ”.

1920 წლის 4 ივლისს ბარცხანაში (ბათუმის მისადგომები) საქართველოს ჯარის ნაწილები შევიდნენ. 7 ივლისს ბათუმიც დაიკავეს. ძალაუფლების გადაცემის ცერემონიალზე ინგლისელმა ოფიცერმა განაცხადა: „ბათუმი და მისი ოლქი დაუპრუნდა საქართველოს. მივესალმებით ამ დღეს და ვისურვებთ, რომ საქართველო ისეთი დემოკრატიული ქვეყანა გახდეს, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო ცივილიზაციის თანამეგობრობაში”.

ამ სიტყვების შემდეგ ფლაგშტოკიდან ნელა დაეშვა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ალამი. მეორე ფლაგშტოკზე კი ზეცისკენ ნელ-ნელა მიიწევდა საქართველოს სამფეროვანი შინდისფერი დროშა.

## ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების თავისებურებები

ამერიკა „ანტანტას“ შედარებით გვიან შეუერთდა, თუმცა მალე მისი აქტიური წევრი გახდა. იმუამად მას კავკასია დიდად არ აინტერესებდა, თუმცა ამ რეგიონში მტკიცედ იცავდა თავისი ყოფილი მოკავშირის, რუსეთის ინტერესებს. ბოლშევიზმს ამერიკის ადმინისტრაცია შემთხვევით მოვლენად თვლიდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლობად ესახებოდა. ამერიკისათვის იმ დროს მიუღებელი იყო რუსეთის სახელმწიფოს დაშლა.

როგორც უკვე აღინიშნა, გამარჯვებულმა „ანტანტამ“, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიო წესრიგის დამყარება დაიწყო. საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას უნდა მოენახა თავისი ადგილი ამ ახალ მსოფლიო წესრიგში. ქართულ დიპლომატიას მოუხდა რთული პირუეტის გაკეთება — გერმანიასთან თანამშრომლობის პოლიტიკა უნდა შეცვლილიყო ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის აღიანსზე მიმართული, განვითარებული პოლიტიკით.

საქართველო-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზებას სერიოზულად უშლიდა ხელს ამერიკის პრინციპული პოზიცია რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობისა და დემოკრატიულ საფუძველზე მისი აღდგენის შესახებ. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასიაში მაინც აქტიურად მოღვაწეობდა ამერიკული საქველმოქმედო მისია — „ამერიკის ახლო აღმოსავლეთის დახმარების კომიტეტი“, რომელიც სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლით ეხმარებოდა კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობას. კომიტეტს ჰქონდა თავისი სასაწყობო მეურნეობაც, სადაც დასაქმებული იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მისის წარმომადგენლებს სისტემატურად ჩაჰქონდათ ჰუმანიტარული ტვირთი.

აქტიურობდნენ ამერიკის საქმიანი წრების წარმომადგენლებიც. სერიოზულად იგეგმებოდა ამერიკა-საქართველოს მადნეული კომპანიის ამოქმედება. საქართველოს მთავრობას საზღვაო ტრანსპორტის განვითარების მიზნით კომერციული წინადადებით მიმართა ამერიკელი ბიზნესმენების ერთმაჯგუფმა. ამერიკის სატრანსპორტო სამსახური სთავაზობდა საქართველოს ხელისუფლებას 3500-4000 ტონა წყალწყვის ხის გემების შეძენას. თითო გემი 30 მილიონი მანეთი ლირდა. პროექტით გემების ღირებულების 50 პროცენტი უნდა გადაეხადათ გემების მიღებისთანავე, დანარჩენი — სამ თვეში ერთხელ 18 თვის განმავლობაში. საქართველოს მთავრობამ

პროექტი დაიწუნა სიძვირისა და გემების უხარისხო მასალის გამო.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ, თავისი პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო მხ-ოლოდ „დე ფაქტო“-დ აღიარა. 1919 წელს თბილისში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსული ჩარლზ მოზერი. ამერიკის მისია განთავსდა თბილისის ცენტრში - ველიამინო-ვის ქუჩაზე.

### სომხურ-ქართული დაპირისპირება

სომხებმა სახელმწიფოებრიობა X საუკუნეში, პიზანტიის აგრესის შედეგად, დაკარგეს, მაგრამ შეინარჩუნეს მონოფიზიტური რელიგია, ეჩმიაძინის კათოლიკოსის უზენაესი ხელისუფლება და მათ ნაციონალური იდენტობის შესაშური გრძნობა ჩამოყალიბდათ. მთელი ათი საუკუნის განმავლობაში სომები ერი იბრძოდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა.

ჯავახეთში მცხოვრები ქართველების უმრავლესობა მუსულ-მანი იყო და მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აღიარებდა მართლმადიდებლობას ან კათოლიციზმს. ქართველების ძირითადი მასა, რომლებმაც უარი თქვეს, მიელოთ ისლამი ან, უკიდურეს შემთხვევაში, კათოლიციზმი, გაულიტეს ან განდევნეს ამ მხარიდან XVII-XVIII საუკუნეებში. რუსეთ-თურქეთის ომის დროს გამაჰმადიანებული ქართველები - ჯავახები მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ რუსულ ჯარებს და ამ ომების შედეგად უმეტესწილად დატოვეს თავიანთი დასახლების ტრადიციული ადგილები და გადავიდნენ თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში. რუსეთის გაბატონებამ სამხრეთ კავკასიაში სომხებს სერიოზული მფარველი გაუჩინა, რომელიც თვითნებურად, ქართველი ერის ინტერესის გაუთვალისწინებლად, გავერანებულ ქართულ მინებზე ასახლებდა თურქეთის იმპერიიდან გამოქცეულ სომხებს. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ახალქალაქის მაზრაში ჩაასახლეს დაახლოებით 30 ათასი სომები ახალმოსახლე.

რამდენადაც თბილისი კავკასიის სამეფისნაცვლოს ცენტრი იყო, მდიდარი სომხები ქართველების დედაქალაქშიც სახლდებოდნენ. ისინი მუდამ ცარიზმის (რუსეთის) ინტერესების ერთგული დამცველები იყვნენ.

პირველი მსოფლიო ომის წლებში რუსეთისა და „ანტანტის“ სხვა მეთაურების მიერ შეგულიანებულმა სომხებმა, რომლებიც „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეით იყვნენ შეპყრობილნი,

თურქეთის წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყეს, რაც ტრაგიკულად დამთვრდა. თურქი ასკერების მიერ განდევნილი სომები მოსახლეობა კვლავ საქართველოს შემოქმინდა - ბათუმი, ფოთი, სოხუმი სომები ლტოლვილების თავშესაფრად გადაიქცა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, დამოუკიდებლობა გამოაცხადა სომხეთმაც. სანამ საქართველოში გერმანიის სამხედრო კორპუსი იმყოფებოდა, სომხები ტერიტორიული პრეტენზიების გაცხადებას ვერ ბედავდნენ. როგორც კი გერმანია დამარცხდა მსოფლიო ომში, სომხეთის მმართველი ელიტა (რომელშიც ძალიან ბევრი თბილისში ნამსახურევი ჩინოვნიკიც იყო, მაგალითად, ალექსანდრე ხატისოვი - წლების განმავლობაში თბილისის ქალაქის თავი), აღივსო სურვილით, გაეფართოებინა თავისი სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე. სომხეთი პრეტენზიას აცხადებდა ყარსის მხარის — არდაგანისა და ოლთისის ოლქებზე (ამჟამად ეს ოლქები თურქეთის ვილაიეთის - ყარსის ნაწილს ნარმოადგენს), რომლებიც იმჟამად საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. სომხეთმა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებიც სადავო გახადა. ამ პრეტენზიებს იმით ასაბუთებდნენ, რომ ისტორიის გარკვეულ მომენტებში ეს ტერიტორიები სომხური სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. სომხების პრეტენზიები ბორჩალოს მაზრაზე, არდაგანისა და ოლთისის ოლქებზე ეთნიკური თვალსაზრისით მთლად დასაბუთებული არ იყო, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა აქ თურქულენოვანი ხალხი, გერმანელები და რუსები იყვნენ. მათ განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთი, ლორე-ბამბაკის ტერიტორია მდიდარი ალავერდის საბადოებით და ხრამის აუზის მიწები იზიდავდათ. მათ შეძლეს სამხრეთ საქართველოში მცხოვრები სომები მოსახლეობის ერთი ნაწილის გადაბირება - ისინი მოხალისეებად ეწერებოდნენ სომხურ სამხედრო ნაწილებში.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართველი მე-მარჯვენე სოციალ-დემოკრატების რევოლუციური ფრაზეოლოგია გარკვეულ იმედებს ალუძრავდა სხვისი ტერიტორიების მსურველებს. ჯერ კიდევ პეტროგრადში, ამიერკავკასიის საერობო კონფერენციის დროს ქართველი სოციალ-დემოკრატები სომხეთის ნაციონალისტური პარტიების ხელმძღვანელობას დაპირდნენ ეთნიკური ნიშნის მიხედვით გადაეხედათ ამიერკავკასიის ზოგიერთი ადმინისტრაციული საზღვრებისათვის. თუმცა, მათ ამ დაპირებისათვის ხელშეკრულების ოფიციალური ფორმა არასოდეს მიუციათ.

პირველი თავდასხმა სომხეთის მხედრიონმა უკვე 1918 წლის 18 ოქტომბერს სცადა. სომხეთის მონინავე რაზმმა ადრე

თურქების მიერ ოკუპირებული თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ზონაში, სოფელ კამენკას სამხრეთით გადაკვეთა სადემარკაციო ხაზი და დაიკავა სარკინიგზო ასაქცევი კობერი. ქართულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ კონფლიქტის ზონაში საპასუხოდ ორი ჯავშანმატარებელი გაგზავნა და თან დამატებით 250-კაციანი რაზმიც მიაყოლა, რამაც მოწინააღმდეგე აიძულა, 20 ოქტომბრისათვის კობერი დაეტოვებინა. ქართველთა ულტიმატუმზე — გაეყვანათ ჯარები სადგურ შაგალამდე, რომელიც სადემარკაციო ხაზის სამხრეთით მდებარეობდა, სომხურმა სარდლობამ უარით უპასუხა და 23 სექტემბერს სომხურმა ჯარებმა იერიში მიიტანეს კარინჯაზე. 25-27 ოქტომბერს, გააფთორებული ბრძოლების შედეგად ეს სოფელი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს, საბრძოლო მოქმედებებში ქართული ჯავშანმატარებლის ჩართვამ მდგომარეობა საქართველოს სასარგებლოდ გარდატეხა და 26 ოქტომბერს, საღამოს, საქართველოს მთავრობის სახელზე სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ტელეგრამა გაიგზავნა, რომელშიც სომხების მიერ კარინდების დაკავების ფაქტი გაუვებრობად გამოცხადდა. ტელეგრამა აგრეთვე შეიცავდა წინადადებას, შეეჩერებინათ სამხედრო მოქმედებები და, სასაზღვრო საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მოეწვიათ კონფერენცია. ამით სამხედრო მოქმედებები ქართველებსა და სომხებს შორის დროებით შეწყდა.

რამ გამოიწვია ოქტომბრის სამხედრო ინცინდენტი სომხეთსა და საქართველოს შორის? ამ მოვლენების ინიციორებით, სომხეთმა სცადა, კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა თავისი ლოიალობა ანტანტისათვის გერმანიის კაპიტულაციამდე და დაემტკიცებინა, რომ სომხეთი ლირსია იმ დაპირებებისა, რომლებიც ანტანტის მაღალმა წარმომადგენლებმა გამოთქვეს სხვადასხვა კულუარულ შეხვედრებზე ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს. ამავე დროს სომხეთის მთავრობამ მოსინჯა, რამდენად აქტიურად აღუდგებოდნენ წინ ქართველები ამ სადაცვო ტერიტორიების დაკარგვას. აქვე უნდა აღინიშნოს თურქეთის როლიც, რომელიც თავისი მოქმედებებით შუღლს თესდა ორ ქრისტიანულ სახელწიფოს შორის და ამგვარად მინიმუმამდე დაყავდა ქართული და სომხური ჯარების გაერთიანებული გამოსვლის შანსი მის წინააღმდეგ. ასე, ერვანში მყოფმა თურქმა გენერალმა ხაშიმ ფაშამ ჯერ კიდევ 5 სექტემბერს თავისთან მიიწვია რამდენიმე სომხის ოფიცერი და შესთავაზა მათ დაეკავებინათ არა მარტო თურქების მიერ ოკუპირებული ეჩმიაძინის მაზრის ნაწილი, არამედ ბუფერული ზონაც — ლორეს მონაკვეთი კამენკის სამხრეთით. ამავე

დროს, თურქეთის წარმომადგენელმა საქართველოში აბდულ-ქერიმ ფაშამ იმავე წინადადებით მიმართა ქართველებს.

1918 წლის ნოემბერში ქართულ და სომხურ მხარეებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. ერევანს თავისი სპეციალური რწმუნებულის მეშვეობით საქართველოს ხელმძღვანელობამ თბილისში უმოკლეს ვადაში კონფერენციის ჩატარება შესთავაზა. სომხური მხარე ძირითადად დაეთანხმა ამ წინადადებას, თუმცა თან მთელი რიგი წინაპირობები წამოაყენა. 1918 წლის 10 ნოემბერს თბილისში კონფერენცია გაიხსნა. მას ესწრებოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლები. სომხეთის დელეგაცია კონფერენციაზე არ ჩამოვიდა. კონფერენცია ჯერ 20 ნოემბრისათვის, ხოლო შემდეგ 30 ნოემბრისათვის გადაიდო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ სომხეთის მხარე თბილისში ჩამოსვლას არ აპირებდა და დროის მოგებას ცდილობდა. 5 დეკემბერს ბორჩალოს მაზრის სოფელ უზუნლარში ქართველი სამხედრო მოსამსახურე მოკლეს, ხოლო ქართული გარნიზონის დარჩენილი ჯარისკაცები განაირადეს და ტყვედ აიყვანეს.

ფართომასშტაბიანი შემოტევა სომხეთის რეგულარულმა ნაწილებმა 9 დეკემბერს დაიწყეს. სომხეთის მხრიდან მოქმედებდა 4500 კაციანი სამხედრო კორპუსი. მას წინააღმდეგობას უნდა თბილისის საგუბერნიო ბატალიონი და ჯავშანმატარებელი. ალავერდთან დისლოცირებული იყო მე-5 ქვეითი პოლკის სამი ასეული, მე-6 პოლკის ერთი ასეული და ქართველების საერთო რიცხვი ამ მონაკვეთში არ აღმატებოდა 550 კაცს. ასეთი თანაფარდობა ქართველების მხრიდან მოითხოვდა გონივრულ მანევრირებას, რაც ჩინებულად განხორციელდა კიდეც.

სომხეთის ნაწილებმა ისარგებლეს რიცხობრივი უპირატესობით და გარკვეულ ტაქტიკურ წარმატებას მიაღწიეს - ქართველებმა დაიხიეს სადახლოს მიმართულებით. სადახლოსთან ბრძოლებში ქართველების სამხედრო შენაერთმა მთლიანად გაანადგურა სომხური ავანგარდი.

მნიშვნელოვანი იყო ბრძოლა ეკატერინენფელდთან 19 დეკემბერს, რაც ასევე ქართველთა უპირატესობით წარიმართა. ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა და მტერი იძულებული გახდა უკან დაეხია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლებში მონაწილეობდნენ სახალხო გვარდიის შენაერთებიც, მაგრამ საბრძოლო შემართებასთან ერთად ეს დანაყოფები აშკარად ავლენდნენ უდისციპლინობას, რაც მუდამ იყო დამახასიათებელი ასეთი რანგის სამხედრო შენაერთებისათვის. 22 დეკემბრისთვის შულავერის

მიმართულებით სომხეთის ჯარებმა მაქსიმალურად წაინიეს წინ თბილისისკენ, მივიღნენ მდინარე ხრამამდე და ფაქტიურად აკონტროლებდნენ ბორჩალოს მაზრის მთელ სადავო ტერიტორიას ეკატერინენციულდის გამოკლებით, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი იყო სომხეთის ნაწილების დასავლეთიდან თბილისისკენ წინსვლის გზაზე. 1918 წლის 24 დეკემბერს სომხური ჯარების მთავარსარდალმა ბორჩალოს ფრონტზე გენერალმა დრომ (კანაიანი) საქართველოს სარდლობას ულტიმატუმი გაუგზავნა დაუყოვნებლივ გადაეცათ სომხეთის გვის ახალქალაქის მაზრა, რომელიც მიუხედავად სომხეთის ჯარების ცდისა, მთლიანად კონტროლდებოდა ქართული სამხედრო ფორმირებების მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში გენერალი დროი მუქრებოდა, რომ საომარ მოქმედებებს გადაიტანდა მდინარე ხრამის ჩრდილოეთით. საქართველოს მთავრობამ ულტიმატუმი უარყო და კონტრშეტევის დაწყების ბრძანება გასცა.

დეკემბრის დასასრულს ქართველებმა ჩინებულად ჩაატარეს შულავერის სამხედრო ოპერაცია. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ: „საჯარისო ტაქტიკის თვალსაზრისით 1918 წლის 28 დეკემბერს დაწყებული შულავერის გენერალური ბრძოლა ქართველი მხარის წარმატებული შტურმი იყო, რომელიც 25-29 დეკემბერს წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დამაგვირგვინებელ ნაწილს წარმოადგენდა. დაგეგმარების სისრულითა და განხორციელების ტემპებით იგი შეტევითი ოპერაციის ბრძყინვალე მაგალითს წარმოადგენს“. თუმცა, იმასაც მიუთითებენ, რომ მიუხედავად მოპოვებული დიდი წარმატებისა, საქართველოს მხარემ სტრატეგიული ჩანაფიქრი ბოლომდევრ განახორციელა: სომხური შენაერთების ალყაში მოქცევა და მისი განადგურება ვერ მოხერხდა.

ქართველებმა სამხედრო წარმატება ვერ გამოიყენეს - დიდი ბრიტანეთის მისია სომხებს მფარველად გამოუჩნდა. მან დეკემბრის შუა რიცხვებში საქართველოს მთავრობას სომხეთთან ომის შეწყვეტის საქმეში შუამავლობა შესთავაზა. ამგვარად, „ანტანტა“ სომხეთს შანსს აძლევდა მოლაპარაკებებით მიეღწია სასურველი პირობებისათვის. საქართველომ მოლაპარაკებებზე მზადყოფნა განაცხადა, ერევანში გააგზავნეს ტელეგრამა, რომელშიც ჩამოთვლილი იყო წინასწარი სამშვიდობო შეთანხმების პუნქტები.

როგორც ისტორიკოსების ერთი ნაწილი ამტკიცებს, სომხური მხარე ამ სამხედრო ავანტიურას არ დაიწყებდა, რომ არა დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა და მათგან მომდინარე იმედები. ქართველების სამხედრო წარმატებებმა ინგლისელები აიძულა სხვა მხრივ დახმარებოდნენ სომხებს.

ინგლისელების მოთხოვნით 1919 წლის 1 იანვარს საომარი მოქმედებები შეწყდა და სამშვიდობო მოლაპარაკებები ჯერ კარაკლისში დაიწყო, ხოლო შემდეგ თბილისში გაგრძელდა. სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც 1919 წლის 9-17 იანვარს ჩატარდა, ომის ოფიციალურ დასრულებასა და სამშვიდობო პირობების გაფორმებას მიეძღვნა. ამ კონფერენციის შედებების მიხედვით ხელი მოეწერა სამთავრობო ხელშეკრულებას ომის დამთავრებისა და ლორეში ხელშეკრულების შექმნის შესახებ. მიღწეული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა სადავო ტერიტორიის - ბორჩალოს მაზრის სამ ნაწილად დაყოფა. ჩრდილო ნაწილი გადაეცა საქართველოს, სამხრეთი — სომხეთს, ხოლო ლორეს ტერიტორია, სპილენძის მდიდარი საბადოებით, ახტალის ქართული მონასტრით, ე.ნ. „ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადდა. ამ ტერიტორიაზე ინგლისელებმა თავიანთი სამხედრო ნაწილები შეიყვანეს.

ფაქტობრივად მოხდა ის, რომ ინგლისელების ზეწოლის შედეგად ქართველებმა თავიანთი სამხედრო უპირატესობა და წარმატებები ბოლომდე ვერ გამოიყენეს და ლორეზე სუვერენული უფლებები უკვე ამ ეტაპზე დათმეს. მიუხედავად ამისა, ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების დიდი ჯგუფი (771 კაცი) დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ჯვრებითა და მედლებით.

დაახლოებით ოთხკვირიანი ომი საქართველოს ასეულობით ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა და ბორჩალოს მაზრის ტერიტორიის მცირე ნაწილიც დაკარგა. ეს ყველაფერი უარყოფითად აისახა საქართველოს საერთაშორისო იმიჯზეც და ამან მისი დამოუკიდებლობის აღიარება, გარკვეულილად, შეაფერხა.

სამწუხაროდ, ვერც საქართველოს მთავრობამ და ვერც სომხეთის ხელმძღვანელობამ ამ ძმათამკვლელი ომიდან დასკვნები ვერ გამოიტანა. კამათი საზღვრების შესახებ გრძელდებოდა 1919 და 1920 წლებშიც და ეხებოდა ბათუმის ოლქს, ყარსის მხარის არდაგანის და ოლთისის ოლქებს. სომხეთი ისევ მოითხოვდა ახალქალაქის მაზრის თითქმის ნახევარს, ლორეს ნეიტრალური ზონის ორ მესამედს, მთელ ოლთისის ოლქს, არდაგანის ოლქის მესამედს, აგრეთვე ბათუმის პორტის და მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირის გადაცემას და ალექსანდროპოლი-ბათუმის სარკინიგზზო შტოს კონტროლს. საქართველო მზად იყო რიგ ტერიტორიულ დათმობებზე წასულიყო, იგი თანხმობას აცხადებდა ლორეს ნეიტრალური ზონის სანახევროდ გაყოფაზე, სომხეთისათვის ოლთისის ოლქის მთლიანად გადაცემაზე, მაგრამ უარს ამბობდა ბათუმის ოლქის ერთი მტ-

კაველის დათმობაზე, არ თმობდა არც ახალქალაქის ოლქის ნაწილს და დაუინებით მოითხოვდა კონტროლს მთელ არდაგანის ოლქზე, თუმცა, ტოვებდა პოტენციური მოლაპარაკებების შესაძლებლობას არდაგანის ოლქის ერთი მესამედის თაობაზე. ეს გაგრძელებული ტერიტორიული დავა იმისი მიზეზი გახდა, რომ 1920 წლის აპრილში სან-რემოში ჩატარებულ კონფერენციაზე საქართველოსა და სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს პირდაპირ მიუთითეს, რომ სასურველი არ იქნებოდა ანტანტის უმაღლესი საბჭოსთვის მიემართათ, სანამ ისინი არ გამოიმუშავებდნენ „საერთო პლატფორმას”, ანუ, არ მოილაპარაკებდნენ ყველა სადაცო საკითხის შესახებ.

ამ ქართულ-სომხურმა დაპირისპირებამ გარკვეული ლაქა დატოვა ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობაში, რის გამოს-წორებასაც საკმაო დრო და პროპაგანდისტული მუშაობა დასტირდა.

ამ დრამატული ამბების შემდეგ, ინგლისის ოკუპაციის პირობებში, სომხები საქართველოსთან ურთიერთობის შემდგომ გაუარესებას აღარ ცდილობდნენ, თუმცა ინგლისელების რეგიონიდან წასვლამ და სოვეტიზაციის პროცესმა სომებს ბოლშევიკებს ახალი ავანტურის დაწყების სურვილი გაუჩინა.

### აზერბაიჯანი და დამოუკიდებელი საქართველო

აზერბაიჯანის ლიდერებმა პირველებმა დაარღვიეს ამიერკავკასიის ერთიანობის იდეა და უკვე ტრაპიზონისა თუ ბათუმის კონფერენციებზე აშკარად პროტურქული პოზიცია დაიკავეს. ამან სამომავლოდ გამოიწვია სომხებთან სერიოზული დაპირისპირება და საქართველოსთანაც გაურთულა ურთიერთობა. ფაქტობრივად, სამხრეთ კავკასიაში არსებული პოლიტიკური რეალიები ამ სახელმწიფოებს შორის ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობდა - საქართველო გერმანიის იმედად იყო, აზერბაიჯანი - თურქეთის, ხოლო სომხეთი — „ანტანტის“ მოლოდინში „დიდ სომხეთზე“ ოცნებობდა.

აზერბაიჯანთან პრობლებებს ისიც ართულებდა, რომ საქართველოს ისტორიული მიწები - საინგილო და მისი მიმდებარე ტერიტორიები, რომლებიც მეფის რუსეთის დროსაც თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა, სადაცო აღმოჩნდა ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის.

1918 წლის ზაფხულში, როცა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გერმანიაზე აიღეს ორიენტაცია, ბოლშევკიური რუსეთის ოფიციალურმა პრესამ გაავრცელა ჭორი, რომ გერმანია აპირებდა საქართველოსთვის გადაეცა ბაქოს ნავთობის

მდიდარი საბადოები. ამ მონაჭორს არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნდა. ამ დროისათვის ბაქოში სტეფანე შაუმიანის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა მოსკოვი - ეს მას უნარჩუნებდა მსოფლიოში უნიკალურ ნავთობსაბადოზე კონტროლის შესაძლებლობას. მაგრამ ბოლშევიკებმა ვერ შეინარჩუნეს ძალაუფლება - ბაქოს კომუნა დაეცა, ბაქოლი კომუნარები (შაუმიანი, ჯაფარიძე, ფიალეტივი და სხვ.) დახვრიტეს. ბაქოში გაბატონდნენ ნაციონალისტები - მუსავატელები.

საქართველოს ხელისუფლებას სურდა სამხრეთ კავკასიაში დაემყარებინა ხანგძლივი მშვიდობა და იმედოვნებდა, რომ ამას კავკასიის სახელმწიფოების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევით მიაღწევდა. მაგრამ ასეთი კონფერენციის ჩატარებას აძნელებდა როგორც რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ისე მეზობელ სახელმწიფოებს შორის არსებული ტერიტორიული პრეტენზიები.

1918 წლის შემოდგომაზე „ზაქათალის ოლქი უკვე ოფიციალურად შედიოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში“. სარგებლობდა რა თურქეთის მხარდაჭერით, რელიგიური ფაქტორით, აზერბაიჯანის სახელმწიფო ზაქათალაში აძლიერებდა ანგიქართულ პროპაგანდას, მოლებისა და ხოჯების ზეგავლენით ქართველ მაპადიანებზეც ძლიერ ზეგავლენას ახდენდა, რაც გარეგნულად ქმნიდა აზერბაიჯანთან ზაქათალის სრული ინკორპორაციის შთაბეჭდილებას. თუმცა ფიქსირდებოდა ქართველი ინგილოების ლტოლვა საქართველოსკენ. რადგან ეს ლტოლვა უკავშირდებოდა მათ ეკონომიკურ ინტერესებს (სასაზღვრო ვაჭრობა, განსაკუთრებით ინტენსიური საქართველოს სილნალის მაზრასთან), საქართველოს მთავრობას ხელი უნდა შეეწყო ამ ინტერესების გაძლიერებისათვის და გამოეყენებინა ინგილოების ეს ინტერესი საკუთარი მიზნებისათვის. სამწუხაროდ, რთული პოლიტიკური და, რაც მთავარია, საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, შესაძლებლობას არ იძლეოდა, ქართულ სახელმწიფოს ინტენსიურად ემუშავა ამ მიმართულებით და ზაქათალის საკითხი სერიოზულად არც განუხილავთ ორი ქვეყნის ლიდერებს. პირიქით, მოვინანებით, უკვე ინგლისელების ოკუპაციის წლებში, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა ინტენსიურად ცდილობდა, გამოეყენებინა ევროპის ეკონომიკური ინტერესი ბაქოს ნავთობისადმი და უსაბუთებდა ინგლისის გენერალ-გუბერნატორს ბათუმის აზერბაიჯანთან მიერთების აუცილებლობას.

ქართულ-სომხური დაპირისპირების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებით ცდილობდა აზერბაიჯანთან

ურთიერთობის ნორმალიზებას, რასაც მოითხოვდა ჩრდილო კავკასიაში შექმნილი ვითარებაც: აქ რუსეთის დაპირისპირებული ძალები ებრძოდნენ ერთმანეთს, სიტუაცია ყოველთვიურად იცვლებოდა, ბოლშევიკების ხელისუფლებას გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიის ძალაუფლება ცვლიდა. დენიკინი არ ცნობდა რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ სახელმწიფოებს და მათ სეპარატისტებს უწოდება. გამარჯვების შემთხვევაში ის რუსეთის „ერთიანი და განუყოფელი“ სახელმწიფოს აღდგენას ვარაუდობდა. ეს მიზანი მიუღებელი იყო როგორც საქართველოსთვის, ისე აზერბაიჯანისათვის - ამ საფუძველზე მოხდა ორი მეზობელი ხალხის გაერთიანება.

1919 წლის 16 ივნისს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც, თავისი შინაარსით, მეტად მნიშვნელოვანი იყო და მიუთითებდა ორი სახელმწიფოს ინტერესთა თანხვედრას. ხელშეკრულების მიხედვით, „შეთანხმების დამდები სახელმწიფოები ვალდებული არიან, ერთად გამოვიდნენ შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით ყოველგვარი თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება შეთანხმების მონაწილე ერთ ან ორივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ხელშეუხებლობას“.

ხელშეკრულება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ის მოიწონეს საქართველოს ოპოზიციურმა პარტიებმა. ყველაზე დიდმა ოპოზიციონერმა, ეროვნულ-დემოკრატმა სპირიდონ კედიამ განაცხადა: „ეს ხელშეკრულება მონმობს, რომ ჩვენმა პასუხისმგებელმა მესვეურებმა თავიდან მოიშორეს ის პარტიული პრინციპები, რომლებიც დღემდე ხელს უშლიდა საქართველო-აზერბაიჯანის კავშირს. ვიმეორებ, ეს გარემოება მეტად სასიხარულოა და თან იმას მონმობს, რომ ჩვენ თანდათან მივუახლოვდით ნამდვილ სახელმწიფოებრივ კონცეფციის შეთვისების მომენტს“. დადებითად შეაფასეს ხელშეკრულება სოციალისტ-ფედერალისტებმა, ქართველმა ესერებმა და ა.შ. ხელშეკრულება დაინტენდა და მას გაემიჯნა სომხეთის სახელმწიფო, იმუამად მას თურქეთის შიში უფრო ჰქონდა, ვიდრე ჩრდილოეთის დიდი მეზობლისა. მაგრამ, რა კარგიც არ უნდა იყოს ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული დიპლომატიური კანონების ყველა ატრიტუტიკით, თუ იგი რეალურად არ განხორციელდა და კონკრეტული შედეგი არ მოიტანა, მისი ღირებულება ნულის ტოლფასია.

სამხრეთ კავკასიაში მდგომარეობა ისე წარიმართა, რომ ამ ხელშეკრულებას ყავლი ძალიან მალე გაუვიდა. ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში დენიკინის ანტიბოლშევიკური

ძალისხმევა ჩაიშალა. საბჭოთა ხელისუფლება, სერაფიმოვიჩის გამოთქმისა არ იყოს, „რკინის ნიაღვარივით” მოედო რუსეთს. დაღესტნის გასაბჭოების შემდეგ ბაქოს ნავთობის მდიდარი საბაღოების ხელში ჩაგდება კრემლის ლიდერების უმთავრეს ამოცანად იქცა. მათ კარგად ახსოვდათ ბაქოელი საბჭოთა კომუნარის სტეფანე შაუმიანის ერთ-ერთი ბოლო შეგონება, ლენინ-სტალინისათვის გაგზანილ დეპეშაში რომ აისახა: „ბაქოს ჩამოცილება რუსეთისაგან! — ეს ნიშნავს, მას მიაყენო ყველაზე დიდი დარტყმა. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ რუსეთის დამოუკიდებლობაზე, ხოლო საკუთარი სურვილით ნავთობის წყაროს გადავცემთ ინგლისელებს, განა ამით ჩვენ არ ჩავდივართ უდიდეს დანაშაულს რუსეთის რევოლუციის ნინაშე?”

რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, შეტევა აზერბაიჯანზე 27 მარტს, დილით დაიწყო. ოთხი ჯავშანმატარებელი მდინარე სამურზე გადავიდა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ბაქოსაკენ გაემართა. შუადღისას ბოლშევიკების ადგილობრივმა დელეგაციამ მთავრობის გადადგომა მოითხოვა. მათ მთელ ბაქოში დაიკავეს საკვანძო პოზიციები, ხელში ჩაიგდეს არსენალი, განაიარალეს პოლიცია, გაათავისუფლეს პოლიტპატიმრები, კონტროლი დააწესეს ნავთობის სარენებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ბაქოს გარნიზონის ორი პოლკი ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. ორ დღეში XI საბჭოთა არმიამ აზერბაიჯანის უდიდესი ნაწილი დაიკავა.

აზერბაიჯანის გასაბჭოებით დაიწყო სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკური აგრესია.

### კავკასიის ხალხთა ერთიანობის მიღწევის ცდები

კავკასიის ხალხთა ერთიანობის იდეა, ლეონტი მროველის მიერ ამ კონცეფციის გაცხადების შემდეგ, არ ასვენებდა ქართველ პოლიტიკოსებს. მიუხედავად იმისა, რომ გვიან შუა საუკუნეებში კავკასიელმა ხალხებმა თავიანთი განუწყვეტელი ქურდ-ბაცაცური ლაშქრობებითა და რბევა-შევინროვებით ლამის წერტილი დაუსვეს კახეთის სახელმწიფოებრიობას, გარე კახეთი (ჰერეთი) ჩამოაცილეს, მაინც ეს იდეა კავკასიელი ხალხების ერთიანობისა ძლიერი იყო და დღესაც არის ქართველ პოლიტიკოსებს შორის.

რუსეთის შემოსვლამ სამხრეთ კავკასიაში და ჩრდილო კავკასიის რუსეთისადმი დამორჩილებაში ქართველების აქტიურმა მონაწილეობამ, რა თქმა უნდა, გვიან შუა საუკუნეებში ქართველებში გაჩენილ უნდობლობას, კავკასიელთა მხრიდან

უნდობლობაც დაუმატა. მეფის რუსეთმა კავკასიის ყველა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტში თავისი მხარდამჭერი ეთნოსი მონახა და თავის სატელიტად გაიხადა. კავკასიის სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებული კაზაკები, რომლებმაც კავკასიის ხალხების ყოფიდან ნამცეცები აკრიფეს, ფორმალურად კავკასიელებად ითვლებოდნენ, სინამდვილეში კი რუსულ ეთნოსს განეკუთვნებოდნენ. თვითონ კავკასიელებშიც იყვნენ ეთნოსები, რომელთაც ურთიერთდაპირისპირება ისტორიულად მოსდევდათ (მაგალითად, ოსები და ინგუშები, სომხები და აზერბაიჯანელები) და მათი გაერთიანება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩრდილო კავკასიის ხალხებიც გააქტიურდნენ. დაიწყეს გაერთიანება, მათ აფხაზთა ეთნოკრატიაც აჰყვა.

ოქტომბრის გადატრიალებამ და ჩრდილო კავკასიაში დენიკინის გამოჩენამ რეგიონში პოლიტიკური ვითარება გაართულა. დენიკინი წინააღმდეგი იყო კავკასიელი ხალხების ერთიანი სახელმწიფოს შექმნისა, ამიტომაც დენიკინის ჯარების მიერ ჩრდილო კავკასიის დაკავების შემდეგ, დამოუკიდებლობის მოტრფიალე ჩრდილო კავკასიელთა ლიდერები თბილისში დამკვიდრდნენ. მათ მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ 1919 წლის საერთაშორისო კონფერენციებშიც.

ბოლშევიკური ზეგავლენის გაძლიერების პარალელურად ყუბანის, თერგისა და დონის კაზაკების წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებას აშკარად სთხოვდნენ საერთო ფრონტის შექმნას ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ. ეს კაზაკობა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის ხელკეტი იყო დაპყრობილი თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ პერმანენტულ ბრძოლაში. მათ საქართველოშიც არაერთხელ დაურბევიათ ქალაქები თუ სოფლები, „ეგზეკუციისას“ გაუმათრახებიათ, გაუთახესირებიათ და დაუმცირებიათ მშვიდობიანი მოსახლეობა. ახლა ისინი ითხოვდნენ შევლასა და დახმარებას. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეშქორმა 1920 წლის მარტში შეხვედრის დროს განაცხადა, რომ იდეა ერთიანობისა - დიდებულია, მაგრამ მის შეშფოთებას იწვევს კაზაკთა წინააღმდეგობა მთიელებისადმი. საქართველოს ამ შემთხვევაში სურდა შეესრულებინა საშუამავლო მისია. მისი აზრით, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ორმხრივ დათმობაკომპრომისების გზით მიღწეული უნდა ყოფილიყო შეთანხმება. მოლაპარაკებების ყველაზე ჩინებულ ადგილად ქართულ მხარეს თბილისი - ნეიტრალური ზონა მიაჩნდა.

სოციალ-დემოკრატებს გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ მოხერხდებოდა თავისუფლებისმოყვარე ჩერჩინისა და დამპყრობელი რუსი კაზაკის შერიგება და გაერთიანება. ამ მოლაპარაკების შემდეგ ძალიან მალე ბოლშევიკებმა მთელი კავკასია ხელში ჩაიგდეს და კარგად დაიმახსოვრეს, რომ რამდენიმე თვის წინ თბილისი ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნის სურვილს აქტიურად ავლენდა.

### თეთრი რუსეთი და დამოუკიდებელი საქართველო

„თეთრი მოძრაობა“ მიზნად ისახავდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენას. რა თქმა უნდა, ამ მოძრაობის ლიდერები ვარაუდობდნენ გარკვეულ ცვლილებებს სახელმწიფო სტრუქტურებში, ერთა შორის ურთიერთობებში, მაგრამ მათი მთავარი ამოცანა იყო ჯერ სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა და შემდეგ - ახალ პოლიტიკურ თვისებრიობაზე გადასვლა. ეს აღდგენა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ძალის გამოყენებით უნდა მომხდარიყო.

გენერალი დენიკინი „ანტანტის“ პოლიტიკური და მატერიალური მხარდაჭერით სარგებლობდა. აღსანიშნავია, რომ მის იდეებს ბევრი მაღალი რანგის ქართველი ოფიცერიც იზიარებდა და და დენიკინის გვერდით, „თეთრი რუსეთის“ დროშის ქვეშ იბრძოდა. მათ შორის იყვნენ გენერალი ბარათოვი (ბარათაშვილი), გენერალ-მაიორი ნათიშვილი, პოლკოვნიკი ძმები ერისთავები, ოფიცერები: დადიანი, ახვლედიანი, მგელაძე და სხვ.

როცა 1918-1919 წლებში დენიკინმა შეძლო პოლშევიკების შევიწროვება და სამხრეთში ძლიერი სამხედრო პლაცდარმი შექმნა, ამან სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს, განსაკუთრებით საქართველოსა და აზერბაიჯანს. რუსი გენერალი „ანტანტის“ ინტერესების გამტარებელი იყო, ამიტომაც ინგლისელების კავკასიური კორპუსის ხელმძღვანელობის პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერით სარგებლობდა. ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაზით დენიკინი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს - აფხაზეთს მოადგა და სოჭისა და გაგრის ოლქების დაკავება სცადა. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზი ეთნოკრატიის ერთი ჯგუფი რუს გენერალს აფხაზეთში იწვევდა და ერთგულებასაც ეფიცებოდა.

საქართველოს მხარემ დროულად მიიღო ზომები და გენერალ გ. მაზნიაშვილს დაავალა აფხაზეთის ჩრდილოეთში, გაგრის რაიონში ფრონტის გამაგრება. აქ ქართველებმა შეძლეს მნიშ-

ვნელოვანი სამხედრო წარმატებების მიღწევა მდ. მუხადირის რაიონში.

ასეთ ვითარებაში დენიკინს მფარველად ისევ ინგლისის მისია გამოუჩნდა, რომელმაც საქართველოს მთავრობას სამხედრო მოქმედების მასშტაბები დაუწუნა და მოსთხოვა დენიკინთან მორიგება.

მაგრამ დენიკინელები ორგულად იქცეოდნენ, მათი ნდობა არ შეიძლებოდა, მათ არ სურდათ ქართველთა კეთილი ნების დანახვა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ეს ქართულმა მხარემ ამცნო ინგლისელებს: „საქართველოში რუსმა ოფიცრებმა მიიღეს დაცვა და თავშესაფარი, იმ დროს, როცა მთელ რუსეთში ველურად უსწორდებოდნენ და ულეტდნენ ოფიცრობას. მხოლოდ აქ, საქართველოში არ დაფიქსირებულა რუსი ოფიცრების მიმართ ძალმომრეობის არც ერთი ფაქტი“.

1920 წლის იანვრის ბოლოს მოკავშირეთა მთავრობის ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ მოხალისეთა ჯარების შემდგომი დახმარება შეეჩერებინათ, რადგან კატასტროფული მდგომარეობის გამო მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო. ბოლშევიკები კი სწრაფად განაგრძობდნენ მზადებას მთლიანი კავკასიის დასაპყრობად. 1920 წლის 28 თებერვალს ლენინმა ორჯონიკიძეს (რომელიც ამ დროს ბოლშევიკების მიერ დაარსებული კავბიუროს თავმჯდომარე იყო) მოსთხოვა ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა.

1920 წლის მარტის იერიშის შედეგად „თეთრები“ უჟანიდან და ჩრდილო კავკასიიდან განდევნეს. დასავლეთით ნოვოროსიისკი (28 მარტს) დაეცა, ხოლო აღმოსავლეთით ბოლშევიკებმა ჯერ (24 მარტს) გროზნო, ხოლო მეორე დღეს - დერბენტი დაიკავეს. 31 მარტს ორჯონიკიძემ ჩრდილოეთ კავკასიის რევოლუციური კომიტეტი შექმნა, რომლის თავმჯდომარეც თვითონ იყო. მისი მოადგილე გახდა სერგეი კიროვი.

ბოლშევიკები საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებს მოადგნენ.

### საერთაშორისო აღიარების მოპოვების იმედი

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა კარგად გრძნობდა, რომ სერიოზული მფარველისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხარდაჭერის გარეშე პატარა საქართველოს გაუჭირდებოდა ურთულეს გეოსტრატეგიულ რეგიონში თავისი დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნება. ამიტომაც დიდი იმედით ელოდნენ პარიზის საზავო კონფერენციის გახსნას.

1919 წლის 18 იანარს ვერსალში, საფრანგეთის მეფების სასახლის სარკეებიან დარბაზში, საზეიმოდ გაიხსნა პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, სადაც სამი დიდი სახელმწიფოს ლიდერი: კლემანსო, ვილსონი და ლოიდ ჯორჯი (როგორც შემდეგ, II მსოფლიო ომის დროს რუზველტი, ჩერჩილი და სტალინი) მსოფლიოს დიდ პოლიტიკას წყვეტდნენ: შლიძნენ და აკონინებდნენ სახელმწიფოებსა და ხალხებს, ურჩევდნენ და ასწავლიდნენ ცხოვრების ახლებურ წესებს და ა.შ. და ა.შ.

ბერლინში იმედგაცრეუბულმა საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ (ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი) ახლა უკვე პარიზში გადაინაცვლა. მათ კონფერენციას ნარუდგინეს მემორანდუმი, რომელშიც დასაბუთებული იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის აუცილებლობა და მოითხოვეს ამ დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარება. საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები ეფუძნებოდა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ დასაბუთებას და მოიცავდა საქართველოს ყველა ისტორიულ ტერიტორიას.

1919 წელს „დიდ სამეულს“ ჯერ კიდევ „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენის იმედი ჰქონდა, ჯერ კიდევ ძლიერი იყო „თეთრი მოძრაობა“, ამიტომაც საქართველოს წინადადება დარჩა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“.

უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კოლონიალიზმი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნანილი იყო ევროპის „დემოკრატიული“ სახელმწიფოებისა. ისინი სხვა ქვეყნის კოლონიებისათვის თავისუფლების მინიჭებაში, გარკვეული ბუმერანგის ეფექტს“ ხედავდნენ და ამიტომაც საოცარ სიფრთხილეს იჩინდნენ. გამონაკლისი მხოლოდ ავსტრია-უნგრეთისათვის დაუშვეს, რომელიც ისე დაშალეს, რომ ავსტრია ჯუჯა სახელმწიფოდ გადაიქცა.

ვერსალის კონფერენცია ისე დასრულდა, რომ საქართველოსთვის არაფერი შეცვლილა. ვერსალის კონფერენციამ ახალი პოლიტიკური სისტემა შექმნა მთელ მსოფლიოში და მტკიცე მშვიდობის ნაცვლად ევროპის პოლიტიკურ გაერთიანებაში ჩადო ნელადმოქმედი ნაღმი, რომელმაც მოგვიანებით II მსოფლიო ომი განაპირობა. მაგრამ იმუამად ამაზე არავინ ფიქრობდა, ევროპა დანატრებულ მშვიდობას დაეწაფა...

ერთადერთი, რაც მოხერხდა, მსოფლიოს ზოგიერთმა ქვეყანამ, პირველად არგენტინამ (1919 წ. 15 სექტემბერი), ცოტა მოგვიანებით ინგლისმა და საფრანგეთმა (1920 წ. იანვარი), იაპონიამ და სხვა ქვეყნებმა საქართველო „დე ფაქტო“-დ ცნეს, მაგრამ ამან მაინც ვერ დაიცვა საქართველოს ნანატრი დამოუკიდებლობა.

კონფერენციაზე შეიქმნა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია „ერთა ლიგა“ (როგორც ისტორიამ დაამტკიცა, საოცრად უხერხემლო, არაფრისგამყეთებელი გაერთიანება), რომელსაც მიზნები საოცნებო ჰქონდა - დაემყარებინა მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობა და „კაცთა შორის სათნოება“. ვერც ამ ორგანიზაციამ შეძლო დადებითად საქართველოს საკითხის გადაწყვეტა.

მორალურად უფრო ფასეული იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის — „მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის“ ლიდერთა მხარდაჭერა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება პირველი სოციალისტური მთავრობა იყო მსოფლიოში. ამიტომაც ॥ სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერების საქართველოში ჩამოსვლას გარკვეული პოლიტიკური შედეგი უნდა მოეტანა ქვეყნისთვის: მათ შეძლოთ ევროპის საზოგადოებრივ აზრზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა.

1920 წლის შემოდგომაზე რამზეი მაკდონალდი, კარლ კაუცკი, ესთელ სნოუდენი და სოციალისტური ინტერნაციონალის სხვა ლიდერები თბილისში ჩამოვიდნენ. რა თქმა უნდა, მათ მხედველობიდან არ გამორჩენიათ საქართველოს ხელისუფლების პრობლემები და სიძნელეები, მაგრამ ოფიციალურ მიმართვაში მაინც იმედიანად განაცხადეს: „საქართველოს დემოკრატიამ, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ყველა იმპერიალისტს, ისეთებსაც კი, რომლებსაც რევოლუციური ნიღაბი ჰქონდათ ამოფარებული, შეძლო ძლიერი და მტკიცე მარჯვენით თავისუფლების შენარჩუნება და ინტერნაციონალიზმის ავანგარდში ჩადგომა. ამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში მას შეუძლია იქონიოს მსოფლიო პროლეტარიატის სრული თანხმობისა და თანადგომის იმედი“.

იმ დროს დასავლეთ ევროპაში საკმაოდ ავტორიტეტშელახული სოციალ-დემოკრატი ლიდერების მხარდაჭერას რეალური მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა და ისინი ვერ შეაჩერებდნენ იმ დრამატულ პროცესებს, რაც 1921 წლის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს საზღვრებთან.

## დასასრული

**ბოლშევიკების პოლიტიკა ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში**

კომუნისტური მოძღვრება, რა თქმა უნდა, მარქსიზმიდან იღებდა სათავეს. ბოლშევიკები პროლეტარიატის შესა-

ძლებლობებს და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელის - კომუნისტური პარტიის ძალმოსილებას აფეტიშებდნენ, არაფრად აგდებდნენ ობიექტურ პირობებს და პირდაპირ სოციალიზმზე გადასვლას მოუწოდებდნენ. ეს გულისხმობდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების დაუყონებლივ ლიკვიდაციას. „ქარხნები - მუშებს! მინები - გლეხებს!”, ეს ოოზუნგი სხვისი ქონების გადანაწილებისათვის დაწყებულ ბრძოლაში ბევრ მხარდამჭერს აგულიანებდა და ეს სურვილი, პირველი ომის შედეგებით გაღატაკებულ მსოფლიოში, დაუოკებელ სურვილად რჩებოდა. ბოლშევიკების მთავარ მოკავშირედ - იმჟამად სიღატაკე გამოდიოდა.

1920 წლის დასაწყისში რუსეთში ბოლშევიკები გამარჯვებული გამოვიდნენ სამოქალაქო ომში, რამაც განამტკიცა მათი პოზიციები მსოფლიოშიც: ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში იქმნებოდა კომუნისტური ორგანიზაციები, პარტიები, ჩამოყალიბდა III კომუნისტური ინტერნაციონალი. ბოლშევიკები მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას მოელოდნენ არა პასიურად, არამედ აშკარად გეგმავდნენ რევოლუციურ ომებს, მსოფლიოს ღატაკი მოსახლეობის ტოტალურ ლაშქრობას კაპიტალიზმის წინააღმდეგ — იგეგმებოდა „პერმანენტული რევოლუცია”. ვ. ი. ლენინი ამ ლაშქრობის დროს არ გამორიცხავდა იარაღის გამოყენებას, ე.წ. რევოლუციის ექსპორტს. აი რას ამბობდა ის იმ წლებში: „ინტერნაციონალიზმი საქმით ერთია და მხოლოდ ერთი: თავდადებული მუშაობა საკუთარ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის, რევოლუციური ბრძოლის გასაძლიერებლად, მხარდაჭერა (პროპაგანდით, თანაგრძობით, მატერიალურად) ასეთივე ბრძოლისა, ასეთივე ხაზისა და მარტოდმარტო მისი ყველა ქვეყანაში”. ეს აშკარად ძალმომრეობის იდეური გამართლება იყო.

თუ ლენინის ამ შეხედულებას დავუმატებთ ი.ბ. სტალინის მიერ სამხრეთ კავკასიის მიმართ ცოტა მოგვიანებით გამოთქმულ მოსაზრებას, აშკარა გახდება კომუნისტი ლიდერების ჭეშმარიტი სურვილი: „რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი-ბაქო, ბათუმი-თავრიზი, ბათუმი-თავრიზი-ერზრუმი)... ბოლოს და ბოლოს, ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს წავთობითა და აზიის სიღრმეში უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა — ეს არის მთელი საკითხი”. საოცრად გულწრფელი

აღიარებაა... ბოლშევიკური რუსეთი (ამასვე გააკეთებდა „თეთრი რუსეთიც“), როგორც სტრატეგიული სახელმწიფო და პროლეტარული რევოლუციის ილუზიის საფარქვეშ მსოფლიო ბატონობის მოსურნე, ვერ შეეგუებოდა ამ სტრატეგიული რეგიონის დაკარგვას და ყველა დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხებით შეეცდებოდა მის ხელში ჩაგდებას.

დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ სტალინმა „დაასამარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, სტალინმა თავისი სამშობლო „საბჭოთა კავშირში“ შეათრია და ა.შ. აქ რამდენიმე გარემოებას ივინყებენ: 20-იანი წლების ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ რწმენის სიმტკიცით. მათი რწმენის მთავარი სიმბოლო იყო სოციალიზმის ლენინური გაების ჭეშმარიტება, რომ ისინი მსოფლიოში ყველაზე სამართლიან, ყველაზე ბედნიერ ქვეყანას აშენებენ. ამიტომაც ბუნებრივა, რომ ასეთ „სამართლიან და ბედნიერ“ სამოთხეში სტალინს სურდა თავისი ქვეყანაც ენახა და მისი ხალხი „გაებედნიერებინა“, თუ მას, რა თქმა უნდა, კიდევ ჰქონდა შერჩენილი ეთნიკური კუთვნილების გრძნობა. მაგრამ მარქსის მიხედვით „პროლეტრიატს არა აქვს სამშობლო!“. პროლეტარის სამშობლო — რევოლუციურ ომებში გამოჭედილი საერთაშორისო პროლეტარული რესპუბლიკა.

იმ წლებში ეს არ იყო ფუჭი სიტყვა... ეს იყო ბოლშევიკური რწმენის სიმბოლო...

სამართლიანად მიუთითებს ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ბერდიაევი: „მარქსმა შექმნა ნამდვილი მითი პროლეტარიატზე! პროლეტარიატის მისია რწმენის სიმბოლოა. მარქსიზმი არ არის მარტო მეცნიერება და პოლიტიკა, არამედ რწმენა და რელიგიაცაა, სწორედ ამაშია მისი ძლიერება“.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას სჭირდებოდა განსაკუთრებული დიპლომატიური მოქნილობა, მას აუცილებლად უნდა მოეძებნა სერიოზული მფარველი, რომელიც შეძლებდა ფანატიკურად განწყობილი კომუნისტური ურდოების შეჩერებას. ჩვენ ვნახეთ, რომ ასეთი მფარველი იმ წლებში დასავლეთში არ მოიძებნა (სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მფარველი ვერც დღეს იძებნება!). ნოე ჟორდანიამ და მისმა პოლიტიკურმა ჯგუფმა გადაწყვიტა, დაეწყოთ ბრძოლა საქართველოს გადასარჩენად. მათი აზრით, ეს პოტენციურ მტერთან გარიგება შეიძლება ყოფილიყო.

## 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება

აზერბაიჯანის გასაბჭოებამ სერიოზული საფრთხე შექმნა სამხრეთ კავკასიაში. მოსალოდნელი იყო ვითარების

გართულება. ინგლისი ჯერ კიდევ აკონტროლებდა ბათუმს, ხოლო თურქეთი სომხეთის გასანადგურებლად ემზადებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც კი ბოლშევიკები ბაქოში გამაგრდნენ, წითელი არმია სომხეთისა და საქართველოს საზღვრებისაკენ დაიძრა. 3 მაისს სერგო ორჯონივიძემ ნებართვა სთხოვა ლენინს, რომ მისთვის საქართველოსა და სომხეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების უფლება მიეცა. მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობამ რამდენიმე მიზეზის გამო გადაწყვიტა, ჯერჯერობით ეს ნაბიჯიარ გადაედგა: 1) დივიზიები, რომლის გაგზავნაც ორჯონივიძეს თბილისში უნდოდა, კიევში სჭირდებოდა, სადაც წითელი არმია პოლონელებს ებრძოდა; 2) ბრიტანელებმა დაიწყეს მოლაპარაკებები მოხალისეთა არმიის კაპიტულაციის შესახებ და 1920 წლის 3 მაისის დეპეშაში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა ინგლის-საბჭოთა რუსეთის სავაჭრო შეთანხმების დასრულებას ყირიმსა და კავკასიაში სამხედრო მოქმედებების დასრულებას დაუკავშირა. მოსკოვი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდ ბრიტანეთთან სავაჭრო მოლაპარაკებებს და თვლიდა, რომ ეს უაღრესად ეფექტური საშუალება იყო რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის გასაძლიერებლად.

სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ სერგო ორჯონივიძემ იმ დღეებში მიიღო დაშიფრული, ხელმოუწერელი დეპეშა მოსკოვიდან (დეპეშის ტონი და მისი შინაარსი გვაძლევს საშუალებას, გამოვთქვათ ვარაუდი მის ავტორზე: ის ან ლენინია, ან ტროცკი, შესაძლოა სტალინი): „... შეწყვიტეთ მოძრაობა... თქვენ ჩვენ ჩაგვითრევთ საერთაშორისო ავანტურაში... საქართველოს საზღვრების გადალახვა აპსოლუტურად დაუშვებელია... ჩვენმა ჯარებმა უნდა დაიცვან საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობა. სუსტი ბურჟუაზიული საქართველო ჩვენთვის ჯერ კიდევ სასარგებლოა”.

როგორც ნოე უორდანიას მემუარები მიგვანიშნებს, თბილისშიც ცდილობდნენ დაწყოთ მოლაპარაკება ბოლშევიკურ რუსეთთან. შეირჩა შუამავალიც - ლენინის ძველი კარგი ნაცნობი გრიგოლ ურატაძე. იგი ანარმობდა მოლაპარაკებას რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ კარახანთან და კმაყოფილიც იყო ამ მოლაპარაკების შედეგებით — 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი ხელშეკრულებით მოსკოვი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და თბილისის უფლებას გაეკონტროლებინა საზღვრები ფოთის პორტისა და ბათუმის ოლქის ჩათვლით. თავის მხრივ, ბოლშევიკებმა სტრატეგიული სამთო გადასასვლელების გაკონტროლების უფლება დაიტოვეს. ეს გზები საქართველოს შუაგულში

გადიოდა. მოსკოვი თანხმდებოდა, რომ მის ტერიტორიას საქართველოზე თავდასხმისათვის ვერავინ გამოიყენებდა, მაგრამ სანაცვლოდ თბილისისაგან ყველა იმ პატიმრის გათავისუფლებას მოითხოვდა, ვინც საბჭოთა რუსეთის მომხრე იყო. საქართველოს ბოლშევიკური პარტია ლეგალიზებული უნდა ყოფილიყო, დაკავებული პირები დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინათ. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ რუსეთი საქართველოს შემადგენლობაში აღიარებდა აფხაზეთს, სამუსლიმანო საქართველოს და ზაქათალას. ხელშეკრულება ისე იყო შედგენილი, რომ იგი საქართველოს ტერიტორიიდან ყველა მოკავშირე სამხედრო პერსონალის დათხოვნასაც გულისხმობდა.

ამ ხელშეკრულების ორაზროვნობას, მის ფლიდურ ხასიათს ადასტურებს ლევ კარახანის დეპეშა სერგო ორჯონიკიძისადმი, რომელიც მან ხელმოწერის მეორე დღესვე გაუგზავნა თავის მეგობარს: „ჩვენთვის უფრო სასარგებლოა, რომ ინგლისელები საქართველოდან, ბათუმიდან განიდევნონ ბურჟუაზიული საქართველოს ხელით, ვიდრე ჩვენი ჯარები ჩაებნენ ინგლისთან ომში. საქართველო ჩვენ გვჭირდება როგორც დროებითი ბუფერი. ის რომ საბჭოთა იყოს, ის ვერ შეასრულებს ამ მნიშვნელოვან როლს...”

ამ ხელშეკრულების შინაარსის გულდასმით გაცნობისას ცხადი ხდება, რომ რუსი დიპლომატების მიერ იგი კარგად გააზრებული და დამუშავებული იყო, ხელმოწერისთანავე ძალაში შედიოდა და განსაკუთრებულ რატიფიკაციას არ საჭიროებდა. ხელშეკრულება მოსკოვს სამუალებას აძლევდა, მათ განკარგულებაში მყოფი სტრატეგიული გადასასვლელებით წითელი არმია საქართველოში გაეგზავნა და როცა მოესურვებოდა, დაემხო მენშევიკური მთავრობა, საბაბად კი ქართველი მხარის მიერ ზემოთ მოყვანილი ხელშეკრულების ნებისმიერი პუნქტის დარღვევა გამოიყენებინა.

რუსეთ-საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება მუდამ იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. მაგრამ ეიფორიის ვითარებაში - 1920 წლის მაისში, მაინც დიდი აუკიოტაჟი გამოიწვია იმან, რომ „რუსეთმა გვცნო, გვაღიარა!“.

ნუ გვავიწყდება, რომ 1920 წელს რუსეთში კანონიერი (დემოკრატიული) ხელისუფლების აღდგენის შესაძლებლობა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო დაკარგული და ევროპის მთავრობები არ ჩქარობდნენ საბჭოთა რუსეთის აღიარებას. ამდენად, ლენინის ხელისუფლება უკანონო იყო. „დე იურედ“ აღიარებული არ იყო საქართველოც. ამრიგად, საუბარია ორ, იურიდიულად არაღიარებული სახელმწიფოს ხელშეკრულებაზე,

რომლის ერთ-ერთ წევრს (რუსეთს) ლეგიტიმაციის საფუძველიც არ ჰქონდა. ასჯერ მართალი იყო საქართველოს პირველი ელჩი რუსეთში გაბრიელ ხუნდაძე, როცა აღნიშნავდა: „მიმდინარე ეპოქაში, როცა ნაკერებზე ირლვევიან უზარმაზარი სახელმწიფოები, ფორმალური ხელშეკრულებები და შეთანხმებები განსაკუთრებულ ფასეულობას სრულიად არ წარმოადგენენ, უფრო მეტიც - მათ მიერ არ განისაზღვრება ფაქტობრივი ურთიერთობები”. ამ ჭეშმარიტებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა.

საქართველოში ეიფორია ერთხანს მართლაც შესაშური იყო. მოგვიანებით, როცა უფრო დეტალურად გააანალიზეს ხელშეკრულება, მასში შეამჩნიეს სერიოზული ნაკლოვანებები, რამაც საბოლოოდ შეუწყო ხელი საქართველოს კატასტროფას. განსაკუთრებითი საფრთხის შემცველი იყო მესამე და მეხუთე მუხლები: - პირველი გულისხმობდა კავკასიის უდელტეხილების ნეიტრალიზაციას, ხოლო მეორეთი საქართველო ვალდებულებას იღებდა, არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე რაიმე ოპერაცია, სამხედრო ძალა, რომელიც დაემუქრებოდა რუსეთის დამოუკიდებლობას. ქართული მხარე ვალდებული იყო, საკონცენტრაციო ბანაკებში გაეგზავნა რუსეთის მონინააღმდეგი სამხედრო საზღვაო ძალების ნაშთები, განეირალებინა საქართველოს ნავსადგურებში მყოფი გემები და ა.შ. პატარა საქართველო ურთულეს საერთაშორისო ვითარებაში იმდენ ვალდებულებას იღებდა, რომ მისი რეალიზაცია აშკარად გაუჭირდებოდა, რაც ძლიერ მეზობელს მორიგი აგრესისათვის საბას აუცილებლად მისცემდა. ამიტომაც მიგვაჩინა, რომ სამართლიანია რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების შემდეგი შეფასება: „ხელშეკრულება არ ყოფილა ქართული დიპლომატიის უდავო წარმატება. ამ ხელშეკრულებით საქართველოს კომუნისტური პარტია გამოვიდა იატაკევეშიდან, ციხეებიდან გაათავისუფლეს კომუნისტები, დაიწყო გამოსვლა კომუნისტურმა გაზეთებმა, თბილისში გაიხსნა რუსეთის წარმომადგენლობა”.

### საბჭოთა რუსეთის საელჩო

საბჭოთა რუსეთის პირველი ელჩი საქართველოში იყო სერგეი კიროვი, მისი მისია დასაწყისში 51 კაცს აერთიანებდა, რაც ძალიან მალე 300-მდე გაიზარდა. ისინი ფაქტობრივად, რუსეთის აგენტები იყვნენ და უზრუნველყოფდნენ ადგილობრივი კომუნისტებისა და რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ურთიერთობას. კიროვს უშუალო კავშირი ჰქონდა ბაქოში დამკვიდრებულ რკპ (ბ) ცკ კავბიუროსთან, რომლის

უცვლელი ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე იყო.

მალე კიროვი, რომელიც მოსკოვში გაიწვიეს, არო შეინმანმა ჩაანაცვლა, რომელიც ერთგულად განაგრძობდა კომუნისტური რუსეთის ინტერესების გატარებას სამხრეთ კავკასიაში. თბილისიდან სისტუმატურად იგზავნებოდა მოსკოვში დაშიფრული დეპეშები, სადაც დეტალურად აცნობდნენ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, აზვიადებდნენ მთავრობის ანტიკომუნისტურ პოლიტიკას და მის რეპრესიულ ღონისძიებებს საბჭოთა რუსეთის აგენტურის წინააღმდეგ.

რუსეთის საელჩო განსაკუთრებით თვალყურს ადევნებდა საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას და ძალიან არ მოსწონდა ევროპის სახელმწიფოებთან საქართველოს ხელისუფლების აქტიური კონტაქტები. ეს ეხებოდა საქართველო-ბრიტანეთის ურთიერთობას, რომლის დროს ქართული მხარე, იმისათვის, რომ ბრიტანეთი რამენაირად მაინც დარჩენილიყო რეგიონში, ბევრ დათმობაზე მიღიოდა, თანახმა იყო ბათუმის „პორტო ფრანკოდ“ გამოცხადებისა.

### რუსეთის ფარული გეგმები

ვითარება სამხრეთ კავკასიაში 1920 წლის ოქტომბრისთვის ძლიერ დაიძაბა. თურქეთში ნაციონალისტური რევოლუციისა და ქემალ ფაშას პოლიტიკური დაჯგუფების გამარჯვების შემდეგ, გარეგნულად (არა დიდი ხნით) შეიქმნა რუსეთ-თურქეთის ალიანსი დასავლეთის მოკავშირების წინააღმდეგ. ამან შეაშინა სომხეთი და იძულებული გახადა, კვლავ რუსეთის მფარველობა აერჩია - სომხეთში საბჭოთა დიქტატურა დამყარდა.

სომხეთში მომხდარი „რევოლუციის“ შემდეგ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა გაუარესდა. აზერბაიჯანმა თბილისისათვის ნავთობის მიყიდვა შეწყვიტა, სომხეთმა ბორჩალოს ოლქის სადაცო ნაწილი დაიკავა. საქართველოს კომუნისტურ პარტიას შესაძლებლობა მიეცა მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიები დაეფიქსირებინა, რაც საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევად ჩაითვალა და საქართველოს კომუნისტებმა დახმარებისათვის მოსკოვს მიმართეს. მაგრამ მოსკოვი ჯერ მზად არ იყო. 1920 წლის 27 ნოემბერს რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ გადაწყვიტა მენშევიკური რესპუბლიკის წინააღმდეგ წითელი არმია არ გამოეყენებინა. ამასობაში საქართველოს მენშევიკური პარტია მოლაპარაკებას აწარ-მოებდა თურქ ნაციონალისტებთან და დასავლეთის მოკავში-რეებთან. მათ უნდოდათ დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ

თურქები არ დაქსემოდნენ საქართველოს და პატივს სცემდნენ მის საზღვრებს ბათუმისა და არდაგანის ოლქების ჩათვლით. ამის პასუხად ანკარადან შეტყუბინება მოვიდა, რომ ნაციონალისტებისთვის „დამოუკიდებელი, ძლიერი და მეგობრული საქართველოს არსებობა უმნიშვნელოვანესი იყო“. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, აცნობიერებდნენ რა საბჭოთა რუსეთისგან მომდინარე პოტენციურ საშიშროებას, მენშევიკები ჩქარობდნენ. მათ გააგზავნეს საგარეო საქმეთა მინისტრი დასავლეთ ევროპაში და მოითხოვდნენ საქართველოს „დეიურე“ აღიარებას, ეროვნებათა ლიგაში დაშვებას და მატერიალურ დახმარებას.

მაგრამ 1921 წლის 26 იანვარს მდგომარეობა შეიცვალა. იმ დღეს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე კრასინმა წარმოადგინა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯთან მისი შეხვედრის პირველი სრული ანგარიში, სადაც დაფიქსირებულია საქართველოს მიმართ დიდი ბრიტანეთის აშკარა გულგრილობა.

რა ნაბიჯები გადადგეს ბოლშევიკებმა, რომ ბრიტანეთს კავკასია დაეტოვებინა? ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, კონცენტრირება მოხედინათ სპარსეთზე და იქ ბრიტანული გავლენა შეემცირებინათ. ამ მიზნით აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ იყო მცდელობა ჩრდილოეთ ირანში, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროებიდან განედევნათ ბრიტანეთის ჯარები, რუსეთის ხელშეწყობით ირანის პროვინცია გილანში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ. ამით საბჭოეთს სპარსეთთან ვაჭრობის შესაძლებლობა მიეცა. ეს პროცესი რამდენიმე თვე გაგრძელდა და საბოლოოდ ხელი მოეწერა სპარსეთ-საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულებას, რომელიც ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელი იყო. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ბრიტანეთის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დარტყმა. ამით საბჭოთა პრესტიუსი ირანსა და მთელ აზიაში იზრდებოდა, ყალიბდებოდა ბოლშევიკური რუსეთის - როგორც ირანელი ხალხის მეგობრის იმიჯი, ამით რუსეთი ყოველთვის ისარგებლებდა.

კრასინის მოსახურების შემდეგ ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის საქართველოს საკითხზე ორი საპირისპირო პოზიცია გამოიკვეთა: პირველი ხაზს უსვამდა საკითხისადმი პოლიტიკურ მიდგომას, მეორე კი ითვალისწინებდა ძალის შესაძლო გამოყენებას. ასეთი შემთხვევისათვის პოლიტბიურო კავშიუროსაგან წითელი არმიის მზადყოფნას მოითხოვდა. ეს მეორე პოზიცია აშკარად დომინირებდა.

1921 წლის თებერვალში ლენინმა დეპეშა გაუგზავნა ორჯონიკიძეს და დაუყოვნებლივ ანგარიშის ჩაბარება მოითხოვა.

ბაქოდან პასუხი არ მოსულა. ორჯონიკიძე საქართველოს გა-  
საბჭოებისათვის ემზადებოდა.

## ლორეს პროვოკაცია

შეეძლო თუ არა საქართველოს კომუნისტურ პარტიას გა-  
ნეხორციელებინა 1921 წლის დასაწყისში პოლიტიკური გა-  
დატრიალება და ხელში აეღო ძალაუფლება? დოკუმენტები  
ადასტურებენ, რომ ეს მას არ შეეძლო - საქართველოს ხე-  
ლისუფლების მხრიდან პერმანენტული შეტევების შედეგად  
პარტიის რიგები ძალიან შეთხელებული იყო - აერთიანებ-  
და მხოლოდ 9000 კომუნისტს. ორგანიზაცია დაქსაქსული და  
გარკვეულნილად დაბნეულიც იყო. ამაზე ყურადღებას ამახვი-  
ლებდა ცნობილი კომუნისტი მამაი თრახელაშვილი 1920 წლის  
დეკემბერში რკპ (ბ) ცკ კავკიუროს სხდომაზე. არის სხვა ცნო-  
ბაც, რომ „საქართველოში ჩეგნი (იგულისხმება „ბოლშევიკუ-  
რი“ - ავტორები) ორგანიზაციები დანგრეული იყო“.

ამიტომაც მოსკოვმა ორიენტაცია ახლადგასაბჭოებულ  
სომხეთის პარტიულ ხელმძღვანელობაზე შეაჩერა და მათაც  
იმედები არ გაუცრუეს.

გასაბჭოების შემდეგ სომეხი კომუნისტები ინტენსიურად  
მუშაობდნენ ლორეს ნეიტრალურ ზონაში. აქ მოსახლეობა ძი-  
რითადად სომხეური იყო და მათთან საერთოს ადვილად პოუ-  
ლობდნენ. როგორც დასტურდება, გარკვეული სოციალური  
დაძაბულობა რეგიონში შეინიშნებოდა, რასაც კიდევ უფრო  
ამწვავებდა კომუნისტური სომხეთის ანტიქართული პროპა-  
განდა.

გარკვეულ ეტაპზე, გასაბჭოებამდე, თურქეთის მხრიდან  
აგრესის მომლოდინე სომხეთის ბურჟუაზიულმა ხელისუფლე-  
ბამ საქართველოს შესთავაზა ლორეს ნეიტრალური ზონის  
დროებით დაკავება (ინგლისელების რეგიონიდან ნასვლის  
შემდეგ ამ ტერიტორიებს მონაცვლეობით აკონტროლებდნენ  
საქართველო და სომხეთი). 1920 წლის 13 ნოემბრის ხელ-  
შეკრულების თანახმად, საქართველო და სომხეთი თუ სამი  
თვის განმავლობაში ვერ მოახერხებდნენ სადავო ტერიტო-  
რიის გამიჯვნას, საქართველოს ჯარებს უნდა დაეტოვებიათ  
ეს ზონა და იქ უნდა აღდგენილიყო მართვის ადრინდელი  
სისტემა შერეული ადმინისტრაციით. საზღვრის ეს მონაკვე-  
თი სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს-  
თვის, რადგან ამით იზრდებოდა მანძილი თბილისამდე ბოლშე-  
ვიკების არმიის შემოტევის შემთხვევაში, რაც დროს მისცემდა  
ქართულ ჯარს ქალაქის თავდაცვა უკეთესად მოემზადებინა.

ამ ტერიტორიების შენახვა საქართველოს 2 მილიონ მანეთზე მეტი უჯდებოდა. აქ დისლოცირებული იყო 7 000-კაციანი სამხედრო შენაერთი. ქართველი სამხედროები განსაკუთრებით იცავდნენ შაგალის ხიდს, მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს, რომელიც სამხედრო მოსაზრებით დანაღმეს - ის მტერს ხელში არ უნდა ჩავარდნოდა.

სწორედ ამ სტრატეგიული ობიექტის მახლობლად ბოლშევიკურმა დაზვერვამ მოაწყო დუქანი, სადაც ქართველი ჯარისკაცები საღამოებს ატარებდნენ. სომხურმა აგუნტურამ შეძლო ქართველების ყურადღების მოდუნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლორეს ნეიტრალურ ზონას საქართველო აკონტროლებდა სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეთანხმების თანახმად, რომელიც 1920 წლის 13 ნოემბერს 3 თვის ვადით იყო ხელმოწერილი. მაგრამ სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის შეწყვეტისა და მის ნაცვლად სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, ნოემბრის ბოლოს ამ უკანასკნელმა საქართველოსთან ლორეს შესახებ ხელშეკრულების ანულირება და ამ ტერიტორიიდან ქართული გარნიზონის გაყვანა მოითხოვა. საქართველომ შესთავაზა ხელშეკრულების შესრულება და უმოკლეს ვადაში ამ საკითხის გადაწყვეტა მოლაპარაკების საშუალებით. ეს მოლაპარაკებები დაიწყო 1920 წლის დეკემბერში, მაგრამ იანვრის დასაწყისიდან პრატეტიკულად დუნედ მიმდინარეობდა და ხშირად წყდებოდა. სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებების დასაწყისში ენერგიულად აპროტესტებდა და მოითხოვდა ტერიტორიების დაბრუნებას, მოლაპარაკებების მიმდინარეობისას მოეშვა, ნაკლებ აქტიური და მომთხოვნი გახდა. იგრძნობოდა, რომ მის მოქმედებაში რაღაც ცვლილება მოხდა, რასაც, როგორც მერე გაირკვა, თავისი ახსნა გააჩნდა. 1921 წლის 13 თებერვალს ინურებოდა ნეიტრალურ ზონაში საქართველოს ჯარების ყოფნის სამთვიანი ვადა და, შეთანხმების მიხედვით, მათ ეს ზონა უნდა დაეტოვებივებინათ. ამგვარად, მოისპობოდა ტერიტორიული კონფლიქტის აშკარა საბაბი. კავკასიის ბიურომ გადაწყვიტა, გამოეყენებინა ეს საბაბი და საქართველოსთან ამ საკითხზე უშედეგო მოლაპარაკებებისა და საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის მომიზეზებით ე.წ. „აჯანყება“ მოაწყო. ამ აჯანყების ორგანიზაცია დაევალა პროფესიონალ რევოლუციონერს, ბოლშევიკ ლაზიანს. გადაწყდა აჯანყების დაწყება 11 თებერვალს, ღამით. რუსეთის XI არმიის ხელმძღვანელმა ჰერიტერმა 300 წითელარმიელი გამოჰყო, რომლებსაც ლორეში მცხოვრები ეთნიკური რუსი მოხალისეებიც შეუერთდნენ.

მოულოდნელობის ფაქტორმა აჯანყებულებს საშუალება მისცა, სტრატეგიული ობიექტი - შაგალის ხიდი ხელში ჩა-ეგდოთ. მათ წარმატებებს მიაღწიეს დზიხის და გერგერის რაიონებში. დიდი ბრძოლა გაიმართა ვორონცოვების მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დასაწყისში ქართველებმა შეავინროვეს აჯანყებულები, მაგრამ უკვე ამ დროს ლორეს დაბლობზე შე-მოვიდა საბჭოთა არმია, რამაც ბრძოლის ბედი გადაწყვიტა.

მოგვიანებით 6. უორდანია ასე იგონებდა ამ ტრაგიკულ ფაქტს: „11 თებერვალს აჯანყდნენ ბორჩალოს „სომხები“, გარეკეს ჩვენი ჯარი, დაატყვევეს ბევრი... მაშინვე დავიბა-რე ოდიშელიძე და მოვსთხოვე ამ სირცხვილის ანგარიში. მან მომცა ასეთი განმარტება: ჯარი დამარცხდა იმიტომ, რომ იყო დანანილებული და შეერთება ვერ მოასწრეს.... ეს მოახდინა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა”. აშკარაა, რომ პარტიული ფუნქციონერი აკ. ჩხენკელი ზედმეტად აქტიურად ერევა სამხედრო მინისტრის ფუნქციებში და ამის შესახებ არაფერი იცის მთავრობის თა-გმჯდომარემ.

პირველ ხანებში ქართული პრესა დუმდა. ინფორმაციის გა-ვრცელება დაიწყო 15 თებერვლიდან: „ჩვენი ჯარები ვორონცო-ვებს სამხრეთით და სადახლოს სამხრეთით აწარმოებენ ბრძო-ლას. წამოყვანილია ტყვევები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებდნენ სომხეთ-რუსეთის საბჭოთა ჯარები”. საბჭოთა რუსეთის ელჩმა შეიმანმა განაცხადა, რომ მან არაფე-რი იცის ამ ბრძოლებში წითელი არმის მონაწილეობის შესახებ და დარწმუნებულია, რომ თავდასხმა ორგანიზებულია სომხეთის მთავრობის მიერ. ამავე დროს საქართველოს მთავრობამ მიიღო არანაკლებ ოფიციალური დეკლარაცია საბჭოთა სომხეთის წარ-მომადგენლის — შავერდოვისგან იმის შესახებ, რომ სომხეთს არავითარი კავშირი არა აქვს ამ თავდასხმასთან.

საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ გამოცვალა სა-მხედრო ხელმძღვანელი, ხოლო გენერალ გიორგი კვინიტაძეს დაევალა თავდაცვის ორგანიზება. გენერალი მოგვიანებით, თა-ვის მემუარებში სასტიკად გააკრიტიკებს იმ ქართველ სამხე-დროებს, რომლებმაც, ჭარბი სამხედრო ძალის მიუხედავად, სწორად ვერ დაგეგმეს ლორეში სამხედრო ძალების დისლოკა-ცია და ამან განაპირობა ქართველებისათვის უარესი სამხე-დრო ვითარების შექმნა. ხოლო თვითონ მან, მათი გაფუჭე-ბული საქმე უკვე ველარ გამოასწორა და იძულებული გახდა, უკან დახვეის ბრძანება გაეცა. 15 თებერვალს აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოში შემოვიდნენ ცხენოსანი ჯარით გა-ძლიერებული მე-11 არმიის ახალი ქვედანაყოფები. 16 თებერ-

ვალს უორდანია ტელეფონით დაუკავშირდა მოსკოვს, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე კარახანმა უარი თქვა მასთან საუბარზე.

1921 წლის 15 თებერვალს სტალინმა დეპეშა გამოუგზავნა ს. ორჯონივიძეს: „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი”.

16 თებერვალს შულავერში შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელად გამოცხადდა ფილიპე მახარაძე, რომელიც იმუამად მოსკოვში იმყოფებოდა. რევოლუციური შევიდნენ: მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ბ. კვირკელია, გ. ელისაბედშვილი, ა. ნაზარეტიანი. ისინი შემოუძღვნენ საქართველოში კომუნისტური რუსეთის XI არმიას. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ რევოლმის ნევრები კანონგარეშე გამოაცხადა. 21 თებერვალს უორდანიამ მიმართა ჩიჩერინს რადიოგრამით და მოსთხოვა ომის მიზეზის განმარტება. დამაჯერებელი პასუხი რომ ვერ მიიღო, პრეზიდენტმა 22 თებერვალს მიმართა ლენინსა და ტროცკის და მოსთხოვა ომის შეწყვეტა. ამის პასუხად გაიხსნა სამი დამატებითი ფრონტი: საქართველოს სამხედრო გზის მიმართულებით ვლადიკავკაზის მხრიდან, მამისონის გადასასვლელის მხრიდან ქუთაისისკენ და შავი ზღვის სანაპიროზე სოჭის მხრიდან. საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ მე-11 არმია, მე-8, მე-4 და მე-13 არმიის ქვედანაყოფები, ბუდიონისა და ულობას ცხენოსანი ჯარები.

საქართველოს რეგულარულმა არმიამ 18-22 თებერვალს შემოჭრილ მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია კოჯრის მიდამოებში, სადაც გმირულად დაეცნენ ახალგაზრდა ქართველი იუნკრები. ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლებამ სამხედრო დახმარებისთვის თურქეთს მიმართა. 22 თებერვალს თურქეთის მთავრობამ ბოლშევიკურ რუსეთთან მოლაპარაკებისას საქართველოს ულტიმატუმი წაუყენა არდაგანისა და ართვინის გათავისუფლების მოთხოვნით. საქართველოს მთავრობა, რომელსაც ამ პროვინციების დაცვის საშუალება არ ჰქონდა, იძულებული იყო დროებით დათანხმებულიყო ამაზე, თუმცა განაცხადა, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის, რადგან თურქეთის ქმედებები უკანონოა და საერთაშორისო არბიტრაჟმა უნდა განიხილოს.

სამხედრო მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ თბილისი დატოვა და ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ — ბათუმში გადავიდა. მაგრამ სანამ დედაქალაქს დატოვებდნენ, დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის ამოქმედება უკვე ვეღარ მოხერხდა.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველი ბოლშევიკების წი-

ნამძღვრობით საბჭოთა რუსეთის XI არმია თბილისში შემოვიდა. ბაქოდან ორჯონიგიძემ დეპეშა გაუგზავნა ლენინსა და სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!” ქართულმა ჯარმა ბრძოლებით დაიხია ბათუმისკენ, სადაც სარდლობა იმედოვნებდა ქალაქის თავდაცვის ორგანიზებას ქალაქის ხელ-საყრელი განლაგების სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე. უორდანის მთავრობა გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ ფრანგები და თურქები მხარს დაუჭერდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვიდოდნენ. მთელი თებერვლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა უშედეგოდ ელოდა ფრანგების ჩარევას. სამხედრო მოქმედებების დაწყების პირველი დღიდანვე ფრანგები ეხმარებოდნენ საქართველოს მთავრობას შავი ზღვის სანაპიროს დაცვაში, მაგრამ პარიზს არასდროს უფიქრია საექსპედიციო ჯარების გაგზავნა. ბრიტანელებმა კი უბრძანეს თავიანთ ფლოტს, არ ჩარეულიყვნენ კონფლიქტში.

### დასასრული

ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებამ საბედისნერო ნაბიჯი გადადგა - მან თურქები მოიწვია დასახმარებლად. ეს თურქების ინტერესს შეესაბამებოდა. მათ სასწრაფოდ დაიკავეს ისტორიული ქართული მიწები - კოლა-არტაანი, ტაო-კლარჯეთი და ბათუმისკენ მოიწვდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ისარგებლებდნენ საქართველოს მძიმე მდგომარეობით და კვლავ დაიბრუნებდნენ ბათუმის ოლქს. 16 მარტს, ბათუმში შესვლის შემდეგ თურქებმა განაცხადეს, რომ დიდმა ეროვნულმა კრებამ გადაწყვიტა ბათუმისა და მისი რაიონის თურქეთთან მიერთება. მათ სცადეს ძალით დაეკავებინათ ყველა სახალხო დაწესებულება და გამაგრებული პოზიციები. ამავე დროს, მათ ულტიმატუმი ნაუყენეს საქართველოს მთავრობას, რომელშიც ითხოვდნენ ბათუმში ქართული არმიის განიარღებას. ბათუმის ქართული ქალაქში განლაგებული ქართული არმიის ნაწილებსა და თურქებს შორის შეიარაღებულმა შეტაკებებმა იფეთქა.

საქართველოს მთავრობა ბათუმში ჩავიდა. აქ იყვნენ პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებიც. ვითარება საგანგაშო იყო. ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას უუნარობაში, არაორგანიზებულობაში ადანაშაულებდნენ. გიორგი კვინიტაძე იმასაც კი იგონებს, რომ იყვნენ პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც მას ნოე უორდანიას დაპატიმრებას ურჩევდნენ.

ლენინი, შეშინებული რუსული აგრესის საერთაშორისო რეზონანსით, მოითხოვდა უორდანიასთან მოლაპარაკებას, გარიგებას, მას სთავაზობდა საქართველოში დარჩენასაც კი. ქვეყნის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობით აღჭურვილმა დემოკრატიულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, კომპრომისზე წასულიყო - ქუთაისში დაიწყო მოლაპარაკება დაპირისპირებულ მხარეებს შორის: დემოკრატიულ საქართველოს წარმოადგენდა გრიგოლ ლორთქიფანიძე, საბჭოთა საქართველოს - მამია ორახელაშვილი, რუსეთს - სერგო ქავთარაძე. მიაღწიეს შეთანხმებას - დემოკრატიული საქართველო შლიდა ფრონტს, საბჭოთა ჯარები იკავებდნენ ბათუმს და თურქებისაგან მთლიანად ათავისუფლებდნენ ბათუმის ოლქს. ბოლშევიკ ლიდერებს მშვენივრად ესმოდათ ბათუმის მნიშვნელობა, ნავთობის ტრანსპორტირება ბაქოდან ბათუმის გავლით ევროპაში ხომ ყველაზე მოკლე და ხელსაყრელი გზა იყო. მას, ვინც ბაქოს ფლობდა, არავითარი უფლება არ ჰქონდა შესაფერის შემთხვევაში ბათუმიც ხელში არ ჩაეგდო. ამასთანავე მათ კარგად ესმოდათ, რამდენად არასასურველი იყო თურქებთან ლიასაომარი მოქმედებების დაწყება. სწორედ ამ ფაქტმა უბიძგა ბოლშევიკებს, დაკავშირებოდნენ ქართული არმიის ხელმძღვანელობას და მიეცათ მათთვის საშუალება, გაეწმინდათ ქალაქი თურქებისგან. ბათუმის რევკომი თავისი წარმომადგენლის თენგიზ შუღენტის სახით დაუკავშირდა გენერალ მაზნიაშვილს და სთხოვა მას იერიში მიეტანა თურქებზე მის განკარგულებაში მყოფი ყველა ნაწილების გამოყენებით. რამდენიმე დღის განმავლობაში ბათუმი და მისი მიდამოები საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების სამხედრო შენაერთებმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით თურქებისგან გაწმინდეს. მოსკოვის 1922 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით თურქეთმა საბოლოოდ თქვა უარი ბათუმის ოლქზე.

1921 წლის 17 მარტს დასრულდა თითქმის სამწლიანი ცდა, აღდგენილიყო საქართველოს დამოუკიდებლობა, სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ დატოვა ქვეყანა და ემიგრაციაში - საფრანგეთში გაიხიზნა, ხოლო საქართველო და მისი ხალხი ჩაეფლო ბოლშევიკური ოკუპაციის სამოცდაათწლიან წყვდიადში...

## **ბიბლიოგრაფია**

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972.
2. საქართველოს ისტორია („ოთხტომეული”), ტ. IV, თბ., 2012.
3. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ), თბ., 2001
4. ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბ., 1997.
5. იური სიხარულიძე, ნოე რამიშვილი, თბ., 2006.
6. ვახტანგ გურული, ნოე ჟორდანია, თბ., 1999.
7. არჩილ ჩაჩინანი, ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1918-1919 წლებში (სომხეთ-საქართველოს ომი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2006.
8. ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990.
9. გრიგოლ ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.
10. შოთა ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001.
11. შოთა ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი I და წიგნი II, თბ., 2006.
12. ალექსანდრე დაუშვილი, კობა წენგუაშვილი, იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის თამარ?!.. (ქაქუცა ჩოლოყაშვილი), თბ., 2005.
13. ალ. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009.
14. ალ. დაუშვილი, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი III, „ქართული საქმე”, თბ., 2007
15. მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004.
16. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991.
17. დოდო ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა 1918-1921 წლები, თბ., 2003
18. დოდო ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999.
19. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
20. ე. მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1918-1921 წლებში

(საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორია), სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი, 2003.

21. ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XX საუკუნის პირველ მესამედში, საღოქტორო დისერტაცია, ბათუმი, 2000.
22. პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში, პ. გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი... თბ., 1998.
23. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, თბ., 2007.
24. გიორგი მაზნიაშვილი „მოგონებანი“ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ 1990.
25. გიორგი კვინიტაძე, „მოგონებანი: საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921“ გამომცემლობა „ლომისი“ 1998.
26. Noah Zhordania. “My Life” Standord University, Stanford, California 1968.
27. Zourab Avalishvili. “The Independence of Georgia in International Politics 1918-1921.” Headley Brothers, London 1940.
28. Firuz Kazemzadeh. “The struggle for Transcaucasia”, Oxford University Press, 1951.
29. Richard K. Debo. “Survival and Consolidation: The Foreign Policy of Soviet Russia, 1918-1921” McGill-Queen’s University Press, 1992.
30. Richard K. Debo. “Revolution and Survival: The Foreign Policy of Soviet Russia, 1917-1918” University of Toronto Press, 1979.
31. Ronald Grigor Suny. “The Making of the Georgian Nation” Indiana University Press, 1994.
32. Richard Hovannian. “Armenia on the Road to Independence, 1918” University of California Press ,1967.
33. David M. Lang. “A modern History of Soviet Georgia” New York: Grove Press, 1962.
34. “Communist Takeover and Occupation Of Georgia”. Special Report #6 of the Select Committee On Communist Aggression. House of Representatives 83-rd Congress, 2-nd Session under authority of H. Res. 346 and H.Res. 438. United States Government Printing Office. Washington ,1955.
35. “Оккупация и фактическая аннексия Грузии”. О политической и правовой оценке нарушения договора между Грузией и Советской Россией от 7 Мая 1920 года. Документы и Материалы. Издательство “Сакартвело” Тбилиси 1990.

# სარჩევი

ნინათქმა	5
ცაცამძღვაპი	6
ქართველების ლტოლვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის XIX-XX სს.	6
სოციალ-დემოკრატია და საქართველო	9
კვლავ „დამოუკიდებელი“!	10
პირველი მსოფლიო ომი და საქართველო	10
თებერვლის რევოლუცია რუსეთში	12
ამიერკავკასია დამოუკიდებელია	12
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება	14
პოლიტიკური ცხოვრება	16
მმართველი პარტია	16
სოციალისტ-ფედერალისტები	19
სოცილისტ-რევოლუციონერები	20
ეროვნულ-დემოკრატები	20
ბოლშევიკები	21
დამფუძნებელი კრება	23
ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი	24
საქართველოს დემოკრატიული	
სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა	25
ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა	25
საბჭოები	27
თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები	27
სასამართლო სისტემა	29
მილიცია	30
სახალხო გვარდია	32
საქართველოს არმია	34
„ქართული ვანდეა“	36
აგრარული რეფორმები	38

მუშები და წარმოებითი ურთიერთობები	40
ბურუუაზია	45
თავადაზნაურობა	46
სახელმწიფო და ეკლესია	47
განათლება და კულტურა	50
ყოფა და ცხოვრება	64
ეროვნებათაშორისი ურთიერთობა	65
<b>საქართველოს დემოკრატიული</b>	
<b>სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა</b>	<b>79</b>
ამიერკავკასია და მსოფლიო პოლიტიკა	79
ურთიერთობა გერმანიასთან	80
ურთიერთობა თურქეთთან	85
დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში	88
ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების თავისებურებები	92
სომხურ-ქართული დაპირისპირება	93
აზერბაიჯანი და დამოუკიდებელი საქართველო	99
კავკასიის ხალხთა ერთიანობის მიღწევის ცდები	102
თეთრი რუსეთი და დამოუკიდებელი საქართველო	104
საერთაშორისო აღიარების მოპოვების იმედი	105
<b>დასასრული</b>	<b>107</b>
ბოლშევიკების პოლიტიკა ამიერკავკასიასა	
და ახლო აღმოსავლეთში	108
1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება	109
საბჭოთა რუსეთის საელჩო	112
რუსეთის ფარული გეგმები	113
ლორეს პროვოკაცია	115
დასასრული	119
<b>ბიბლიოგრაფია</b>	<b>121</b>





9 789941 046896